

ნოდარ ღარსიანი

შაჩაონი ჩაშხეს II

თბილისი - 2007

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის
ფილიალი

რედაქტორი: *ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
ძველი ისტორიის განყოფილების
უფროსი მეცნიერ თანამშრომელი,
მანანა ხვედელიძე*

რეცენზენტები: *ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
ძველი ისტორიის განყოფილების
მთავარი მეცნიერ თანამშრომელი,
განყოფილების გამგე ირინე ტატიშვილი*

*ივ. ჯავახიშვილის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
სრული პროფესორი ლევან გორდეზიანი*

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია ძველი ეგვიპტის გამოჩენილი ფარაონის,, „დიდ რამსესად“ წოდებული რამსეს II-ის ხანგრძლივი და მეტად საინტერესო სამხედრო, პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეობა. მისი აღმშენებლობითი საქმიანობა და რელიგიური პოლიტიკა.

განხილულია მეცნიერთა დასკვნები მისი გამეფების თარიღთან დაკავშირებით, რამსეს II-ის ოჯახის საყურადღებო დეტალები. მოცემულია მისი პიროვნების დახასიათება..

სათანადოდაა გაშუქებული კადეშთან ბრძოლა, ხეთების მეფე ხათუსილი III-სა და რამსეს II-ს შორის დადებული საზავო ხელშეკრულება, გაანალიზებულია ძველი ეგვიპტის ისტორიაში ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენების პრობლემატური საკითხები.

ნაშრომი გათვალისწინებულია უმაღლესი სკოლის ისტორიის სპეციალობის სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის, ვინც დაინტერესებულია ძველი ეგვიპტის ისტორიისა და კულტურის საკითხებით.

ძველი ეგვიპტის გამოჩენილი ფარაონის, „დიდ რამსესად“ წოდებული რამსეს II-ის მმართველობის ხანა ბრწყინვალე ფურცელია ამ უძველესი ქვეყნის ისტორიაში. ეს იყო სახელმწიფოს პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების აღორძინების, ხეთებთან, ლიბიელებთან გააფრთხილებული, შეუპოვარი დაპირისპირების, ბრძოლის პერიოდი. ამასთანავე ეს გახლდათ წინააზიურ სამყაროსთან მჭიდრო პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის დამყარების, დიდებული არქიტექტურული ძეგლების, ღირსშესანიშნავი ხუროთმოძღვრული კომპლექსების მშენებლობის, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული აღმავლობის წლები.

რამსეს II XIX დინასტიის მესამე წარმომადგენელია. ეგვიპტის ტახტზე მისი ასვლით იწყება რამესიდების ეპოქა. სწორედ მისი სამოცდაშვიდწლიანი ზეობის ხანაში დაიწყო ამ ეპოქის შემდგომი გაფურჩქვნა.

რამსეს II ძველი მსოფლიოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ისტორიული პიროვნებაა, მასზე წერდნენ ანტიკური ავტორები. იოსებ ფლავიუსი, მანეთონზე დაყრდნობით, რამსეს II ახასიათებს, როგორც დიდ ფარაონს და მხედართმთავარს, ულმოვლ დაამყრობელს. მისივე ცნობით, რამსეს II მოაწყო ძლევამოსილი ლაშქრობა აღმოსავლეთის მიმართულებით მიდიელების წინააღმდეგ.¹ რამსეს II-ის აზიურ ლაშქრობებზე მოგვითხრობს ჰეკატეოს აბდერელი, რომელიც გვიამბობს მეფე ოსიმანდიის

1. Флавий Иосиф, О древности иудейского народа. Против Апиона Санкт-Петербург. 1898, стр. 15.

(ე. ი. რამსეს II, რომლის სახელი მოცემულია ამ უკანასკნელის სამეფო სახელის ბერძნული ტრანსკრიფციის შესაბამისად) გამოსვლის შესახებ აჯანყებული ბაქტრიელების წინააღმდეგ.¹ ტაციტის ცნობით, ერთმა ხნიერმა თებელმა ქურუმმა მოუყვა რამსეს II-ზე რომის იმპერატორის ოქტავიანე ავგუსტუსის გერს, დრუზუს კლავდიუს ნერონის ძეს გერმანიკს. ის იხსენებდა დიდ დამპყრობელს, რომელმაც დაიპყრო აფრიკისა და აზიის სხვადასხვა ხალხები, მათ შორის ბაქტრიელებიც.²

დიდი ხნის განმავლობაში მკვლევარები მიიჩნევდნენ, რომ პირველად ჰეროდოტეს მიერ ნახსენები³ ლეგენდარული ეგვიპტელი ფარაონი სესოსტრისი, რომელმაც თითქოსდა ილაშქრა ევროპაში, აზიაში, ლიბიაში, ნუბიაში, გახლდათ რამსეს II. მისი მოკლე მეტსახელი „სესი“ საფუძვლად დაედო ბერძენიზირებულ სახელს სესოსტრისს.⁴ მსგავსი იდენტიფიკაცია სახელისა „სესოსტრის“ უარყოფილ იქნა მეცნიერთა მიერ გასული საუკუნის დასაწყისში, სწორედ მაშინ იქნა დასაბუთებული, რომ ძველბერძნულ სახელში „სესოსტრის“ განზოგადებულია შუა სამეფოს სამი ფარაონის სამი სენუსერტის სახელი, განსაკუთრებით სენუსერტ I-სა.⁵ მიუხედავად ამისა, ყოველად

1. Диодор Сицилийский, "Историческая Библиотека", ч. 1. Санкт-Петербург. 1774, стр. 79.

2. Тацит П. К., *Анналы, малые произведения, история*, М., 2003, стр. 89.

3. *ჰეროდოტე, ისტორია, ტ. I, თბ., 1975, გვ. 155.*

4. *История Древнего мира, Ранняя древность, кн. I, М., 1982, стр. 123.*

5. ДЖ. Брестед, Б. Тураев, *История древнего Египта*, Минск, 2003, стр. 777.

დასაშვებად მიგვაჩნია ვივარაუდოთ, რომ ისტორიული თვალსაზრისით, სწორედ რამსეს II-მ მოახდინა გავლენა სესოსტრისსზე, როგორც უდიდეს დამპყრობელზე თქმულების შექმნაზე.

რამსეს II-ის სახელი მოიხსენიება ბიბლიაში. დღესაც მხილველებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს გრანდიოზული მონუმენტური ნაგებობები, რომლებიც აღიმართა ეგვიპტის სხვადასხვა ქალაქებში მისი ხანგრძლივი მმართველობის წლებში.

რამსეს II-ის მეფობის დრო – ესაა აზიაში ეგვიპტის ჰეგემონობის აღდგენისათვის ხანგრძლივი ომების, ეგვიპტის ეკონომიკური კეთილდღეობისა და პოლიტიკური წესრიგის, სტაბილურობის ხანა.

რამსეს II უდავოდ წარმოადგენდა ძლიერ სახელმწიფო მოღვაწეს. ის გახლდათ მამაცი, გაბედული, ენერგიული და ყოველმხრივ განათლებული ადამიანი. მის მიერ განხორციელებული საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რა თქმა უნდა, სრულიად შეესაბამებოდა ეგვიპტის საზოგადოებისა და სახელმწიფოს ობიექტურ მოთხოვნებს, ინტერესებსა და მიზნებს. ძველი ეგვიპტის ერთპიროვნული მმართველი, მიწიერ ღმერთად აღიარებული რამსეს II მრავალი წლის განმავლობაში განსაზღვრავდა თავისი ხალხის და ქვეყნის ცხოვრების მაგისტრალურ გზას. ამდენად, მისი მოღვაწეობის მეცნიერული შესწავლა საინტერესო საკითხად მიგვაჩნია.

ფარაონი უსერმაატრა სეტეპენრა, რამსეს მერიამუნ,¹ რამსეს II მეტად გამორჩეული პოლიტიკური ფიგურაა ძველი ეგვიპტის გამორჩენილ ფარაონთა შორის.

1. რამსეს II სრული სამეფო ტიტულატურა.

მრავალფეროვანი და მრავალმხრივია მისი მოღვაწეობა, როგორც ხელისუფალის, დიპლომატისა და მხედართმთავრისა. ყოველივე ამან დიდი დაინტერესება გამოიწვია ევროპელ, ამერიკელ და რუს მეცნიერთა შორის და ამდენად, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მათ მეცნიერულ გამოკვლევებში. რამსეს II-ის მმართველობის პერიოდის ეგვიპტის ისტორიას არაერთი მეცნიერული სტატია და მონოგრაფია მიეძღვნა. ისტორიული მოვლენებით მნიშვნელოვანი ეს ხანა განხილულია ასევე ძველი მსოფლიოსა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის სახელმძღვანელოებსა და მრავალტომეულებში.¹ ფართოდაა გაშუქებული რამსეს II-ის დაუღალავი ბრძოლა ეგვიპტის იმპერიის ძლევამოსილების აღდგენისა და განმტკიცებისათვის. ღრმადაა შესწავლილი და გამოკვლეული მისი აქტიური საგარეო პოლიტიკა, დამოკიდებულება მეზობელ ქვეყნებთან, კერძოდ, ეგვიპტისა და ხეთების ურთიერთობა. მოცემულია ხეთებსა და ეგვიპტელებს შორის დადებული ხელშეკრულების, ისტორიაში ამ უძველესი დიპლომატიური აქტის, მეცნიერული შეფასება და ანალიზი.²

1. Авдиев В. И., *История Древнего Востока*, М., 1970. Тураев Б. А., *История Древнего Востока*. т. I. М., 1936. *История Древнего Мира в 3-х книгах*, под. ред. И. М. Дьяконова, 2 кн., М., 1982. *История Древнего Востока*, под. ред. В. И. Кузишина. М., 1979. სტრუვე ვ. ვ., *ძველი აღმოსავლეთის ისტორია*, თბ., 1941. *ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია*, რედ. გ. მელიქიშვილი, თბ., 1988.

2. ДЖ. Брестед, Б. Тураев, *История Древнего Египта*. Минск. 2003. И. Л. Снегирев, Ю. П. Францов, *Древний Египет*. Л., 1958. И. А. Стучевский, *Рамсес II и Херихор*. М., 1984. Кристиан Жак, *Египет Великих фараонов*. М., 1992. Noblecourt christiane Desroches, *Ramses II: la veritable histoire*, Paris. 1996. Жак Веркуттер, *Древний Египет*. М., 2004 и др.

რამსეს II-ის პიროვნების, მისი გამეფებისა და მმართველობის დროის ზუსტი დათარიღების საკითხი მეცნიერ-მკვლევართა მნიშვნელოვანი წრის კვლევის საგანი გახდა. ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებით, მეტად საყურადღებო ნაშრომები აქვთ გამოქვეყნებული საყოველთაოდ ცნობილ ეგვიპტოლოგებს: ჯ. შმიდტს, მ. როუტონს, კ. ქიტჩენს, რ. პარკერს, ი. ა. სტუჩევსკის¹ და სხვ.

აღნიშნული პერიოდის ეგვიპტის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული განვითარება, სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურა, რამსეს II-ის აღმშენებლობითი საქმიანობა საფუძვლიანადაა შესწავლილი მეცნიერების ი. ა. სტუჩევსკის, მ. ა. კოროსტოვცევის, ბ. ა. ტურაევის, მ. ე. მათიეს, ვ. ე. სტრუვეს და სხვათა მონოგრაფიებსა და ავტორთა კოლექტივების მიერ გამოცემულ შრომებში.²

ამ დროის ამსახველი დოკუმენტური მასალა, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, მოცემულია ძველი

1. Schmidt J. D., Ramses II. chronological structure for His Reign. Baltimore-London, 1973. Rowton M. B., Comparative chronology at the time of Dynasty XIX - JNES. 1960. vol. 19. Kitchen K. A. on the Chronology and History of the new Kingdom, cde. 1965. t. 40. Parker R. A., The Lunar dates of Thutmose III and Ramses II JNES 1957, vol. 16. И. А. Стучевский Рамсес II и Херихор, М., 1984.

2. И. А. Стучевский, Зависимое население древнего Египта. М., 1966. Стучевский И. А., Колониальная политика Египта в эпоху XVIII династий, М., 1967. Стучевский И. А., Храмовая форма Царского хозяйства древнего Египта. М., 1962. В. В. Струве, Очерки социально-экономической истории Древнего Востока, М., 1934. М. А. Коростовиев, Писцы Древнего Египта. М., 1962. М. Э. Матье, Искусство Древнего Египта. Л., 1962. Б. А. Тураев, Египетская литература, т. I, М., 1920. Культура Древнего Египта, отв. ред. И. С. Кацнельсон, М., 1976. Всемирная история в (10-ти томах), т. I, под ред. Ю. П. Францова. М., 1956.

მსოფლიოსა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის
ქრესტომათიებში.¹

მართლაცდა,ძველი ეგვიპტის ამ უდიდესმა ფარაონმა,
რამსეს II-მ თავის შესახებ დაგვიტოვა მარად დაუეწიარი
მოგონება. რამსეს II-ის პოპულარობა ისტორიის ძველ
და ახალ დროში იმდენად მაღალი იყო, რომ თავისი
გამოხატულება პოვა არა მარტო მეცნიერულ, არამედ
ისტორიული ხასიათის მხატვრულ ნაწარმოებებშიც.²

1. *Хрестоматия по истории Древнего мира - Древний Восток*. 1 ч. под. ред. Струве В. В., М., 1950. *Хрестоматия по истории Древнего Востока*, ч. 1. под. ред. Коростовцева М. А., М., 1970. *Тематическая хрестоматия по истории древнего мира*. ч. I., Составитель Н. Н. Пикус. М., 1963. *История Древнего Востока: материалы по историографии*, под. ред. В. И. Кузишина А. А., Вагина. М., 1991.

2. Эберс Г., Уарда. М., 1963. ცნობილი გერმანელი
ეგვიპტოლოგი და რომანისტი. რამსეს II მეფობის დროს
მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა კადეშთან ხეთების
წინააღმდეგ ეგვიპტელების ბრძოლის მხატვრულ-ისტორიულ
ასახვას. Parain Ch. (Парэн III.) *Lavie de Ramses II*. O. 1930.
ფრანგი მწერალი, რომლის რომანი ეძღვნება რამსეს II
ცხოვრებასა და მოღვაწეობას, დაწერილია ისტორიულ
დოკუმენტებზე დაყრდნობით, ისტორიული რომანის სტილში.
არავითარ ინტერესს არ იწვევს მეცნიერული ღირებულების
მხრივ, მაგრამ თავისი ფორმით ეს წარმტაცი ნაწარმოები
სარგებლოდდა მკითხველებში დიდი წარმატებით. Velikovsky
I. (Великовский И.), *Ages in chaos, Ramses II and his time* L. 1978.
დასავლეთში ცნობილი ასტროლოგ-ფანტასტი, რომელმაც
ასევე დაწერა ფანტასტიკური ხასიათის საეციალური ნაშრომი
რამსეს II-ისა და მისი დროის შესახებ. Блок А., *Рамзес*. Вкн.
А. Блок, собр. соч. т. 4. М.-Л. 1961. გამოჩენილი რუსი პოეტი,
მისი პიესა ეძღვნება რამსეს II მმართველობის პერიოდს.
ყურადღება გამახვილებულია ეგვიპტის საზოგადოების
სოციალურ მხარეზე. მთელ რიგ სცენებში ლაპარაკია
მოხელეების მიერ ხალხის შევიწროებასა და ძარცვაზე. თუ
რა რიგ გამანადგურებელი იყო ხალხისთვის გადასახადები
და ხშირი ომები.

ეს აიხსნება არა მარტო მისი აღმშენებლობითი საქმიანობით, არამედ იმითაც, რომ მის დროს მოხდა ეგვიპტის, როგორც ძლევამოსილი იმპერიის, უკანასკნელი აღზევება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ძველი ეგვიპტის ისტორიის შესახებ არსებული მეცნიერული ლიტერატურა, სამწუხაროდ, ძალიან მწირია. ქართველ მეცნიერთა შრომებიდან, უპირველესად, აღსანიშნავია მ. ხვედელიძის ძველი ეგვიპტის ისტორიის ზოგადი მიმოხილვა.¹ ასევე მისივე ავტორობით გამოცემული რამდენიმე სტატია.² უაღრესად მნიშვნელოვანია გრ. გიორგაძის მეცნიერული სტატიები, რომლებიც უშუალოდ ეხება რამსეს II-ის პერიოდის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებს, კადეშთან ბრძოლას და ხეთებთან დადებული ხელშეკრულების პრობლემატურ საკითხებს, მასვე ეკუთვნის ამ ხელშეკრულების აქადური ვარიანტის თარგმანი.³

1. მ. ხვედელიძე, ძველი ეგვიპტე, იხ. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, რედ. გ. მელიქიშვილი, თბ., 1988.

2. მ. ხვედელიძე, ფარაონი ხოფსი და ახალი აღქმა? იხ. კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული №XI, რედ. გრ. გორგაძე, თბ., 2004. Проблема бога в изученный Древнеегипетской религий. см. Кавказско-ближневосточный сборник, т. VII, ред. Гр. Гиоргадзе, Тб., 1984. Заметки о древнеегипетской драме эпохи Древнего царства. см.. Кавказско-ближневосточный сборник, т. VI, ред. Гр. Гиоргадзе, Тб., 1980. ... ეგვიპტის ფარაონი - „ღმერთი“ თუ „ადამიანი“?, კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული XII, თბ., 2006.

3. გრ. გიორგაძე, რამსეს II-ისა და ხათუსილი III-ის საზავო ხელშეკრულების აქადური ვარიანტი, იხ. ქართული დიპლომატია, წელიწდეული 3, რედ. როინ მეტრეველი, თბ., 1996. ეგვიპტელებისა და ხეთების პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან (კადეშის ბრძოლა), გორის დამოუკიდებელი პედაგოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებული: 1995.

საყურადღებოა ნ. დარსანიას მონოგრაფია,¹ რომელშიც განხილულია ფარაონ ამენხოტეპ IV (ეხნატონის) მიერ განხორციელებული რელიგიურ-პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური რეფორმა. რეფორმატორი ფარაონის პიროვნებისა და XIX დინასტიის ხანის ეგვიპტის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურის საკითხები გაშუქებულია მისივე ავტორობით გამოქვეყნებულ სტატიებში.²

ეგვიპტის კულტურის საკითხებს ეხება მ. ჯიშკარიანის, ხ. ბაბუნაშვილის, თ. სამუშიას პუბლიკაციები.³

მიუხედავად იმისა, რომ XIX დინასტიის პერიოდის ეგვიპტის ისტორიისა და რამსეს II-ის მმართველობის დროის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენების გამოკვლევისა და შესწავლისათვის გაწეულია ნაყოფიერი მეცნიერული მუშაობა, რამსეს II-ის პიროვნებასთან, მის პოლიტიკურ მოღვაწეობასა და აღმშენებლობით საქმიანობასთან დაკავშირებული ზოგიერთი დღემდე გაურკვეველი საკითხი მათი საფუძვლიანად შესწავლის აუცილებლობის წინაშე გვაყენებს.

ამგვარად, ჩვენი მიზანია დოკუმენტური და

1. ნ. დარსანია, *ამენხოტეპ IV (ეხნატონის) სარწმუნოებრივი რეფორმა და მისი პოლიტიკური არსი*, თბ., 2005.

2. ნ. დარსანია, *მეოცნებე ფარაონი თუ ფანატიკოსი რეფორმატორი*, კრ. „ისტორიული ძიებანი“, თბ., 2005. ნ. დარსანია, *ძველი ეგვიპტის სოციალური სტრუქტურის სახელმწიფოებრივი დარეგულირება XIX დინასტიის დროს*, თსუ, *ქვემოქართლის ფილიალის მაცნე*, №1, თბ., 2006.

3. იხ. *კულტურის ისტორიის საკითხები IV*, რედ. გ. ლორთქიფანიძე, ქ. პავლიაშვილი, თბ., 1988.

ლიტერატურული წყაროების, რუს და დასავლეთ ევროპელ ეგვიპტოლოგთა ადრინდელი და ბოლოდროინდელი მეცნიერული ნაშრომების შესწავლისა და სათანადო მეცნიერული ანალიზის საფუძველზე განვიხილოთ და შესაბამისად გავაშუქოთ რამსეს II-ის, ძველი ეგვიპტის სახელმწიფოს ამ უაღრესად თვალსაჩინო ღიადერის პიროვნება, პოლიტიკური მოღვაწეობა და აღმშენებლობითი საქმიანობა.

ერთობ ფანატიკოსი, მაგრამ ენერგიული, შემოქმედი ფარაონის ამენხოტეპ IV-ის (ეხნატონის) მიერ გატარებულმა რელიგიურ-პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა რეფორმამ (მას ასევე უწოდებენ ელ-ამარნას რეფორმას)¹ ვერ გაუძლო დროის გამოცდას. მისი გარდაცვალების შემდეგ არ გამოჩნდა ამ საქმის ღირსეული გამგრძელებელი, რადგან დაახლოებულ პირთა შორის მას არ ჰყავდა ერთგული თანამებრძოლები, თავდადებული მიმდევრები მისი საქმისა. ისინი თავიანთი სულით, ბუნებით შორს იყვნენ დიდი, გაბედული რეფორმატორისაგან. ეხნატონთან მათ მხოლოდ ოქრო, თანამდებობები და ტიტულები აკავშირებდათ. ეხნატონის მემკვიდრეებმა ვერც დინასტიისა და ვერც ძლიერი სახელმწიფოს პრესტიჟი შეინარჩუნეს. შეირყა ეგვიპტის პოზიციები დასავლეთის კოლონიებში. მითანის სამეფო, რომელიც უკვე სამი თაობის მანძილზე მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა ეგვიპტესთან, ამაოდ ელოდა მისგან დახმარებას ხეთების ძლიერი სამეფოს წინააღმდეგ ბრძოლაში. ხეთებმა ამ დროისათვის არამარტო მითანის მიწები მიიტაცეს, არამედ სირიაში სტრატეგიული მნიშვნელობის ქალაქები კადეში და უგართი წაართვეს ეგვიპტეს.

ამენხოტეპ IV-ს (ეხნატონს) არ ჰყავდა ვაჟიშვილები

1. იხ. ნ. დარსანია, *ამენხოტეპ IV (ეხნატონის) სარწმუნოებრივი რეფორმა და მისი პოლიტიკური არსი*, თბ., 2005. გვ. 3.

და არც მისივე სულისკვეთების ახლო, სისხლით ნათესავეები. ამიტომ ფარაონის გარდაცვალების შემდეგ ეგვიპტის ტახტზე ავიდა მისი პირველი სიძე, ქალიშვილის მერიტატონის ქმარი, სემნეხ-კა-რა ძე. წ. 1353-1352 წ.წ.¹

ძველეგვიპტურმა წყაროებმა ვერ შემოგვინახა ამ ნამდვილად ეფემერული მეფობის ამსახველი რაიმე ნიშანდობლივი ნაკვალევი. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სემნეხ-კა-რა შეიძლება ყოფილიყო ფარაონის ერთ-ერთი კრეატურა, რომელთა შესახებ ჩვენ საუბარი გვქონდა წინა წიგნში.²

აშკარაა, ის გახლდათ მეტად უფერული, ენერგიულობასა და სახელმწიფო მმართველობის უნარს მოკლებული პიროვნება, რომელიც ძლიერს ინარჩუნებდა ეხნატონის სიკვდილის დროისთვის შექმნილ ვითარებას. სემნეხ-კა-რამ სულ სამი წელი იმეფა და ძალიან ადრე გარდაიცვალა. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა, როდესაც ეგვიპტის ტახტზე ავიდა ეხნატონის მეორე სიძე, მესამე ქალიშვილის ანსსენამონის მეუღლე, ტუტანხამონი („ამონის ცოცხალი სახე“) - ძე. წ. 1352-1343 წწ.

ტუტანხამონი მეტად იღუმალ და უცნაურ პიროვნებას წარმოადგენდა, სანამ 1922 წლის 29 ნოემბერს ეგვიპტოლოგ ჰოვარდ კარტერის მიერ არ იქნა აღმოჩენილი ტუტანხამონის აკლდამა.³ აკლდამაში

1. Перепелкин Ю. Я., *Кэпе и Семнех-ке-ре*, М., 1979, стр. 159.

2 იხ. ნ. დარსანია, *ამენხოტეპ IV (ეხნატონის) სარწმუნოებრივი რეფორმა და მისი პოლიტიკური არსი*, თბ., 2005. გვ. 53, 54, 57.

3. Авдиев В. В., *Древне-египетская реформация*, М., 1923, стр. 132.

ნაპოვნმა მდიდრულმა ნივთიერმა, მხატვრულმა და წერილობითმა მასალამ შესაძლებლობა მისცა მეცნიერებს შეესწავლათ ეგვიპტის ისტორიის ის საკმაოდ საინტერესო პერიოდი, როდესაც ეგვიპტის საზოგადოება ელ-ამარნას რეფორმიდან ისევ დაუბრუნდა თავის უწინდელ ცხოვრებას. ასევე, მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო ტუტანხამონის გარეგნობამ. კაიროს მუზეუმში ინახება ვარდისფერი გრანიტისაგან გაკეთებული მისი ქანდაკება. ამ ქანდაკებაზე გამოკვეთილ სახის ნაკეთებსა და ეხნატონის პორტრეტებს შორის საერთო პარალელების გავლებამ და მეტ-ნაკლებმა მიმსგავსებამ, გარკვეული ეჭვი და ჰიპოტეზა წარმოშვა. ეგვიპტოლოგთა ზოგიერთი წარმომადგენლის მხრიდან აზრიც კი გამოითქვა, ხომ არ იყო ის ეხნატონის ღვიძლი ძმა და ამენხოტეპ III-ის უმცროსი შვილი. მაგალითად, ფრანგი მკვლევარი გეორგ ბენედიტი თვლიდა მას ეხნატონის ძმად და ამენჰოტეპ III-ის და ტიის ვაჟიშვილად.¹ მაგრამ ყველა ეს თეორია ვარაუდის დონეზე დარჩა.

სწორედ ტუტანხამონის დროს გაუქმდა ატონის რელიგია. ის განწირული აღმოჩნდა არა ისტორიული პირობებისა და ვითარების შეცვლის შედეგად, არამედ თავისი არაბუნებრიობისა და ხელოვნურობის გამო. ფართო მასების მნიშვნელოვანი ნაწილის სრულმა მოუმზადებლობამ ახალი მოძღვრების აღსაქმელად, ათასწლოვანი კულტურისა და ტრადიციების ძლიერმა გავლენამ მილიონთა შეგნებასა და ცნობიერებაზე

1. Авдиев В. В., Древне-египетская реформация, М., 1923, стр. 133.

ტრაგიკული შედეგი გამოიღო ეხნატონის მიერ გატარებული რეფორმისათვის. ეხნატონის სიკედილმა, რომელიც რკინის ხელით ნერგავდა თავის მოძღვრებას, მოუსპო ამ უკანასკნელს ყოველგვარი საყრდენი. ის დაემხო, დაუთმო ადგილი ძველ რელიგიურ ტრადიციებს.¹

ტუტანხამონმა თავის ლიკვიდატორულ საქმიანობაში გამოაქვინა დიდი სახელმწიფო ტალანტი, დახვეწილი პოლიტიკური ტაქტი და სიფრთხილე. გადავიდა თუ არა ახეტატონიდან თებეში, მან არა ერთბაშად, არამედ ნელ-ნელა გაწყვიტა კავშირი ცხოვრების უწინდელ წესსა და სარწმუნოებასთან. ის თანდათანობით იწყებს გადასვლას თებეს რეაქციული ქურუმების მხარეზე. როგორც ეხნატონი, ისიც შეიცვლის სახელს. ტუტანხატონად წოდებული ახლა უკვე გახდება ტუტანხამონი. იმავდროულად, ატონის მოძღვრებასთან მიმართებაში უპირატესობა მიენიჭება ამონის რელიგიას. ამდენად, მან უარყო ატონი და აშკარად მიემხრო ამონის ქურუმობას. დაადგა რა რეფორმის შედეგების გაუქმების გზას, იმთავითვე იწყებს დიდი სამშენებლო საქმიანობის განახლებას, რომელიც შეჩერებული იყო ეხნატონის დროს. ქვეყანაში აღდგენილ იქნა ამონის თითქმის ყველა ტაძარი. ამონის ქურუმებს უბრუნდებათ მთელი თავიანთი ქონება. ამონის პატივსაცემად მზადდება მისი მანამდე არსებულ ქანდაკებასთან შედარებით უფრო დიდი ზომის ოქროს ქანდაკება, შემკული იშვიათი ძვირფასი

1. Тутанхамон и его время, сб. статей, ответственные редакторы Данилова И. Е., Кацнельсон И. С., М., 1976. стр. 76.

ქვემოთ.¹ ეხნატონის მიერ შერისხული წარჩინებულები და მათი ვაჟიშვილები აღადგინეს თანამდებობებზე. ამარნის რეფორმის უკანასკნელი ნაკვალევიც კი ამოძირკვეს ხალხის მეხსიერებიდან. ფარაონ-ერეტიკოსის და მთელი მისი ოჯახის გამოსახულებები და სახელები წაშალეს და დაასახიჩრეს. ღვთაება ატონის პატივსაცემად აშენებული ახალი, ერთ დროს მდიდრული დედაქალაქი ახეტატონი, უპატრონოდ მიგდებული, დავიწყებას მიეცა.

ეგვიპტის საგარეო მდგომარეობა ტუტანხამონის მეფობის დროს თითქმის არ შეცვლილა. მან გარკვეულწილად შეძლო ქვეყნის ყოფილი დიდების შენარჩუნება, რაც წყაროებიდან აშკარად ჩანს. მაგალითად, თებეს ნეკროპოლში, ჰევი - ამენხოტეპის აკლდამაში, რომელიც გახლდათ მეფის ნაცვალნი ნუბიაში ტუტანხამონის დროს, გამოსახულია საჩუქრების მირთმევის ცერემონია რეტენუს ქვეყნებიდან, ანუ პალესტინიდან და სირიიდან.²

ტუტანხამონი ძალზე ახალგაზრდა, 18 წლისა გარდაიცვალა (ის ტახტზე ავიდა 9 წლის ასაკში).³ მან ვერ მოასწრო თავისი თავის, როგორც სახელმწიფო მმართველის, სრული გამოვლენა. მისი მეფობით მთავრდება XVIII დინასტიის ფარაონთა სია. მძიმე და მშფოთვარე იყო ამ ფარაონის მოღვაწეობის პერიოდი.

ხეთური წერილობითი წყაროები გვამცნობენ, რომ

1. *Кристиан Жак, Египет Великих фараонов, М., 1992, стр. 211.*

2. *Тутанхамон и его время, сб. статей, ответственные редакторы Данилова И. Е., Кацнельсон И. С., М., 1976, стр. 12.*

3. *Кристиан Жак, Египет Великих фараонов, М., 1992, стр. 209.*

ტუტანხამონის ქვრივი, დედოფალი ანხსენპაატონი (შემდგომში ანხსენპაამონი) მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მიმართავს თხოვნით ხეთების მეფეს სუფილულიუმას გამოგზავნოს ეგვიპტეში მისი ძე ცანანცა. ხეთების უფლისწულზე ქორწინებით ეგვიპტის ტახტის უკანასკნელი კანონიერი მემკვიდრე ანხსენპაამონი იმედოვნებდა მდგომარეობის შენარჩუნებას. მისი მცდელობა განუხორციელებელი აღმოჩნდა. ხეთების უფლისწული ეგვიპტეში მგზავრობის დროს დაიღუპა. ამის შემდეგ ის დაქორწინდა ხანდაზმულ ვეზირზე ეიეზე. ეს ის ეიეა, რომელიც ატარებდა უჩვეულო ტიტულს „ღვთის მამის“ სახელს.¹ ეიე, ფარაონის ყველაზე ახლობელი ადამიანი, ეხნატონის ძიძის ქმარი იყო. ეფემერული მბრძანებელი თავისი ხანმოკლე სამწლიანი მმართველობის პერიოდში ამაოდ ცდილობდა შეურიგებლის შერიგებას. ბოლოსდაბოლოს იძულებული გახდა დაეთმო დროის მოთხოვნისათვის და საბოლოოდ გადასულიყო ამონის ქურუმთა მხარეზე, რაზეც მოწმობს მისი ახალი საძვალე თებეში (მიუხედავად იმისა, რომ ახეტატონის კლდოვან მადლობზე მას უკვე ჰქონდა მომზადებული მდიდრული აკლდამა). ეიე მალე გარდაიცვალა. ანხსენპაამონის შემდგომი ბედი უცნობია.

ამგეარად, ერთ დროს ბრწყინვალე XVIII დინასტია სრულდება დინასტიური კრიზისით, რაც თავის მხრივ დიდ საფრთხეს უქმნიდა ქვეყანას, მოშლილი შინაგანი წონასწორობისა და შერყეული საგარეო მდგომარეობის

1. მ. ხედეელიძე, ძველი ეგვიპტე, იხ. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, რედ. გ. მელიქიშვილი, თბ., 1988, გვ. 167.

პირობებში. შექმნილ რთულ ვითარებაში ტახტს ხელში იგდებს სამხედრო წოდების წრის წარმომადგენელი, მაღალი სამხედრო თანამდებობის პირი ხორემხები (ძვ.წ. 1339-1304 წწ.).¹ იგი ტუტანხამონის გამეფების დღიდან ფაქტიურად განაგებდა ეგვიპტეს. ახალგაზრდა, ენერგიული და მეომრული სულისკეთების მქონე ხორემხებმა ქვეყანას უწინდელი თვითმყოფადობა დაუბრუნა, აღადგინა ძველთაძველი, საუკუნოვანი ჩვეულებები და ტრადიციები. მან ბოლომდე მიიყვანა ამარნის რეფორმის ლიკვიდაცია, ნიადაგი მოუმზადა XIX დინასტიის მხედრული შემართების ფარაონთა ბრწყინვალე პლეადას. გამეფებისთანავე ის შეეცადა ქვეყნის შიდა და საგარეო საქმეების მოწესრიგება-მოგვარებას. ასევე გააგრძელა და დაასრულა ეხნატონის სახელთან და მის გარდაქმნებთან დაკავშირებული არქიტექტურული ძეგლების განადგურება. მიწასთან გაასწორა ახეტატონი, დაანგრია კარნაკში ეხნატონის მიერ აგებული ატონის ტაძარი, ხოლო მისი ქვის ბლოკები გამოიყენა ამონის ბრწყინვალე ტაძრის სამი ახალი პილონის ასაგებად. ამით ხორემხებმა სამუდამოდ მოსპო ქვეყანაში ეხნატონის მზის დისკოს ღვთაების – ატონის სახსენებელი. შემდგომი ეგვიპტური ტრადიცია არ ცნობდა ამენხოტეპ III-ის სამ მემკვიდრეს და ყველა ეგვიპტურ ცხრილში XVIII დინასტიას ასრულებს ხორემხები, რომელიც უშუალოდ ამენხოტეპ III-ის შემდეგ არის მოხსენიებული.²

1. მ. ხეიდელიძე, ძველი ეგვიპტე, იხ. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, რედ. გ. მელიქიშვილი, თბ., 1988, გვ. 167.

2. იქვე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხორემხების მმართველობასთანაა დაკავშირებული ახალი პოლიტიკური მიმართულების ჩამოყალიბება, რომლის მთავარ ამოცანას კვლავ ფარაონის ხელისუფლების განმტკიცება წარმოადგენდა. ამიტომ ეხნატონის რელიგიური პოლიტიკის უარყოფა ნიშნავდა, პირიქით, ქვეყნის ხელისუფალის მდგომარეობის გაძლიერებას. შესაძლებელია იმ დროისათვის შექმნილი მძიმე საშინაო ვითარების პირობებში რეფორმა მართლაც ასუსტებდა ფარაონის პოზიციებს, ავიწროებდა მის სოციალურ საფუძველს. ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ამაში მდგომარეობდეს ხორემხების გააფთრებული ბრძოლის მიზეზი ერეტიკოსი ფარაონის მოძღვრების წინააღმდეგ და არა თებეს წარჩინებულთა სიძულვილში ეხნატონის მიმართ.¹ აღსანიშნავია, რომ როგორც ხორემხების, ასევე მისი მემკვიდრეების დროს ბიუროკრატიულ ზედაფენაში ყოველთვის იყვნენ მრავლად არაწარჩინებული ფენის წარმომადგენლები. ხელისუფლება გამოდის წვრილი და საშუალო მესაკუთრეთა ინტერესების დამცველად. ხორემხების მმართველობის წლებში მის მიერ გამოიცა ბრძანებულება, რომლის თანახმად მკაცრად ისჯებოდნენ ის თანამდებობის პირები, რომელთაც ბრალი მიუძღოდათ თანამდებობის ბოროტად გამოყენებასა და თვითნებობაში ამ ფენის წარმომადგენელთა მიმართ. ისჯებოდნენ ისინი, ვინც უხეშად არღვევდა მათ ქონებრივ უფლებებს, იჩენდნენ

1. Шниук Н. Ф., *История древнего мира: Древний Восток*, ч. 1, Свердловск, 1991, стр. 130.

მიკერძოებას სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებისას.¹

ქვეყანაში პოლიტიკურ ძალთა გადაჯგუფების შედეგად მაღალ სახელმწიფო თანამდებობაზე ახალი პოლიტიკური სახეები წარმოჩნდნენ, რომლებიც მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული ჩრდილოეთ ეგვიპტის ღმერთების კულტებთან. ხორემხების გარდაცვალების შემდეგ, მათი წრიდან გამოვიდნენ XIX დინასტიის დამაარსებელი ფარაონები – რამსეს I და მისი მემკვიდრე სეტი I.

XIX დინასტიის მმართველობა (ძვ.წ. 1314-1200 წწ.), ეგვიპტის სახელმწიფოს უწინდელი ძლევამოსილების აღდგენისა და მისი მსოფლიო ზესახელმწიფოდ გადაქცევისათვის თაუდაუზოგავი, უღმობელი ბრძოლით იწყება. ამ ამოცანის განხორციელებისა და დასახული მიზნის მიღწევის აუცილებლობა განპირობებული იყო იმით, რომ XVIII დინასტიის მმართველობის ბოლო პერიოდის მოვლენებმა ფაქტიურად აღკვეთეს ეგვიპტის ბატონობა არა მარტო წინა აზიაში, არამედ ნუბიის მნიშვნელოვან ნაწილში. თუ ნუბიაში მას მაინც ჰქონდა შენარცუნებული ძალაუფლება და გარკვეული შესაძლებლობებიც კი გააჩნდა აღედგინა ამ ტერიტორიაზე სრული კონტროლი, პირიქით, აზიაში ვითარება მთლიანად შეიცვალა, რადგან აქ პოლიტიკას უფრო მეტად ხეტები წარმართავენ.

ახალი დაპყრობითი ლაშქრობისათვის მზადება ჯერ კიდევ ხორემხებმა დაიწყო, რაზედაც მოწმობს მის

1. Хрестоматия по истории древнего Востока, под. ред. Коростовцева М. А. и др., М., 1980, стр. 100-102.

მიერ გამოცემული ბრძანებულება, რომელიც იცავდა იმათ ინტერესებს, ვისგანაც ყალიბდებოდა ეგვიპტის ჯარი. ჯარის რაოდენობრივად ზრდის გამო, აუცილებელი გახდა ოთხი დამოუკიდებელი სამხედრო შენაერთის შექმნა, რომელთა შემადგენლობაში შედიოდნენ როგორც ეტლოსნები, ისე ქვეითებიც. ყოველ შენაერთს ჰყავდა მეთაური, გააჩნდა საკუთარი ნიშანი და ჰქონდა სახელწოდება. მათ დაერქვათ ღვთაებების: ამონის, რა-ს, სეტხის და პტახის სახელები. ღვთაების სახელები უბრალო განსხვავებულ ნიშანთვისებას კი არ წამოადგენდა, არამედ მათი მხრიდან ჯარის მფარველობის გამოხატვას ნიშნავდა.¹

რამსესი იყო ხორემხების მმართველობის პერიოდში მასთან ყველაზე დაახლოებული, დიდგვაროვანი სამხედრო პირი, ქ. ტანისიდან (სამხრეთ-აღმოსავლეთ დელტაში). მას ერთდროულად ეკავა ეგვიპტის არმიის მთავარი ზედამხედველის, ვეზირის, ქურუმების უფროსის და სხვა მაღალი თანამდებობები. ხორემხების გარდაცვალების შემდეგ იგი ეგვიპტის ფარაონი ხდება. რამსეს I-ის გამეფებით (ძვ.წ. 1304-1303 წწ.) იწყება ეგვიპტის XIX დინასტია. ამ დროისათვის ის უკვე საკმაოდ ხანდაზმული კაცი იყო, ამიტომ მან თანამმართველად დაინიშნა თავისი ვაჟი სეტი, ასევე სამხედრო პირი, რომელიც მანამდე ასრულებდა მეშვილდისრეთა უფროსის, შემდეგ კი ვეზირის მოვალეობას. რამსეს I-ის მმართველობა ძალიან ხანმოკლე გამოდგა და ტახტზე ადის სეტი I, რომელიც მეფობდა ძვ.წ. 1303-1290 წწ. მისი კარგად შენახული

1. Шилиук Н. Ф., *История древнего мира: Древний Восток*, ч. 1, Свердловск, 1991, стр. 131.

მუმიის მიხედვით, მეცნიერები ასაბუთებენ, რომ ის იყო საშუალო სიმაღლის ადამიანი, ძლიერი მბრძანებლური სახის გამომეტყველებით, მძიმე ყბითა და ფართო ნიკაპით. მას სახეზე აშკარად ეტყობოდა მტკიცე ნებისყოფა, გამბედაობა, საკუთარი ღირსების გრძნობა.¹ გამეფებისთანავე მან ყურადღება მიაპყრო მიტოვებულ საგარეო საქმეებს. იგი დაუყონებლივ იწყებს დაპყრობით ლაშქრობებს, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება წესრიგის დამყარება პალესტინაში. აქედან სეტი I ცეცხლითა და მახვილით გაივლის მეგიდოს ველის დასახლებულ პუნქტებს, ხოლო შემდგომ დასავლეთით გაიკვლევს გზას ლიბანის მთის განშტოებაზე. ლიბანის ადგილობრივმა მეფე-მთაყრებმა, როგორც კი იხილეს აღორძინებული ეგვიპტის სახელმწიფოს სამხედრო სიძლიერე, დაუყონებლივ მიართვეს სეტი I-ს ხარკი. ფინიკიის სანაპიროს ქალაქები მორჩილებას უცხადებენ ფარაონს. პირველ რიგში, სავაჭრო ქალაქი ტიროსი. ეგვიპტელებმა ზღვის სანაპიროზე აღადგინეს ბაზები, რომლებიც მთავარი საყრდენი პუნქტები გახდებოდა ეგვიპტის ფლოტისთვის, ჩრდილოეთის მიმართულებით ეგვიპტელთა შემდგომი წინსვლის შემთხვევაში. ამის შემდეგ სეტი I ბრუნდება სამშობლოში.

სეტი I ეს ლაშქრობა პირველი ეტაპი გახლდათ მისი დიდი დამპყრობლური გეგმისა. ამიტომ, სანამ ისევ განახლდებოდა სამხედრო ლაშქრობები წინა აზიაში, აუცილებელი იყო ზურგის უენებელყოფა. აქედან გამომდინარე, ის იძულებულია განახორციელოს

1. Кристиан Жак, Египет Великих фараонов, М., 1992, стр. 221.

სადამსჯელო ექსპედიცია ქვეყნის დასავლეთში
ლიბიელ ტომთა ახალი თავდასხმის აღკვეთის მიზნით.

ლაშქრობის მეორე ეტაპზე მან შეძლო ეგვიპტის
გავლენის აღდგენა სირიის ქალაქებში, ეგვიპტისათვის
ისეთი მნიშვნელოვანი, სტრატეგიული პუნქტის
დაბრუნება, როგორიც იყო კადეში, რაც მტკიცდება
ამ ქალაქში ნაპოვნი სეტი I-ის სტელით. ქვეყნის შიგნით
ის აგრძელებს ხორემხების მიერ დაწეულ საქმეს –
ეხნატონის მიერ დანგრეული ტაძრებისა და კანონების
რესტავრაციას.¹ აღსანიშნავია, რომ ხანგრძლივი დროის
შემდეგ ისევ ჩნდება საომარი ბატალიების ამსახველი
ფრესკები, კარნაკში, ამონის ტაძრის კედლებზე
გამოსახული სცენები ეძღვნება სეტი I-ის მიერ
წარმოებულ მძიმე ბრძოლებს და ამ ბრძოლებში
მიღწეულ გამარჯვებებს.²

ამ ლაშქრობების შედეგად აღდგა ეგვიპტელთა
ბატონობა ხელახლა დაპყრობილ ოლქებში და
შეჩერდა ხეთების შემდგომი წინსვლა სამხრეთის
მიმართულებით. წინა აზიაში ჩამოყალიბდა ეგვიპტისა
და ხეთების გავლენის სფეროები, რაც განმტკიცდა
სეტი I-ისა და ხეთების მეფის მურსილის ძის
მუვათალის შორის დადებული ხელშეკრულებით.
მიუხედავად ამ შეთანხმებისა, ორივე ძლევამოსილი
სახელმწიფო გამალებულად ემზადებოდა მომავალი
ბრძოლებისათვის.

1. მ. ხედეელიძე, ძველი ეგვიპტე, იხ. ძველი აღმოსავლეთის
ხალხთა ისტორია, რედ. გ. მედიქიშვილი, თბ., 1988, გვ. 168.

2. Шлык Н. Ф., История древнего мира: Древний Восток,
ч. 1, Свердловск, 1991, стр. 131.

რამსეს II იმეფა 66 წელი, ძვ.წ. 1290-დან 1224 წლამდე. მისი პიროვნება ეგვიპტეში უძველესი დროიდან დამკვიდრებული პოლიტიკური და რელიგიური ტრადიციის თანახმად განდიდებული და გაღმერთებული იყო. მას უწოდებდნენ „ეგვიპტის ახალგაზრდა მზეს“, „ოქროს მთას“, მზის ღვთაება „რას სრულყოფილ სახეს“.¹ იმათ, ვისაც უნახავთ რამსეს II-ის მუმია (რამსეს II 88 წლის ასაკში გარდაიცვალა), არასოდეს დააეწივდებათ მისი სახე. ეგვიპტის ისტორიაში ყველაზე გამოჩენილი ფარაონის სასიკვდილო ნილაბში გაქვავებული პირისახე მტკიცე ნებისყოფის მქონე ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ის თითქოსდა ცოცხალია. მას არწივისებური ცხვირი, ძლიერი ყბა და მსხვილი ტუჩები აქვს... ადამიანი ქმედების და ამავე დროს ადამიანი მაღალი კულტურის ასეთად წარმოგვიდგება დიდი რამსესი.² XXI დინასტიის დროს ამონის ქურუმებმა იხსნეს მუმია მმარცველებისაგან. ძველი ეგვიპტური ტექსტები გვაუწყებენ, რომ რამსეს II-ის ნეშტი ხელახლა გადაასვენეს და მოათავსეს მისი მამის, სეტი I-ის სამაროვანში, ხოლო შემდგომ გადაიტანეს დერ-ელ-ბახრის აკლდამაში. სწორედ ამ ადგილას იქნა ის აღმოჩენილი. ასევე ნაპოვნია მუმიის გადატანის ოქმი, სადაც მითითებულია ამ პროცედურის შესრულებისათვის პასუხისმგებელ მოხელეთა სახელები.³

1. Кристиан Жак, Египет Великих фараонов, М., 1992, стр. 226.

2. Там же.

3. Там же.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რამსეს II ფარაონ სეტი I-ისა და დედოფალ ტუის ვაჟი¹შვილი იყო. მისი დედის საპატივცემულოდ კულტიც კი იქნა დაწესებული. დედოფალი ტუი ქედმაღალი, მედიდური და საკმაოდ ლამაზი ქალი გახლდათ. ტახტის მემკვიდრეს სიყრმიდანვე ზრდიდნენ ერისა და ქვეყნისადმი ღრმა პატივისცემისა და სიყვარულის სულისკვეთებით. თავისი ბუნებით ის იყო მბრძანებელი, შეუდრეკელი და შეუვალი. თითქმის ყველა დღემდე აღმოჩენილ ძველ ეგვიპტურ ქალაქებს აშკარად ამჩნევია რამსეს II-ის ცხოვრების ნაკვალევი. ეგვიპტელთა წარმოდგენით ის სამყაროს მბრძანებელია. მის ზე სახელებს მაგიური ძალა გააჩნდა. ფარაონის გარდაცვალებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგაც, არამარტო ეგვიპტეში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ხდებოდა სკარაბეოსებზე² ამ სახელების ამოკვეთა.

რამსეს II არც ერთ ხელსაყრელ შემთხვევას არ უშეებდა ხელიდან, შეეხსენებინა თავის ქვეშევრდომთათვის, რომ იყო ეგვიპტელთა სულიერი მოძღვარი, სახელმწიფოს უშრეტი წყარო. იმდროინდელ ტექსტებსა და ძეგლებზე აღბეჭდილია ფარაონის მთელი მოღვაწეობა. მისი კოლოსები² აბუ-სიმბელეში წარმოგვიდგენენ მას ჰეროიკული, გაღმერთებული

1. სკარაბეოსი (ლათ. scarabeus), ფუნდურა ხოჭოს ერთ-ერთი სახეობა. ძველ ეგვიპტეში ითვლებოდა მზის ღვთაების ერთ-ერთ გამოვლინებად. აქ სკარაბეოს კვეთდნენ ძვირფასი ქვისა და მოჭიჭული თიხისგან. ატარებდნენ როგორც აეგაროზსა და სამკაულს. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IX. თბ., 1985, გვ. 418.

2. კოლოსი – (ბერძნ. Kolossos) უზარმაზარი ქანდაკება, კოლონა და მისთ. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 5, თბ., 1980, გვ. 591.

სახით. მზის ღვთაების რჩეული ფარაონი გარდა ამისა არის კიდევ ძე ღვთაება პტახისა. სახელმწიფო თეოლოგია ეგვიპტის მბრძანებელს მიწიერ ღმერთადაც წარმოგვისახავს.

ამგვარად, სასახლეში დაბინავდა ფარაონი, რომელიც თავის თავს თელის ეგვიპტის ბურჯად, ოქროს შევარდნად, რომლის წინაშე მტრები ძრწიან. ის „მძინეარედ მოღრენალი ღომია თავისი ბასრი კლანჭებით“. მართალია, ეს მეტაფორები ტრადიციულია, მაგრამ ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იქენს, რადგან წყაროების თანახმად რამსეს II-ს ჰყავდა მოთვინიერებული ღომი, რომელსაც გვერდიდან არ იშორებდა, მუდამ თან დაატარებდა და ომშიც კი ახლდა. რამსესის ღომი გამოსახულია კადეშის ბრძოლის სცენებზე, ამონის კარნაკის ტაძრის ბარელიეფზე.¹ გადმოცემის თანახმად, სადამოშობით ეს ვეებერთელა კატა სთვლემდა პატრონის კარვის წინ და არავის უშვებდა მასთან ახლოს. ეს ლეგენდაც რომ იყოს, ის შესანიშნავად გამოხატავს ფარაონის ხასიათს, რომელსაც მართლაც ძალუძდა ნებისმიერი მოწინააღმდეგის დაჩოქება-დამორჩილება ან მისი სრული განადგურება.

რამსეს II გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე იყო. მას თავისუფლად შეეძლო სათანადოდ შეეფასებინა, გაერკვია პოლიტიკური ვითარებისა და ცხოვრების ნებისმიერი ნიუანსი, ჩვეული პოლიტიკური გონებამახვილობითა და გამჭრიახობით წარემართა სახელმწიფოს პოლიტიკა, განეჭვრიტა და დაესახა

1. Кристиан Жак, Египет Великих фараонов, М., 1992, стр. 305.

ეგვიპტის, როგორც ძლევაშოსილი სახელმწიფოს წინსვლის მაგისტრალური მიმართულება და ამავე დროს ყოველთვის დარჩენილიყო უმაღლეს ავტორიტეტად ქვეყანაში.

ძველი რელიგიური დოქტრინის თანახმად, ფარაონები ღვთაებრივი წარმოშობის არსებებად ითვლებოდნენ – სამყაროს შემქმნელ ღმერთთა „შვილებად“, ამიტომ ისინი რელიგიური თაყვანისცემის ობიექტები ხდებოდნენ.¹ რამსეს II ფიგურა ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენდა. როგორც სიცოცხლეში, ისე გარდაცვალების შემდგომ მისმა გაღმერთებამ და საკულტო მსახურებამ ფართო ხასიათი მიიღო არა მარტო ეგვიპტეში, არამედ მის გარეთაც. რამსეს II-ის მიწიერი ღმერთის კულტი, გაბატონებული იყო პერ-რამსესში, ჰელიოპოლისში, აბიდოსში, რამესეუმში, კარნაკში, ლუქსორში და ეგვიპტის სხვა ცენტრებში. თავის საპატიეცემულოდ ის აშენებდა ტაძრებს, დგამდა გიგანტურ ქანდაკებებს, რომლებიც მისი სახელისადმი თაყვანისცემისა და საკულტო მომსახურების ადგილები ხდებოდნენ.²

რამსეს II-ის გაღმერთების ტრადიციამ განსაკუთრებულ განვითარებას მიაღწია ნუბიაში. მას თაყვანს სცემდნენ აბუ-სიმბლის, გერფ-ჰუსეინის, ვადი ელ-სებუას, ბეით ელ-ვალის, აქაშის ტაძრებში. ზოგიერთ მათგანში (აბუ-სიმბელეში, ბეით ელ-ვალში, აქაშში) გააჩნდათ მისი გამოსახულებანი, სადაც ის თვითონ ეთაყვანება თავის თავს როგორც ღმერთს.³ ბ. ა. ტურაევი წერდა: რამსეს

1. Коростовцев М. А., *Религия Древнего Египта*. М., 1976. стр. 151-155.

2. Стучевский И. А., *Рамсес II и Херихор*. М., 1984. стр. 101

3. Коростовцев М. А., *Религия древнего Египта*. М., 1976. стр. 321..

II თავად ისე წარმოგვიდგება ღმერთად, ისეთი მომთხოვნელობით, როგორიც ძალიან ნაკლებად თუ ახასიათებდა რომელიმე მის წინამორბედთაგანს. მას არც კი ერიდება ღვთაებებთან გათანასწოებისა.¹ რამსეს II-მ ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანა პიროვნების გაღმერთების ის პრინციპები, რომლებიც უძველესი დროიდან იყო დამახასიათებელი ეგვიპტის საზოგადოებისათვის.

ამავე მიზანს ემსახურებოდა ეგვიპტის ფარაონთა მიერ იუბილეების საზეიმო ვითარებაში აღნიშვნა. რამსეს II-მ თავისი მეფობის 66 წლის განმავლობაში იზეიმა 14 იუბილე „ოცდაათწლეული“ (ჰებ-სედი), რაც თავისი რაოდენობით აღემატება სხვა რომელიმე ფარაონის მიერ აღნიშნულ მსგავს იუბილეს.² ყველა ამ დღესასწაულზე მონაწილეობდა მრავალი თანამდებობის პირი, მაგრამ მხოლოდ ცხრა შემთხვევაში არის ცნობილი მათი სახელები. რამსეს II-ის საყვარელი ვაჟიშვილი, უფლისწული ჰაემუასი და ვეზირი ჰა ერთობლივად ხელმძღვანელობდნენ პირველ ხუთ იუბილეს, ხოლო ვეზირი ჰა კიდევ მეექვსე იუბილეს. ჰაემუასმა დატოვა უფრო მეტი წარწერები თავისი მამის საიუბილეო ზეიმების შესახებ, ვიდრე ვეზირმა ჰამ. მაგალითად, ჰებელ-ელ-სილსილეში ხორემხების მღვიმის ტაძარში ჰაემუასის მიერ დაფიქსირებულია სამი წარწერა, ასუანის მხარეში ორი და ელ-ქაბეში ერთი, რომლებიც გვაუწყებენ რამსეს II-ის საიუბილეო საზეიმო ცერემონიალების

1. Тураев Б. А., *История древнего Востока*, т. 1, Л., 1935, стр. 333.

2. Стучевский И. А., *Рамсес II и Херихор*. М., 1984. стр. 102.

შესახებ.¹ იმავე მღვიმის ტაძარში შესასვლელის ორივე მხარეს ჰაემუასმა ბრძანა ორი სტელის დადგმა. ასევე ასუანის მხარეში, კუნძულ ბიგის აღმოსავლეთ ნაწილში, მისივე ბრძანებით დაიდგა კიდევ ერთი სტელა; ეს ტექსტები მიუთითებენ რამსეს II-ის საზეიმო ვითარებაში აღნიშნულ საიუბილეო თარიღებზე. ამენხოტეპ III-ის ტაძრის ფასადზე ელ-ქაბში, ჰაემუასი გამოსახულია მამის წინაშე. იქვეა მოთავსებული ტექსტი, რომელიც გვაუწყებს მის მოსვლას ამ ადგილას რამსეს II-ის მეფობის 41-ე წელს მამამისის რიგით მე-5 იუბილის გამოსაცხადებლად.²

ეგვირმა ჰა-მ ჰებელ ელ-სილსილეში, ხორემხების მღვიმეს ტაძარში, დადგა ორი სტელა წარწერით, რომელიც ეძღვნება რამსეს II-ის მე-6 იუბილეს. არაფერია ცნობილი მე-7, მე-8, იუბილეებზე, გარდა მწირი ცნობისა მე-8 იუბილეს შესახებ ბერლინის ერთ-ერთ სკარაბეოსზე. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, შესაძლებელია ეს იუბილეები აღინიშნა რამსეს II-ის მეფობის 49-52 წელს.³

რამსეს II-ის მე-9 იუბილეზე გვაუწყებს არმანტის ტაძრის პილონის⁴ შესასვლელში ამოტიფრული ტექსტი, სადაც ნათქვამია, რომ ფარაონმა უბრძანა

1. Стучевский И. А., Рамсес II и Херухоф. М., 1984. стр. 102.

2. Там же.

3. Kitchen K. A., *Rameside Inscriptions. Historical and Biographical.* vol. II. Ox. 1976. p.p. 395-396.

4. პილონი — (ბერძნ. Pylon) სიტყვასიტყვით — ჭიშკარი, შესასვლელი, გეგმით წაგრძელებული სწორკუთხედის სახის წაკვეთილი პირამიდისებური კოშკურა, ნაგებობა. პილონს აგებდნენ ძვ. ეგვიპტური ტაძრების ეიწრო შესასვლელის ორივე მხარეს, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. 8, თბ., 1984, გვ. 62.

რამესეუმის გამგებელს, სახელად იუფა-ს, გამოეცხადებინა მე-9 იუბილე მისი მეფობის 54-ე წელს. ხოლო მეფობის 57-ე და მე-60 წელს შესაბამისი ბრძანება მიეცა ვეზირ ნოფერრონტეჰს მე-10 და მე-11 იუბილეების თაობაზე. ასევე მეფობის 61-ე, 62-ე და 65-ე წლებში მსგავსი ბრძანება გაიცა მე-12–მე-13, მე-14 იუბილეების აღნიშვნის შესახებ. ამ ღონისძიებების ჩატარებაზე პასუხისმგებელ პირთა ვინაობა უცნობია.¹

არსებობს ასევე იმის დამადასტურებელი მონაცემები, რომ საიუბილეო ზეიმების ორგანიზებაში მონაწილეობდნენ ადამიანები, რომლებიც ასრულებდნენ იმ პიროვნებათა თანაშემწეების მოვალეობას, რომელთაც დაკისრებული ჰქონდათ ამ იუბილეების მოწყობა და ხელმძღვანელობა. ასე მაგალითად, ჰებელ ელ-სილსილეში, ხორემხების მღვიმის ტაძარში შემორჩა „თანაშემწის“ იუა-ს და გადამწერის იბჰაი-ს გამოსახულებები, რომლებიც მოვიდნენ უფლისწულ ჰაემუასთან ერთად რამსეს II-ის მე-4 იუბილის გამოსაცხადებლად. ამავე მღვიმის ტაძარში არის სხვა ანალოგიური ტექსტებიც. ერთ-ერთი მოიხსენიებს ვინმე რამეს-ს, უფლისწულ ჰაემუასის „თანაშემწეს“, რომელიც მოსულა რამსეს II-ის იუბილის გამოსაცხადებლად. იქვე მეორე წარწერაში საუბარია ჰაემუასის თანმხლებ პირზე, გადამწერზე, ვინმე სუნეროზე, რომელიც ასრულებდა ანალოგიურ დავალებას.² ვეზირ ჰა-ს სტელის ქვედა ნაწილში, ჰებელ-ელ-სილსილეში, რომელიც ეძღვნება

1. Kithen K. A., *Ramesside Inscriptions. Historical and Biographical. vol. II. Ox. 1976. p. 397-398.*

2. Стучевский И. А., *Рамсес II и Херухоп. М., 1984. стр. 103.*

რამსეს II-ის მე-6 იუბილეს, გამოსახულია სამი მლოცველი ადამიანი, ზემოთ აპყრობილი ხელებით. პირველი მათგანი იწოდება გადამწერ ხატიანი-ად, მეორე – გადამწერის ძმად, სახელად ნეფერხოტეპი, მესამე კი გადამწერ ჰაი-ად. იმავე ვეზირ ჰა-ს მეორე სტელის ქვედა ნაწილში, ჰებელ ელ-სილსილეში, მოიხსენიება გადამწერი ახბაკენამუნი. რასაკვირველია, ყველა ეს პირი ეხმარებოდა ვეზირს იუბილეების საზეიმოდ ორგანიზება-მოწყობაში.¹ ის ფაქტი, რომ მღვიმის ტაძარი ჰებელ ელ-სილსილეში ამორჩეული იყო რამსეს II-ის პირველი იუბილეების გასამართავად, მოწმობს ამ ადგილის რელიგიურ და სტრატეგიულ მნიშვნელობაზე. ადგილი, სადაც მდებარეობდა აღნიშნული ტაძარი, უშუალოდ ესაზღვრებოდა ნუბიას.

ფარაონის იუბილეების მოწყობაზე პასუხისმგებელი იყვნენ აგრეთვე ეგვიპტის ქალაქებისა და ნომების გამგებლები. რამსეს II-ის თოთხმეტივე იუბილე ზეიმიტ აღინიშნა მისი მეფობის 30-ე, 34-ე, 37-ე, მე-40, 42-ე, 45-ე, 55-ე, 58-ე, 61-ე, 62-ე, 64-ე და 66-ე წელს, მისი მმართველობის მეორე ნახევარში, ე. ი. ეგვიპტელების მიერ აზიაში საომარი მოქმედებების დასრულებისა და ხეთების მეფე ხათუსილი III-თან საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგ.²

საიუბილეო დღესასწაულებთან დაკავშირებით ეგვიპტეში ფარაონის სახელით იგებოდა შენობები, იდგმებოდა ობელისკები და ქანდაკებები, რომლებიც ეძღვნებოდა ღმერთებს, ფარაონის მფარველებს. ასე, მაგალითად, აბიდოსში რამსეს II-მ ბრძანა თავისი

1. Стучевский И. А., Рамсес II и Хеттос. М., 1984. стр. 104.

2. Там же.

ტადრის პირველ და მეორე პილონს შორის აღმართათ სამლოცველო მისი პირველი იუბილის აღსანიშნავად და ამოეკვეთათ შესაბამისი წარწერა. მსგავსი წარწერები აღმოჩნდა რამესეუმის კოლონადებზე ამ კომპლექსის დასავლეთ მხარეს. ხშირ შემთხვევაში რამსეს II ბრძანებდა გამოესახათ მისი სახე ამა თუ იმ ღვთაებათა გვერდით, რაზეც მოწმობს, მაგალითად, 1947 წელს ნაპოვნი ქვის ბლოკები, რომლებზეც გამოსახული იყო რამსეს II მფარველი ღმერთების გვერდით: სობეკთან, ხორთან, ჰარენდოტომთან, ნეითთან, მაატთან, ნეფტიდასთან, ისიდასთან, ხატხორთან, ამონ-რასთან, ანატთან. ეს ქვის ბლოკები კი წარმოადგენდნენ უფლისწულ ჰაემუასის დანგრეული აკლდამის ნაწილებს საკარადან, სადაც აღბეჭდილია სცენები რამსეს II-ის პირველი საიუბილეო ღონისძიებებისა, რომლის ჩატარებაში ჰაემუასს დიდი ამაგი მიუძღოდა.²

ამრიგად, ფარაონი რამსეს II ძველი სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი პოლიტიკური სახე გახლდათ. მისი, როგორც სახელმწიფო მოღვაწის უმთავრეს მიზანს ფარაონის ხელისუფლების განმტკიცება, ქვეყნის შემდგომი განვითარება, ეგვიპტის სახელმწიფოს ყოველმხრივი გაძლიერება წარმოადგენდა.

1. Тураев Б. А., *Египетская литература*, т. 1, М., 1920, стр. 107.

ფარაონ რამსეს II-ის ოჯახი მრავალრიცხოვანი იყო. გარდა ჰარამხანის მრავალი ცოლისა, ცნობილია მისი ოთხი „მთავარი“ ცოლი. ყოველ შემთხვევაში მას 100-ზე მეტი ვაჟიშვილი და 50-მდე ქალიშვილი ჰყავდა.¹ არის მეცნიერთა სხვა მონაცემებიც – 79 ვაჟიშვილი და 63 ქალიშვილი, ან 111 ვაჟი და 67 ქალი.²

რამსეს II-ის პირველი კანონიერი ცოლი იყო ნეფერტარი – მერენმუტი, რომელიც ითვლებოდა დედოფლად, როგორც ამას მოწმობს ამონის „პირველი ქურუმი“-ს ნებუნენეფის აკლდამაში გაკეთებული წარწერა, რამსეს II-ის უკვე ერთპიროვნული მმართველობის პირველ წელს.³ ნეფერტარი-მერენმუტი რამსეს II-ის ცოლი გახდა ჯერ კიდევ მისი მამის – ფარაონ სეტი I-თან თანამმართველობის დროს. სამწუხაროდ, უცნობია მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა. სრულიად აშკარაა, რომ ნეფერტარი-მერენმუტი ცოცხალი გახლდათ აბუ-სიმბელის სატაძრო კომპლექსის მშენებლობის დროსაც, რომლის მცირე ტაძარი მიძღვნილი იყო მისადმი. იქვე იდგა მრავალი მისი ქანდაკება. აბუ-სიმბელეში ის გაიგივებულია ღვთაებებთან: ხატხორთან, მუტთან, ანუკეტთან და

1. Брестед Дж., Тураев Б., История древнего Египта, Минск, 2001, стр. 442.

2. Petrie F. L., A History of Egypt. vol. III, L., 1905, p. 82. Тураев Б. А., История Древнего востока, т. 1, Л., 1935, стр. 312. Флавий Иосиф, О древности иудейского народа. Против Апиона. СПб, 1898, стр. 98. Стучевский И. А., Рамсес II и Харихор, М., 1984. стр. 105.

3. Франк-Каменецкий И. Г., Памятники египетской религии в Фиванский период. т. 1, М., 1917, стр. 75-77.

იწოდება ჩრდილოეთ და სამხრეთ ეგვიპტის მმართველად. ნეფერტარი-მერენმუტი წარმოდგენილია თავისი მეუღლის კოლოსების გვერდით აბუ-სიმბლესა და ლუქსორში. ცნობილია მისი გრანიტის ქანდაკება, ამჟამად დაცული ვატიკანში და აგრეთვე მისივე, შავი გრანიტისაგან გაკეთებული მჯდომარე ფიგურა, რომელიც ტურინში ინახება. ამ სათაყვანო დედოფლის აკლდამა აღმოჩენილ იქნა 1904 წ. თებეს დასავლეთ ნაწილში, დედოფალთა ველზე.¹ ნაპოვნია. მისი სახელით წარწერილი მრავალი სკარაბეოსი. დედოფალი ნეფერტარი-მერენმუტი გახლდათ რამსეს II უფროსი ვაჟიშვილის, უფლისწულ – ამონხერუნემეფის დედა.

რამსეს II-ის მეორე ცოლი ისტნოფრეტი იყო, რამდენიმე ვაჟიშვილის მშობელი, მათ შორის ისეთი სახელგანთქმული პიროვნებების, როგორსაც წარმოადგენდნენ მეოთხე ძე, უფლისწული ჰაემუასი, და მე-13 ვაჟი - უფლისწული მერნეპტახი. მერნეპტახმა შემდგომში მემკვიდრეობით მიიღო მამის ტახტი. დედოფალი ისტნოფრეტი მშობელი დედა გახლდათ რამსეს II-ის უფროსი ქალიშვილის - ფარაონის ასულის, ბენტ-ანატისა. ისტნოფრეტი გამოსახულია თავის შვილებთან მრავალ მონუმენტალურ ნაგებობებზე. ის ვაჟიშვილებთან ერთად წარმოდგენილია ერთობლივ სკულპტურულ ქმნილებებში, რომლებიც ამჟამად ინახება პარიზში.²

რამსეს II-ის მესამე მთავარ ცოლს, ხეთების მეფის

1. Франк-Каменецкий И. Г., Памятники египетской религии в Фиванский период. т. 1, М., 1917, стр. 75-77.

2. Там же.

ხათუსილი III-ის ქალიშვილი წარმოადგენდა, რომელზეც ის დაქორწინდა თავისი მეფობის 34-ე წელს. ხეთების მეფის ასული ამ დაქორწინების შემდეგ დებულობს ეგვიპტურ სახელს - მაატნეფრურა (რა-ს მშვენიერების მხილველი).¹ მაატნეფრურა გამოსახულია ხათუსილი III-თან ერთად სტელაზე, რომელიც ამოკვეთილია დიდი ტაძრის შიდა დარბაზის სამხრეთ კედელზე აბუ-სიმბელეში და წარმოადგენილია რამსეს II-ის გვერდით მის ერთ-ერთ კოლოსზე ტანისში. რამსეს II-ის მეოთხე მთავარი ცოლი გახლდათ ასევე ხათუსილი III-ის მეორე ქალიშვილი.² ცნობილია, რომ მის ჰარამხანაში იმყოფებოდა ასევე ბაბილონის მეფის ასული და ქვეყანა ზულაფის (ჩრ. სირია) მმართველის ასული.³

რამსეს II-ის უფროსი ვაჟი იყო ამონხერუნემეფი, რომელიც მოიხსენიება ჩვეულებრივ სატაძრო სიებში რამესეუმიდან, ლუქსორიდან და დერაადან. აგრეთვე ტურიზის ქანდაკებაზე. ასევე ბეით ელ-ვალის ტაძარში. დედოფალ ისტნოფრეტის ვაჟი - უფლისწული რამესესუ გამოსახულია დედამისთან და ძმა ჰემჟასთან ერთად პატარა სკულპტულურ ქმნილებაში, რომელიც, როგორც ზემოთაა აღნიშნული, ინახება დღესდღეობით პარიზში. ის აღბეჭდილია ასუანისა და ჰებელ ელ-სილსილეს სტელაზე. მისი გამოსახულების ნახვა შესაძლებელია აბუ-სიმბელის ტაძრის კედლებზე.

1. Тураев Б. А., *История древнего Востока*, т. 1, Л., 1935, стр. 307.

2. Стучевский И. А., *Рамсес II и Херихор*. М., 1984. стр. 105.

3. Schulman A. R., *Diplomatic marriage in the Egyptian new Kingdom* - JHES, 1979, vol. 38, p. 187.

უფლისწული პარაჰერუნამიფი ცნობილია რამდენიმე სიით, კერძოდ, ასევე აბუ-სიმბელეს ტაძრის წარწერებით.¹

რამსეს II-ის და დედოფალ ისტნოფრეტის ძე უფლისწული ჰაემუასი დიდი ხნის მანძილზე ყველაზე გავლენიანი პიროვნება გახლდათ მამამისის კარზე. ის ასრულებდა ღვთაება პტახის უმაღლესი ქურუმის მოვალეობას მემფისში და აღიარებული იყო ტახტის მემკვიდრედ რამსეს მეფობის 30-ე წელს.² ჰაემუასის შესახებ გვაუწყებს მრავალი წარწერა. ის მოხსენიებულია რამსეს II-ის შვილების სამ სიაში. ყმაწვილკაცობაში ის მონაწილეობდა სირიის ომებში, რაზეც მოწმობს, გამოსახულებანი და ტექსტები რამესუმსა და კარნაკში. ცნობილია სხვადასხვა სახის ნივთები ჰაემუასის აკლდამიდან, რომლებიც ნაპოვნია სერაპეუმში. ბრიტანეთის მუზეუმში ინახება ჰაემუასის მშვენიერი ქანდაკება.³

ჰაემუასის სახელი დიდხანს შემორჩა ეგვიპტეში. ეგვიპტელები მრავალი საუკუნის შემდგომაც, როგორც ამის შესახებ გვაუწყებენ ჰეროდოტე, ელინისტური და რომაული ხანის გვიანდელი დემოტიური⁴ ჩანაწერები, თავიანთ ზღაპრებში, წარმოსახავდნენ ჰაემუას (სატნი-ჰაემუასს ანდა სეტონს), ძლევამოსილ ჯადოქრად და მაგად უდიდესი ჯადოქრის, სა-ოსირისის მამად, რომელიც წარმატებით იბრძოდა

1. Стучевский И. А., Рамсес II и Херихор. М., 1984. стр. 106.

2. Д. Брестед, Б. Тураев, История древнего Египта, Минск, 2003, стр. 443.

3. Стучевский И. А., Рамсес II и Херихор. М., 1984. стр. 106.

4. დემოტიური დამწერლობა - ბერძ. Demotika სახალხო საყოველთაო იერატიკული დამწერლობის გაკრული ხელი, წარმოიშვა ძვ.წ. VIII ს.-ში. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 3, თბ., 1978, გვ. 467.

ეთიოპელი ჯადოსნების წინააღმდეგ. სწორედ მან უამბო მამამისს იგავი წმინდან უმწიკელო ტანჯულზე, იგავი, რომელიც ასე საოცრად ჰგავს სახარებისეულ ამბავს მათხოვარ ღაზარეს შესახებ.¹

რამსეს II-ის ვაჟი მენტუხერხოპშეფი მონაწილეობდა სამხედრო ლაშქრობებში აზიაში. სკარაბეოსი მისი სახელით ინახება ბერლინში. ის გახლდათ მეჯინბეთა და ეტლოსანთა უფროსი.

უფლისწული ნებენხარუ მონაწილეობდა ქალაქ დაფურის გარემოცვაში.

უფლისწული მერიამუნი ნახსენებია რამესსეუმში და ლუქსორში, გამოსახულია ქ. დაფურის გარემოცვის დროს.

უფლისწული ამენემუა წარმოდგენილია დერრას ტაძარში სეტიმუას სახელით. ისიც ქ. დაფურის გარემოცვის მონაწილეა.

უფლისწული სეთი, დედოფალ ნეფერტარი-მერენმუტის ვაჟი, რამსეს II-ის მეფობის 53-ე წელს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. ის გამოსახულია ქ. დაფურის გარემოცვისას და კარნაკის საბრძოლო სცენებზე.

ცნობილია ასევე უფლისწულების სეტეპენრას, რამერის, ხერხერუმეფისა და სხვათა სახელები.

დედოფალ ისტნოფრეტის ვაჟი, უფლისწული მერნეპტახი, რამსეს II-ის მეფობის 55-ე წელს მემკვიდრეობით ღებულობს ჰაემუასის ღვთაება პტახის უმაღლეს ქურუმის თანამდებობას მემფისში. იმავე წელს ის გამოცხადდება ტახტის მემკვიდრედ და

1. Коростовцев М. А., *Религия Древнего Египта*, М., 1978, стр. 38-39. Тураев Б. А., *Египетская литература*. т. 1, М., 1920. стр. 267.

რამსეს II გარდაცვალების შემდეგ ეგვიპტის ფარაონი ხდება.¹

რამსეს II-ის და დედოფალ ისტნოფრეტის უფროსი ქალიშვილით, ბენტ-ანატით იწყება რამსეს II-ის ქალიშვილების ლუქსორის სია. მისი ქანდაკება მოთავსებული იყო სინაიზე, ტანისში, კარნაკში, აბუ-სიმბლეში. გვხვდება წარწერებიც, რომლებშიც ბენტ-ანატი წარმოგვიდგება, არა მარტო როგორც „მეფის ასული“, არამედ, როგორც „ფარაონის დიდი მეუღლე“. აქედან გამომდინარე, სრულიად შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ რამსეს II დაქორწინდა თავის ღვიძლ შვილზე.

რამსეს II-ის ქალიშვილი მერიტამენი ლუქსორის სიაში რიგით მეოთხეა, ხოლო აბუ-სიმბლეს სიაში მეხუთე. ბენტ-ანატის მსგავსად, ისიც დაკრძალული იქნა დედოფალთა ველზე და ასევე ატარებდა „ფარაონის დიდი მეუღლის“ ტიტულს. რაც შესაძლოა მიუთითებს მის ქორწინებაზე მამამისთან. მისი გამოსახულება შემორჩა აბუ-სიმბელეში, ხოლო ქანდაკება ნაპოვნი იქნა ტანისში.

რამსეს II-ის ასული ნებეტაუი გამოსახულია ფარაონის კოლოსის გვერდით, აბუ-სიმბელეში. მისი აკლდამა იმყოფება ასევე დედოფალთა ველზე. ისიც ატარებდა „ფარაონის მეუღლის“ ტიტულს, რაც მიგვანიშნებს მის ქორწინებას მამამისთან.²

ასეთია მონაცემები რამსეს II-ის ზოგიერთ შვილზე. მან, ჯ. ბრესტედის სიტყვებით რომ ვთქვათ, „...დატოვა იმდენად მრავალრიცხოვანი ოჯახი, რომ ამ

1. Стучевский И. А., Рамсес II и Херихор. М., 1984. стр. 107.
2. Там же.

უკანასკნელთაგან წარმოიქმნა განსაკუთრებული კეთილშობილი რამესიდული კლანი, რომელიც კიდევ ოთხასი წლის განმავლობაში ატარებს, დანარჩენ ტიტულებთან ერთად, რამსესის სახელს... რამსესი ძალიან ამაყობდა თავისი უზარმაზარი ოჯახით და ხშირად უბრძანებდა მოქანდაკეებს გამოესახათ მისი ვაჟიშვილები და ქალიშვილები გრძელ მწკრივში ტაძრების კედლებზე.¹ უფროსი ვაჟიშვილები თან დაყვებოდნენ ფარაონს ლაშქრობებში. დიოდორეს გადმოცემის თანახმად, ყოველი მისი არმიის ცალკეული შენაერთი მისი შვილების მეთაურობის ქვეშ იმყოფებოდა.² მის ყველაზე სათაყვანო შვილს ჰაემუასი წარმოადგენდა... მაგრამ მისი ყურადღებით სარგებლობდნენ ყველანი. მისი საყვარელი ცოლები და ქალიშვილები ხშირად წარმოგვიდგებიან მის ძეგლებზე.³

1. Брестед Дж., *История Египта, с древнейших времен до персидского завоевания*, т. 2, М., 1915, стр. 143.

2. Диодор Сицилийский, *"Историческая библиотека"*, ч. 1, Санкт-Петербург, 1774, стр. 79.

3. Брестед Дж., *История Египта, с древнейших времен, до персидского завоевания*, т. 2, М., 1915, стр. 143.

ძველი ეგვიპტის ფარაონთა მეფობის დროის ქრონოლოგიური ჩარჩოების დადგენა მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენს. რასაკვირველია, ამ მნიშვნელობით არც რამსეს II-ის ხანგრძლივი მმართველობის ხანაა გამონაკლისი. რამსეს II-ის ტახტზე ყოფნის პერიოდის სწორი დათარიღებისთვის, ბუნებრივია, გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია მის ტახტზე ასვლის ზუსტი თარიღის დადგენას. ამ საკითხში მეცნიერებს შორის დღემდე არ არის ერთსულოვნება.

მაგალითად, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში აღიარება პოვა რამსეს II-ის გამეფების დროის ადრეულმა დათარიღებამ, რომელიც ამ მოვლენას ძვ. წ. 1317 წლით ათარიღებდა.¹ ჯეიმს ბრესტედი ფარაონ რამსეს II-ის გამეფების წლად ძვ.წ. 1292 წელს მიიჩნევდა.² თითქმის ამავე პოზიციას იზიარებდა ბ. ა. ტურაევიც.³ თანამედროვე დასავლეთელ ეგვიპტოლოგთა შორის პრევალირებს რამსეს II-ის გამეფების დროის უფრო გვიანდელი დათარიღება, რომელიც მერყეობს ძვ.წ. 1304 და 1290 წლებს შორის. ეს ბოლო თარიღი აღიარებულია ჯ. დ. შმიდტის სპეციალური ნაშრომიდან.⁴

რამსეს II-ის გამეფების ზუსტ დათარიღებას ცდილობენ აგრეთვე როგორც ეგვიპტეში, ისე იმ დროს

1. *Всемирная История*, т. I, М., 1955, стр. 355-691.

2. Джеймс Генри Брестед, *История Египта с древнейших времен до перидского завоевания*, т. 2, М., 1915, стр. 99.

3. Тураев Б. А., *История древнего Востока*, т. 1, Л., 1935, стр. 305.

4. Schmidt J. D., *Ramses II. A chronological structure for His Reign*. Baltimore-London, 1973, p. 13.

ასურეთსა და ბაბილონში მიმდინარე მოვლენების შეპირისპირების გზით, ასევე ლეიდენის პაპირუსში ნახსენები მთვარის კალენდრის ერთ-ერთი თარიღის გაშიფვრის მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც შეესატყვისებოდა რამსეს II-ის მეფობის 52-ე წელს.¹ მ. რ. როუტონი, მანეთონის ფარაონთა სიებისა და ხორასაბადში აღმოჩენილი ასურელი მმართველების ნუსხების დამოწმებით, აგრეთვე ეხნატონის, ტუტანჰამონის, ხორემხებისა და ასურელი აშურბალიტ I-ის ერთდროული მეფობის დამადასტურებელ მონაცემებზე დაყრდნობით, ისევე, როგორც ხეთების მეფის ხათუსილი III, რამსეს II და ბაბილონელი მეფის კადაშმან-ტურგუს ცხოვრებისა და მოღვაწეობის წლების შეპირისპირებით, ასკენის, რომ რამსესის ტახტზე ასვლა მოხდა ძვ.წ. 1290 წელს ან 1291 წლის ბოლოს.²

ცნობილმა სპეციალისტმა ძველ ეგვიპტურ ასტრონომიაში რ. ა. პარკერმა³ სტატია მიუძღვნა მთვარის კალენდრის (ლეიდენის პაპირუსი) ერთ-ერთი თარიღის უშუალო ანალიზს, რომელიც შეესატყვისებოდა რამსეს II-ის მეფობის 52-ე წელს. ლეიდენის პაპირუსის გაშიფვრის საფუძველზე და მ. ბ. როუტონის ნაშრომებზე დაყრდნობით რ. ა. პარკერმა წამოაყენა წინადადება, რომ ძვ.წ. 1290 წელი დაედგინათ რამსეს II გამეფების თარიღად.⁴

1. Parker R. A., *The Lunar Dates of Thutmose III and Ramses II - JNES*, 1957, vol. 16, p. 42-43.

2. Rowton M. B., *Manethos date for Ramsses II - JNEA*, 1948, vol. 34, p. 57-79.

3. Parker R. A., *The Lunnar Dates of Thutmose III and Ramsses II - JNES*, 1957, vol.16, p.35-43.

4. Parker R. A., *The Lunnar Dates of Thutmose III and Ramsses II - JNES*, 1957, vol.16, p.39-42.

მაგრამ სწორედ ამ საკითხში რ. ა. პარკერის პოზიცია შერყეული და საეჭვოც კი აღმოჩნდა იმავე მ. ბ. როუტონის გამო, რადგან მ. ბ. როუტონმა ხელახლა გადასინჯა თავისი პირვანდელი დასკვნა, რომელიც დაფუძნებული იყო ეგვიპტის ფარაონების, ხეთების, ასურელი და ბაბილონელი მეფეების მმართველობის პერიოდებს შორის სინქრონულობის დადგენაზე. ის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წერილი, რომელიც ხათუსილი III-მ გაუგზავნა ბაბილონის მეფეს კადაშმან-ენ-ლილ II-ს, გაგზავნილია არა რამსეს II მიერ საზავო ხელშეკრულების დადებად, არამედ მას შემდეგ. ამდენად, მისი გამოანგარიშებიდან გამომდინარეობს, რომ კადაშმან-ტურგუ (კადაშმან-ენ-ლილი II-ის მამა), გარდაიცვალა არა ძვ. წ. 1270 წელს, არამედ, როგორც ჩანს ძვ.წ. 1280 წელს. ამ უკანასკნელი დასკვნიდან გამომდინარე ის რამსეს II-ის გამეფების ყველაზე უფრო მისაღებ თარიღად ძვ.წ. 1304 წელს მიიჩნევა, რამდენადაც, მ. ბ. როუტონის აზრით, ეს დასტურდება როგორც ბაბილონური წყაროების, ისე ასურელი მეფეების ნუსხებით, რომლებიც დამზადდა მეფე ადად-ნერარი I-ის განკარგულებით.¹

მიუხედავად ზემოთთქმულისა, ზოგიერთი ეგვიპტოლოგი, სახელდობრ, ჯ. შმიდტი, რომელმაც სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა რამსეს II-ის მეფობის ქრონოლოგიის პრობლემის გამოკვლევას, თვლის, რომ მხოლოდ ასურელი და ბაბილონური ნუსხებით შეუძლებელია რამსეს II-ის ტახტზე ასვლის აბსოლუტური თარიღის დადგენა. ჯ. შმიდტი წერს:

1. Rowton M. B., *Comparative chronology at the Time of Dynasty XIX* - JNES. 1960, vol 19, p.240-258.

„XIX დინასტიის მთელი ხნის მანძილზე მესოპოტამიასა და ეგვიპტეს შორის სინქრონულობის დადგენასთან და დათარიღებასთან დაკავშირებული სიძნელეები გამორიცხავენ ყოველგვარ მცდელობას, შემოწმდეს ეგვიპტური მასალები ასურული ან ბაბილონური ქრონოლოგიით.... მაშასადამე, მესოპოტამური ქრონოლოგია ვერ გამოგვადგება რამსეს II-ის ტახტზე ასვლის თარიღის განსაზღვრაში... თუ თუთმოს III-ის გამეფების თარიღად მივიღებთ ძვ.წ. 1490 წელს, არ უგულვებელყოფთ ამონხეტეპ IV-ის და სემენხკარას მეფობის წლებს, ხორემხების მეფობას მივაკუთვნებთ 25-30 წელს, რაზეც მიუთითებს მესას წარწერა, სეტი I მეფობას განესაზღვრავთ დაახლოებით 11 წლით, რაზეც მოწმობს დათარიღებული ძეგლები, თამამად შეიძლება დავადგინოთ, რომ რამსეს II-ის ტახტზე ასვლის ყველაზე უფრო შესაძლებელ თარიღს ძვ.წ. 1290 წელი წარმოადგენს.¹

ჯ. შმიდტის მიერ გაკეთებული ეს დასკვნა, სრულიად ემთხვევა კ. ა. კიტჩენის ცნობას: „საბოლოო შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ ჯერ კიდევ შეუძლებელია რამსეს II-ის გამეფების თარიღის დადგენისათვის არჩევანი გაკეთდეს ძვ.წ. 1304 და 1290 წლებს შორის. თუმცა ამ გამოკვლევაში ძვ.წ. 1290 წელი მიღებული იქნება, როგორც მისი (რამსეს II) ტახტზე ასვლის თარიღი“.²

1. Schmidt J. D., *Ramesses II. A Chronological structure for his Reign*. Baltimore-London, 1973, p. 13.

2. Kitchen K. A., *Further Notes on New Kingdom chronology and History* - CDE. 1968. t. 43, p. 322. Kitchen K. A., *On the chronology and History of the New Kingdom* - CDE, 1965, t. 40. p. 310-322.

ამგვარად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ ამ ორ თარიღს შორის, რამსეს II-ის გამეფების ყველაზე ზუსტ თარიღად ვადიაროთ იმ ეგვიპტოლოგთა აზრი, რომელთაც ეს დრო განსაზღვრეს ძვ.წ. 1290 წლით.

რამსეს II მმართველობის ხანგრძლივობაზე (თუ არ ჩავთვლით მის თანამმართველობას მამის, ფარაონ სეტი I დროს), გვაუწყებს აბიდოსის სტელა (განეკუთვნება რამსეს IV მეფობის მე-4 წელს), რომელშიც მოცემულია ამ უკანასკნელის ვედრება ღვთაება ოსირისისადმი: „გამიხანგრძლივე სიცოცხლე და მშვენიერი მეფობა ისევე, როგორც უსერმაატრა სეტეპენრას (რამსეს II „ღვთაებრივი სახელი“), უზენაეს ღვთაებას, რამდენადაც შეხედე იმ ძვირფას ნივთთა და საგანთა სიმრავლეს, რომელიც მე შემოვწირე შენს ტაძარს, საღვთო შემოწირულობებით შენი უზრუნველყოფის მიზნით, და იმისთვის, რათა მეპოვა ყოველი სასარგებლო და ძვირფასი ნივთი, რომ ყოფილიყო უპოვართა გასაკითხი შენს ეზოში, ამ ოთხი წლის განმავლობაში. იგი (ჩემს მიერ ხელქმნილი) უფრო დიდი და ძვირფასი იყო ვინემ ის, რაც უსერმაატრა სეტეპენრამ, უზენაესმა ღვთაებამ, ჰქმნა შენთვის თავისი მეფობის 67-წლის მანძილზე“.¹ ამჟამად სტელა ქაიროს მუზეუმში ინახება.

რამსეს IV-ის აბიდოსის სტელას ცნობები თანხედება, რამსეს IV-ის კარნაკის ერთ-ერთი წარწერის მონაცემებს, რომ რამსეს II მეფობდა 66 წელს. იგივეს გვაუწყებს პაპირუსი გურობიდან, რომელშიც მოცემულია ორი თარიღი: პირველ დათარიღებაში აღნიშნულია პირველი

1. Д. Брестед, Б. Тураев. *История Древнего Египта*. Минск, 2003, стр. 484.

თვე, რამსეს II-ის მეფობის 67-ე წლისა, ხოლო მეორე დათარიღებაში კი მეორე თვე, რომელიდაც სხვა ფარაონის მეფობის პირველი წლისა. — უეჭველად, რამსეს II-ის მემკვიდრის მერნეპტახისა. ორივე თარიღს შუა ინტერვალი ერთი თვეა. რასაკვირველია ამ ერთი თვის განმავლობაში, თავისი მეფობის 67-ე წელს გარდაიცვალა რამსეს II.¹ ამ დასკვნას ადასტურებს იოსებ ფლავიუსი, რომელიც თავის ნაშრომში, „აპიონის წინაარმდეგ“, მანეთონზე დაყრდნობით წერს, რომ რამსეს II-მ იმეფა 66 წელი და ორი თვე.²

თავის დროზე ჯ. ბრესტედი შეეცადა განევითარებინა ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ რამსეს II-ს ასევე ჰყავდა უფროსი ძმა, რომელიც უნდა გამხდარიყო მამამისის მემკვიდრე ფარაონის ტახტზე. მისი გადმოცემით, ორ ძმას შორის გამართული ბრძოლა ტახტისთვის. რამსეს II-ის ძმის დაღუპვით მთავრდება. ამ საკითხთან დაკავშირებული ჯ. ბრესტედის მიერ გამოთქმული ვარაუდი მეტად დამაინტრიგებელ არგუმენტს ეყრდნობოდა. მისი აზრით, კარნაკის დიდი დარბაზის ჩრდილოეთით, კედლის გარეთა მხარეს, სადაც წარმოდგენილია სეტი I-ის ბრძოლების ამსახველი სცენები და წარწერები, კედლის იმ ნაწილში, რომელზეც აღბეჭდილია სეტი I-ის ომი ლიბიელებთან, თითქოსდა შემორჩა ერთიმეორის ქვეშ მყოფი, სეტი I-ის ორი ვაჟიშვილის გამოსახულება, რომელთაგან ერთ-ერთი შემდეგში გახდა ეგვიპტის დიდი ფარაონი რამსეს II. ჯ. ბრესტედის თქმით, ამ გამოსახულებათა

1. Shmidt J. D., Ramsses II. A Chronological structure for his Reign. Baltimore-London, 1973, p. 13.

2. Флавий Иосиф, О древности иудейского народа, Против Апиона, СПб, 1898, стр. 97.

ისტორიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ სეტი I-ის მემკვიდრე იყო არა რამსესი, არამედ მისი უფროსი ძმა, რომელიც ვერ დაეუფლა ტახტს.¹

ჯ. ბრესტედის მტკიცებით, სეტი I-ის უფროსმა ვაჟმა თავისი გამოსახულება სეტი I ლიბიელებთან ბრძოლისა და ასევე მისი ეგვიპტეში დაბრუნების ამსახველი სცენების მარჯვენა მხარეს აღბეჭდა, შემდგომში კი რამსესმა (ჯ. ბრესტედის აზრით – შ. ჩ. ნ. დარსანია) ბრძანა მისი უფროსი ძმის ორივე ფიგურის წაშლა და საკუთარი თავის გამოსახვა მამამისის ლაშქრობიდან დაბრუნების სცენაზე. გარდა ამისა, იმავე ჯ. ბრესტედის თქმით, მსგავსი შენაცვლების ნაკვალევი ატყვია ჩრდილოეთის მხრიდან კედლის ზემო ნაწილის რამდენიმე იზოლირებულ ბლოკს, სადაც აღბეჭდილია კადეშის აღების საბრძოლო ეპიზოდები. ყოველივე ამან კიდევ უფრო გაამყარა მისი აზრი იმის თაობაზე, რომ რამსეს II არ მიუღია მონაწილეობა მამამისის სამხედრო ექსპედიციებში და სეტი I-ს არც კი ჰქონდა განზრახული რამსესის თავის მემკვიდრედ აღიარება. რაც შეეხება აბიდოსსა და ქუბანის სტელაზე არსებული წარწერების ცნობებს რამსეს II-ის მამამისის სიცოცხლეშივე მემკვიდრედ გამოცხადებისა ან თანამმართველად დანიშვნის შესახებ, ჯ. ბრესტედის ვარაუდით, ისინი უფრო მეტად ფიქციას წარმოადგენდა, ვინემ რეალურობის ასახვას.²

ჯ. ბრესტედს რამსეს II-ის მმართველობის

1 *Brested J., Ancient records of Egypt, t. III, Chicago, 1906, p. 62.*

2 *Brested J., Ancient records of Egypt, t. III, Chicago, 1906, p. 59-62.*

წინაისტორიის მნიშვნელოვანი მოვლენების მეცნიერული შეფასება მოცემული აქვს თავის კაპიტალურ ნაშრომში, „ეგვიპტის ისტორია უძველესი დროიდან სპარსელთა დაპყრობებამდე“.¹ მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ჯ. ბრესტედის დასკვნები ზემოთქმულ საკითხთან დაკავშირებით ეჭვქვეშ დააყენა ჯერ კიდევ ედ. მეიერმა, რადგან კარნაკის სტელეზე, რომლებიც მოგვითხრობს სეტი I-ის ბრძოლებზე ლიბიელებთან, იმ პერსონაჟის გამოსახულება, ვინც ახლავს სეტი I შემონახულია ძალიან ცუდად და შეუძლებელია ასეთ არამყარ, არამტკიცე მტკიცებულებების საფუძველზე განავითარო ერთობ მიმზიდველი, მაგრამ ამავე დროს საეჭვო ჰიპოთეზა სეტი I-ის ორი ვაჟიშვილის ტახტისათვის ბრძოლის შესახებ. შემდგომში კარნაკში სეტი I-ის წარწერების ეპიგრაფიკული გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ რამსეს II-ს საერთოდ არ ჰყოლია უფროსი ძმა, ხოლო სეტი I-ის თანმხლებ პირად მის ლაშქრობებში გამოსახული იყო „მშვილდოსანთა უფროსი და „დიდი მარაოს მატარებელი“, სახელად მეხი.²

ყველაზე უძველეს დოკუმენტს რომელიც გვაუწყებს რამსეს II-ის თანამმართველობაზე მამამისის სიცოცხლეშივე, წარმოადგენს წარწერა აბიდოსიდან, რომელიც დათარიღებულია რამსეს II-ის დამოუკიდებლად მმართველობის პირველი წლით. ამ წარწერებში რამსეს II გვამცნობს: „როდესაც მამაჩემი ხალხის წინაშე გამოცხადდა, მე ჯერ კიდევ ბავშვი

1. Брестед Дж., *История Египта, древнейших времен до персидского завоевания*, т. 2, М., 1915, стр. 92-100.

2. Murnane W. I., *Ancient Egyptian, Coregencies*, Chicago, 1977, p. 60-61.

ვიყავი. ვიდექი წინ, მის ხელებს შუა, თქვა მან ჩემს შესახებ შემდეგი: „ვაკურთხოთ ის როგორც მეფე, რომ ვიხილო ბრწყინვალება მისი ჩემს სიცოცხლეში“, ბრძანა მან ასევე, რომ ეუწყებინათ სასახლეში მყოფთათვის ჩემზე სამეფო გვირგვინის დადგმის თაობაზე: „დაუდგათ მას გვირგვინი მეფის“ თქვა მან ჩემზე იმ დროს, როცა ის ჯერ კიდევ იყო ამქვეყნად.¹

მეცნიერთა უმრავლესობის მტკიცებით, რამსეს II-ის მეფობის დროის დადგენა შესაძლებელია სატაძრო ტექსტების და გამოსახულებების მეცნიერული გამოკვლევისა და ანალიზის საფუძველზე, სადაც შემონახულია თანამმართველობისა და ერთპიროვნული მმართველობის პერიოდის ნაკვალევები. მისი მოღვაწეობის ამ ორ პერიოდს შორის არსებული განმასხვავებელი ნიშანი მის სამეფო ტიტულატურაშია. თანამმართველობის დროს მისი სახელი გამოისახებოდა მოკლედ უსერმაატრა, ხოლო დამოუკიდებელი მმართველობის დასაწყისიდან სახელი მისი გამოითქმებოდა სრული ტიტულატურით - უსერმაატრა სეტეპენრა, რამსეს მერიამუნ. მათი დასკვნებიდან გამომდინარე, რამსეს II-ის თანამმართველობა გრძელდებოდა 10 წელი. იგი დაიწყო ჯერ კიდევ სეტი I-ის მეფობის პირველი წლებიდან. სეტი I-ის გარდაცვალების წელს რამსეს II იყო, მათი ვარაუდით, 21 წლის. თუ რამსეს II ქვეყანას მართავდა ერთპიროვნულად 66 წლის განმავლობაში, მაშასადამე, ის გარდაიცვალა თავისი სიცოცხლის 88-ე წელს.²

რამსეს II-ის ასევე სამეფო ტახტზე, როგორც

1. Стучевский И. А., Рамсес II и Херихор. М., 1984. стр. 19.

2. Стучевский И. А., Рамсес II и Херихор. М., 1984. стр. 23

ეგვიპტის ერთპიროვნული მმართველისა, დიდი ზეიმითა და პომპეზურობით აღინიშნა. ამ მეორედ კურთხევის სცენები და მის შესახებ ტექსტები ამოტვიფრულია ქვის ბლოკებზე, რომლებიც ამჟამად ინახება ლიტერატურისა და მეცნიერების სამეფო ინსტიტუტებში ინგლისში. ფარაონი დარწმუნებული იყო, რომ მის გამეფებაში ღმერთის ხელი ერიო, რადგან ეს ემთხვეოდა მიწიერი და კოსმოსური ცვლილებების პერიოდს. ამ ბლოკებზე ასახულია რამსეს II-ის კორონაცია ჰელიოპოლისში, ატუმის, ხორისა და სხვა ღვთაებათა თანდასწრებით. ყველა ეს ღვთაება აღფრთოვანებით მიესალმება მათკენ მიმავალ რამსეს II-ს.¹

წინამორბედებისაგან განსხვავებით, რამსეს II-ს სურდა გადაექცია თავისი თავი ლეგენდად, ამაღლებინა ეგვიპტის პრესტიჟი, შეექმნა საკუთარი პიროვნების განსაკუთრებული ფენომენი.² მას სჭირდებოდა შეუზღუდველი ძალაუფლება, მტკიცე ხელისუფლება, რაც აუცილებელი იყო რეფორმების განსახორციელებლად და ქვეყნის შემდგომი განვითარებისათვის, ასევე იმდროინდელ მსოფლიო ასპარეზზე ეგვიპტის, როგორც ძლევამოსილი იმპერიის, სახელის დასამკვიდრებლად.

1. *Christiane Desroches Noblecourt, Ramses II, Paris, 1996, p. 100.*

2. *Christiane Disroches Noblecourt, Ramses II, Paris, 1996, p. 100.*

ეგვიპტის ფარაონის რამსეს II-ის სამხედრო ლაშქრობებიდან, ეგვიპტურ ძეგლებში ყველაზე დაწვრილებით გაშუქებულია ბრძოლა ქ. კადეშთან, მდინარე ორონტზე. ამ ისტორიულ მოვლენას ადგილი ჰქონდა რამსეს II-ის მეფობის მე-5 წელს. უამრავი ტაძრის კედელზე აღწერილი და ასახულია ახალგაზრდა ფარაონის საგმირო საქმენი. ფარაონი წარმოდგენილია მამაც, უშიშარ მეომრად, ერთპიროვნულ გამირად, რომელმაც კრიტიკულ ვითარებაში მოიპოვა გამარჯვება ხეთების მეფის მუვათალისა და მისი სირიელი მოკავშირეების მრავალრიცხოვან ჯარზე. კადეშის ბრძოლისადმი მიძღვნილი ტექსტების პირველი გამომცემელი, მთარგმნელი და განმმარტებელი გახლდათ ჯეიმს ჰენრი ბრესტედი. მან დაწვრილებით აღწერა კადეშის ბრძოლის მსვლელობა თავის ნაშრომში „ძველი ეგვიპტის ისტორია“.¹ შესანიშნავი კრებული წარწერებისა (თარგმანისა და კომენტარების გარეშე), რომელებიც გვაუწყებენ კადეშის ბრძოლის შესახებ, გამოაქვეყნა 1928 წელს შ. კუენტცმა.² კადეშის ბრძოლისადმი მიძღვნილი ტექსტების თარგმანი წარმოგიდგინეს ა. ერმანმა, პ. მ. ბლეკმანმა, ჯ. ა. ვილსონმა.³ ყველაზე უფრო ამომწურავი, კომენტირებული

1. Д. Ж. Брестед, *История Египта с древнейших времён до персидского завоевания*, т. 2, 1915, стр. 106-116.

2. Kuentz Ch., *La Bataille de Kadech*, - MIFAO. 1928, vol. 55.

3. Erman A., *Die Literatur der Agypter*, Lpz, 1923, S. 325. და შემდ. Bleckman A. M., *The Literature of the Aneient Egupt ians* L., 1927. p. 261. და შემდ. Wilson J. A., *The Texts of the Battle of Kadesh*. - AJSLL, 1927, vol. 43, p. 266. და შემდ.

თარგმანი ძირითადი წარწერებისა, რომლებიც აღწერენ კადეშის ბრძოლას, მოცემულია ა. გარდინერის ფუნდამენტალურ ნაშრომში.¹ პენტაურას “პოემის” (ლიტერატურული ანგარიში კადეშის ბრძოლის შესახებ) სრული რუსული თარგმანი მოგვცა ნ. ს. პეტროვსკიმ.² 70-იანი წლების ბოლოს “პოემის” საკუთარი თარგმანი შემოგვთავაზა მ. ა. კოროსტოვცევმა.³ ყველა ტექსტი, რომელიც აღწერს კადეშის ბრძოლას, თავმოყრილია კ. ა. კიტჩენის პუბლიკაციაში.⁴ ჯეიმს ბრესტედმა კადეშის ბრძოლის ამსახველი ტექსტების გამოცემისას, მასალები დაყო სამ კატეგორიად: 1. პოემად, რომლის ავტორობა შეცდომით მიეწერება პენტაურას, 2. ოფიციალურ ანგარიშად, და 3. რელიეფებად.⁵ მათში აღბეჭდილია ბრძოლის ცალკეული ეპიზოდები, რომლებსაც თან ახლავს განმარტებითი წარწერები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ “პოემა” არ წარმოადგენს ლექსად მოთხრობილ ნაწარმოებს, ის უფრო პროზაიკული მხატვრული ტექსტის შესანიშნავი ნიმუშია. ესაა ლიტერატურული ანგარიში კადეშთან ბრძოლის შესახებ. “ოფიციალური” ანგარიში ძალიან ახლოსაა იმ მოკლე წარწერებთან, რომლებიც განმარტავენ ტაძრების კედლებზე აღბეჭდილი ბრძოლის ეპიზოდებს.

1. Gardiner A. H., *The Kadesh inscriptions of Ramesses II*, Ox, 1960.

2. *Хрестоматия по истории Древнего Востока*, М., 1963. стр. 119-125.

3. Коростовцев М. А., *Повесть Петеусе III*. М., 1978, стр. 122-138.

4. Kitchen K. A., *Ramesside Inscriptions. Historical and Biographical*. vol. 1. Ox., 1969, p. 2-64.

5. Breasted J. H., *Ancient records of Egypt*. vol. III. p. 294-351. Chicago, 1906.

სხვადასხვა ტაძრებში ხანდახან გვხვდება ორივე ტექსტი – “ლიტერატურულიც” და “ოფიციალურიც”. ლუქსორსა და რამესესში ისინი განლაგებულია ერთმანეთის გვერდით. ამგვარადაა ისინი გამოსახული აგრეთვე კარნაკში და რამსეს II-ის აბიდოსის ტაძარში, მხოლოდ აბუ სიმბელეში ლიტერატურული ტექსტი (პოემა) არ არის. ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ „ოფიციალური“ ანგარიში რელიეფურ სცენებთან ახლოს იყო მოთავსებული, რომლებიც, თავის მხრივ, თითქოსდა განმარტავენ ამ ანგარიშს. აქედან ვლინდებოდა „ოფიციალური“ ანგარიშისა და იმ დანარჩენი წარწერების პრინციპული მსგავსება, რომლებიც თან ახლდნენ ბრძოლის ცალკეულ რელიეფურ გამოსახულებებს. ამგვარად, განმარტებითი წარწერებისა და „ოფიციალური“ ანგარიშის დანიშნულებას წარმოადგენდა კადემის ბრძოლისადმი მიძღვნილი შესაბამისი რელიეფური სცენების კომენტირება.¹ ორივე ანგარიში – “ლიტერატურული” და “ოფიციალური”, იქმნებოდა მწერლებისა და მხატვრების მიერ, რომლებიც შთაგონებულები იყვნენ რამსეს II-ის მონათხრობითა და ბრძოლაში მონაწილე ჯარის ნაწილების მეთაურთა გადმოცემებით.²

ფარაონ რამსეს II-ის უმთავრეს მიზანს ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღორძინება, სამხედრო ძლიერებისა და პოლიტიკური არეალის განმტკიცება, ეგვიპტისთვის უწინდელი დიდების აღდგენა წარმოადგენდა, რაც თავის დროზე XVIII დინასტიის სახელგანთქმული ფარაონების დაუმრეტელი ენერგიის,

1.Стучевский И. А., Рамсес II и Херухоп, М., 1984, стр. 34.

2.Christiane Desroches noblecourt, Ramses II, Paris, 1996, p. 159.

გაბედული, შორსმჭერეტელი დიპლომატიის, წარმატებული სამხედრო ლაშქრობების შედეგად იყო მოპოვებული. მაგრამ ამავე დინასტიის უკანასკნელი ფარაონების უნიათო მოღვაწეობის გამო, ეგვიპტის პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე მნიშვნელოვნად შეირყა. XIX დინასტიას მეტად მძიმე და რთული ვითარება ერგო მემკვიდრეობად სირიაში. რამსეს I ღრმად მოხუცი იყო და მისი მეფობა ხანმოკლე აღმოჩნდა. მან ვერც კი მოასწრო რამის გაკეთება. მისი ძე სეტი I უძლური აღმოჩნდა შეედწია ხეთების მიერ მიტაცებულ ტერიტორიებზე სირიაში. ყველაზე ნაკლები – ხეთების შევიწროებაც კი ვერ შეძლო, რომ ისინი აეძულებინა დაეხიათ უკან, მცირე აზიაში. რამსეს II-ის ტახტზე ასვლის დროისთვის, ხეთები უკვე ფლობდნენ აქ ვრცელ ტერიტორიებს მთელი 20 წლის მანძილზე. სეტი I-ის მიერ დადებული ხანგრძლივი ზავით კარგად ისარგებლა ხეთების მეფემ მუვათალიმ, რათა განემტკიცებინა თავისი პოზიციები სირიაში. მან გეზი აიღო სამხრეთის მიმართულებით, განვლო მდ. ორონტის ხეობა და ხელთ იგდო ქ. კადეში, სირიის ძლევამოსილების ცენტრი, რომელმაც თოტმეს III-ის სირიაში ლაშქრობის დროს მედგარი წინააღმდეგობა გაუწია მას და უფრო მტკიცედ იდგა, ვიდრე სირიის სხვა სამეფოები. ხეთების მეფემ სწორად გაითვალისწინა ამ ქალაქის სტრატეგიული მნიშვნელობა და ის თავისი სამფლობელოების სამხრეთი საზღვრის საყრდენად გადააქცია.¹

ზავით მიღწეული მშვიდობიანი თანაარსებობა არ

1. Брестед Дж., *История Египта, с древнейших времен до персидского завоевания*. т. 2, М., 1915. стр. 104.

შეიძლებოდა დიდხანს გაგრძელებულიყო. წინა აზიაში ბატონობისათვის ბრძოლას ეგვიპტესა და ხეთების სამეფოს შორის უშუალოდ სამხედრო მოქმედებები უნდა მოჰყოლოდა, რაც ამ დროისთვის გარდაუვალი აღმოჩნდა.

რამსეს II-ის მეფობის მეოთხე წელს, მისივე ბრძანებით, მდ. ნახრ-ელ-ქელბის ნაპირას, ბეირუთთან ახლოს, კლდეზე ამოკვეთილ იქნა წარწერა, საიდანაც ირკვევა, რომ ხეთების წინააღმდეგ უშუალო საომარი მოქმედებების დაწყებამდე ეგვიპტელები ყოველმხრივ ემზადებოდნენ გადამწყვეტი სამხედრო ლაშქრობისათვის. რამსეს II-ის დაპყრობითი პოლიტიკა ფართო მასშტაბურობით გამოირჩეოდა, მისი სამხედრო გეგმა საეცებით ჰგავდა სახელგანთქმული წინაპრის თოტმეს III-ის გეგმას. აშკარა იყო, რამსეს II მიისწრაფოდა დაუფლებოდა ფინიკიისა და პალესტინის სანაპიროებს, როგორც ხეთებთან მომავალი ბრძოლის წარმატებით წარმართვის აუცილებელ პირობას. მან მიზნად დაისახა არმიის ქვეითი შენაერთების უვნებელი გადაადგილება ხმელეთზე (როგორც სეტი I-ის დროს) უზრუნველყო ზღვაზე ბატონობის აღდგენითა და შესაბამისად, საზღვაო სანაპირო ზოლის გამაგრებით. ფინიკიის სანაპიროზე იქმნებოდა საზღვაო ბაზები ეგვიპტელთა სამხედრო ფლოტისათვის, რომლებიც, როგორც წარწერებიდან ირკვევა, განლაგებული იყო სადღაც ფინიკიური ქალაქების ტიროსსა და ბიბლოსს შორის.¹ იმავედროულად, იგი მიისწრაფოდა აღედგინა და განემტკიცებინა ეგვიპტის ბატონობა პალესტინაზე.

1. Снегирёв И. Л. и Францов Ю. П., Древний Египет, Л., 1938, стр. 244.

როგორც ეგვიპტე მთელი ძალებით ემზადებოდა გადამწყვეტი საომარი მოქმედებისათვის და ქმნიდა თავისთვის სანაპიროზე საყრდენ პუნქტებს, ასევე ხეთებიც ენერგიულად ეწეოდნენ ქვეშევრდომი მეფეებისა და მოკავშირეების მობილიზებას ეგვიპტელთა შემოტევის მოსაგერიებლად. ხეთების მეფე მცირე აზიის ყველა კუთხეში აგზავნიდა თავის შიკრიკებს, ასევე თავის რწმუნებულებს ჩრდილოეთ სირიის მთავრებთან. წინანდელი სამოკავშირო ხელშეკრულებების დამოწმებით, ახალი სამხედრო კავშირების დადების მოთხოვნით, პირდაპირი მუქარის, მოსყიდვის ანდა სამომავლოდ მდიდარი ნადავლის დაპირების გზით ხეთები აყალიბებენ ძლიერ კოალიციას.¹ ანტიეგვიპტურ კოალიციაში, ხეთების მეთაურობით, შედიოდნენ შემდეგი ქვეყნები: ნაჰარინა – ეგვიპტურ წყაროებში იხმარებოდა მითანის (ზოგჯერ – ჩრდილო სირიის) აღსანიშნავად; არცაუა – მცირე აზიის სამხრეთ დასავლეთში მდებარე ქვეყანა, რომელიც მოიცავდა ვილუსას, მირა ქუეალიას, ხალალსა და მდ. სეხას ქვეყნებს; დარდანები მოიხსენიებიან ჰომეროსის “ილიადაში” – როგორც ჩანს, საქებნია ანატოლიის უკიდურეს დასავლეთში (გრ. გიორგაძე); ქასქები, ქაშქები – ტომები, რომლებიც ხეთების სამეფოს ჩრდილოეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით ბინადრობდნენ; მასა-ხეთური წყაროების მიხედვით მდებარეობდა სამხრეთ ანატოლიაში; ფითასა-ხეთური ტექსტების მონაცემთა თანახმად იგი თანამედროვე კონიის ზეგანზე იყო

1. Снегирёв И. Л. и Францов Ю. П., Древний Египет, Л., 1938, стр. 245.

გაშლილი; არავანა – მდებარეობდა, როგორც ჩანს, ხეთების აღმოსავლეთ პერიფერიაში; კარკისა – დასავლეთ ანატოლიაში მდებარე ქვეყანა; დიუკა – ხეთურ ტექსტებში მოხსენიებული ქვეყანა (შდრ. ლიკია, ლიკაონია), მდებარეობდა ანატოლიის სამხრეთ-დასავლეთში; ქიცუვათნა – ხეთების ძირითადი ტერიტორიის სამხრეთ – აღმოსავლეთით ცნობილი ქვეყანა (კილიკიაში), სადაც მდებარეობდა დიდი საკულტო ქალაქი ქუმანა; კარგამიში – ხეთური და სხვა ძველადმოსავლური წყაროების ქვეყანა ჩრდილოეთ სირიაში, იგივე ქარხემიში; უგარითი – ცნობილი ქალაქი-სახელმწიფო ჩრდილოეთ სირიაში (თანამ. რას-შამრა); ნუხაშე – მდებარეობდა ჩრდილოეთ სირიაში; კადეში – ცნობილი ქალაქი-სახელმწიფო ჩრდილო სირიაში; ხალაფი – ხალფა – უძველესი ქალაქი-სახელმწიფო ჩრდილოეთ სირიაში, თანამედროვე ალექო.¹

მიუხედავად მრავალრიცხოვნობისა, ეს გაერთიანებული ჯარი ორგანიზაციულად სუსტ, არამყარ სამხედრო გაერთიანებას წარმოადგენდა. არსებითად ეს იყო სხვადასხვა რაოდენობის დამოუკიდებელ ლაშქართა ბრბო, რომლებიც ემორჩილებოდნენ უშუალოდ ცალკეულ მთაერებს და მათ სამხედრო მეთაურებს. ჯარების მრავალრიცხოვანი შემადგენლობა (ხეთების გაერთიანებულ ჯარში მარტო მცირე აზიის მოსახლეობის თორმეტზე მეტი სხვადასხვა ეთნოსის

1. გრ. გიორგაძე, *ეგვიპტელებისა და ხეთების პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან (კადეშის ბრძოლა)*, იხ. გორის დამოუკიდებელი პედაგოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებული, №1, გორი. 1995, გვ. 25-26.

წარმომადგენელი იმყოფებოდა),¹ ცალკეული ნაწილების სრული დამოუკიდებლობის პირობებში ძლიერ ართულებდა და აფერხებდა მოქმედების ერთიანობას. ამ ჯარის ძალა ემყარებოდა მის რაოდენობასა და ხეთების ძირითადი ლაშქრის სიმტკიცეს, სიმამაცეს, რომელიც შედგებოდა, უპირველეს ყოვლისა, ეტლოსანთა რაზმებისაგან.

რასაკვირველია, რამსეს II კარგად იყო ინფორმირებული თავისი მოწინააღმდეგის საომარი მზადების შესახებ. თავის მხრივ, ის ყველა ზომებს ღებულობდა არმიის განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის. არმიის მრავალრიცხოვნობისათვის, ეგვიპტელების გარდა მობილიზებული იყო დაქირავებულთა რაზმები, მათი შეგროვება ხდებოდა ნუბიის შავკანიანი ტომებიდან, რომლებიც ჯერ კიდევ ძველი სამეფოს ეპოქაში ავსებდნენ ეგვიპტელ პოლიციელთა შემადგენლობას. დაქირავებულთა რაზმების შეგროვება ხდებოდა ასევე სამხრეთ პალესტინის შასუს სემიტური ტომებიდან და ბოლოს შარდანას პროფესიონალ დაქირავებულ მეომართაგან, რომლებიც იყვნენ დასავლეთ ხმელთაშუაზღვის შორეულ კუნძულ სარდინიიდან.²

ძვ. წ. 1286 წლის აპრილში, თავისი მმართველობის მე-5 წელს, რამსეს II გაემართა სალაშქროდ სასაზღვრო ციხე-სიმაგრე ჯარუდან და მივიდა ლიბანამდე. შემდგომ, სანაპიროს გავლით, მიაღწია მდინარე ნახარელ-ქელბამდე, აქედან კი შეაღწია მდ. ორონტის ზემო

1. Снегирёв И. Л. и Францов Ю. П., Древний Египет, Л., 1938, стр. 245.

2. Там же, стр. 246.

ხეობაში. ლაშქრობის 29-ე დღეს მისი არმია, ოთხ დამოუკიდებელ შენაერთად დაყოფილი, საერთო რაოდენობით 20 ათასამდე ჯარისკაცით,¹ დაბანაკდა “კადეშის სიმაღლეზე”.² ეგვიპტელების წინაშე გადაჭიმული იყო ვრცელი ხეობა, რომელზეც მიიკლაკნებოდა მდინარე ორონტი, ხოლო აქედან 50 კილომეტრის სიშორეზე ამაღლებულ გორაკზე აღმართული კადეშის ციხე-სიმაგრე გადაჰყურებდა მდინარის მიდამოებს. კადეშთან მისაახლოებლად ეგვიპტის ჯარის ნაწილებს თავდაპირველად უნდა ევლათ მდინარე ორონტის მარჯვენა მხარეს, ხოლო შემდგომ, ციხე-სიმაგრეიდან 10 კილომეტრის დაშორებით შაბტუნთან უნდა გადასულიყვნენ მეორე ნაპირზე. მეორე დღეს, დილით, (ლაშქრობის 30-ე დღეს), რამსეს II-მ მოხსნა ბანაკი და დაძრა თავისი ჯარის ნაწილები კადეშის მიმართულებით. ეგვიპტის არმია მიემართებოდა კადეშისაკენ ოთხი შენაერთის შემადგენლობით და გზაზე ძალიან გაიწელა. წინ მიდიოდა ფარაონი თავისი შტაბით და ღვთაება ამონის შენაერთით. მას 2 კილომეტრის დაშორებით მოჰყვებოდა რას შენაერთი. შემდეგ, 7 კილომეტრის სიშორეზე, მოემართებოდა ღვთაება პტახის შენაერთი, ბოლოს კი, ძალიან შორს მოდიოდა ღვთაება სეტხის სამხედრო ნაწილი.³ როგორც ვხედავთ, ჯარის ყოველი ნაწილი ატარებდა ეგვიპტის რომელიმე ღვთაების სახელს. რამსეს II-მ პირველმა მიაღწია მდინარის ფონს

1. *Хрестоматия по истории Древнего Востока, под редакций В. В. Струве и Д. Г. Редера, М., 1963, стр. 119.*

2. *Снегирёв И. Л. и Францов Ю. П., Древний Египет, Л., 1938, стр. 246.*

3. *Там же.*


შაბტუნთან და 3 საათის დაყოვნების შემდეგ დაიწყო მზადება მდინარეზე გადასასვლელად, რადგან მდ. ორონტის დასავლეთ სანაპიროზე იმყოფებოდა ქ. კადეში. სამხედრო მეთაურები, წინ მიმავალი მზევრავების მიერ მოწოდებულ ცნობებზე დაყრდნობით, მცდარ ინფორმაციას აწვდიდნენ რამსეს II ხეთების ჯარის განლაგების შესახებ, რადგან კარგად ჩასაფრებული ხეთების ჯარის ნაწილების კვალს ეგვიპტელთა მზევრავებმა ვერ მიაკვლიეს. რამსეს II-ის მეომრებმა მოიყვანეს ეგვიპტელთა მხარეზე გადმოსული ორი ადგილობრივი ბედუინი, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ მათ თვითნებურად მიატოვეს მტრის ჯარი, ხეთების მეფე კი იმყოფება შორს ჩრდილოეთით, ალეპოს მხარეში, ქალაქ ტუნიპთან ახლოს: “გაემართა მისი უდიდებულესობა ჩრდილოეთით და მიადგა... ქალაქ შაბტუნს სამხრეთით. მოვიდა ორი შასუ, შასუს ტომიდან, რათა ეთქვათ მისი უდიდებულესობისათვის: ჩვენმა ძმებმა – ტომის ბელადებმა, რომლებიც იმყოფებიან ხეთების ქვეყნის მეფესთან ერთად, გამოგვგზავნეს ჩვენ მის უდიდებულესობასთან, რომ ვუთხრათ მეფეს, ჩვენ გვინდა გავხდეთ ფარაონის ქვეშემრდომნი... და ჩვენ გვინდა გავექცეთ ხეთების მეფეს...”

უთხრა მათ მისმა უდიდებულესობამ: სად არიან ისინი, თქვენი ძმები, რომლებმაც გამოგვგზავნეს თქვენ...? მათ მოახსენეს მის უდიდებულესობას ხეთების მეფის ადგილსამყოფლის შესახებ: „იმყოფება ხეთების ქვეყნის მეფე ალეპოში, ტუნიპის ჩრდილოეთით...”¹


1. Хрестоматия по истории Древнего Мира - Древний Восток, под редакций В. В. Струве, М., 1950, стр. 97.

ბედუინების ნათქვამი რამსეს II-მ სარწმუნო ცნობად მიიღო და დარწმუნებულმა, რომ მოწინააღმდეგის ძალები ჯერ კიდევ შორს, ჩრდილოეთში იმყოფებოდნენ, გადაწყვიტა დაუყონებლივ გადაეღახა მდინარე ამონის ლაშქრის თანხლებით. ის არ დაელოდა თავისი სამხედრო ნაწილების თავმოყრას. გადავიდა თუ არა მდინარის მარცხენა მხარეს, სასწრაფოდ გასწია წინ, მაშინ როცა რა-ს, კტახისა და სეტხის ლაშქარი ერთიმეორის მიყოლებით, ერთმენეთისგან გარკვეული მანძილით დაშორებულნი, შორს იყვნენ ამონის ლაშქრისაგან. ციხე-სიმაგრის საჩქაროდ, თითქმის უბრძოლველად აღების სურვილით შეპყრობილმა რამსეს II-მ წინ გაუსწრო ამონის ლაშქარს და მხოლოდ მისი საუკეთესო ავანგარდის თანხლებით მიაღწა კადეშს, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ ციხე-სიმაგრის აღება მის განკარგულებაში მყოფი ძალებით შეუძლებელი იყო, შემოუარა მას დასავლეთის მხრიდან და ბრძანა დროებითი ბანაკის მოწყობა კადეშის ჩრდილო-დასავლეთით. ბანაკს ჩრდილოეთით ეკრა ტბა ჰომსი, დასავლეთით მდინარე მიკიიე. ბანაკის ასეთი მდებარეობა მიუთითებს იმაზე, რომ რამსეს II მტრის თავდასხმას ჩრდილოეთიდან მოელოდა.

მაგრამ სამხედრო ოპერაციის ერთობ თანმიმდევრული მსვლელობა მოულოდნელად დაირღვა, ხეთების მზევრავთა შეპყრობამ და მათმა დაკითხვამ ნათელი მოჰყინა არსებულ ვითარებას. ჯოხებით სასტიკად ნაცემმა და ნაწამებმა ტყვე მზევრავებმა განაცხადეს“.. დგანან ისინი (ხეთები) საბრძოლო მზადყოფნაში კადეშთან ძალიან



კადეშის „სიმაღლეები“, სადაც დაბანაკდა რამსეს II ლაშქარით ბრძოლის წინ და მისი პოზიციები მეორე დღეს – ბრძოლის დღეს დილით.



ბრძოლა კადეშთან.
 მოწინააღმდეგე მხარეთა განლაგება
 ხეთების შეტევის დროისთვის.

ახლოს”.¹

ამდენად, როგორც გაირკვა, ბედუინთა ნათქვამი სრული სიცრუე აღმოჩნდა. მათი მიზანი რამსეს II-ის დეზინფორმაცია, ჯარების განლაგების დათვალიერება და ეგვიპტის სამხედრო ძალების განადგურება იყო, რადგან სინამდვილეში ეგვიპტის ჯარების გამოჩენის დროიდან „კადეშის სიმადლეებზე“, უშუალოდ კადეშის გორაკს გაღმა, ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით უკვე იდგა 30 ათასიანი ხეთების ლაშქარი მეფე მუვათალის (ძვ. წ. 1315-1296) მეთაურობით.² ხეთების ჯარი ისე კარგად იყო შენიღბული და მოხერხებულად ჩასაფრებული, რომ მათი აქ ყოფნა მოახლოებული ეგვიპტელებისთვის შეუმჩნეველი აღმოჩნდა.

ამ ვითარებით საშინლად შეშფოთებულმა ახალგაზრდა ფარაონმა სასწრაფოდ შეკრიბა თავისი სამხედრო მეთაურები და მოხელეები. ის მთელი სიმკაცრით საყვედურობდა მათ უუნარობის გამო, რომ დროზე ვერ შეამჩნიეს მოწინააღმდეგის ადგილსამყოფელი და უბრძანა ვეზირს სასწრაფოდ ჩამოეყვანა მისი უდიდებულესობის ჯარის ნაწილები, რომლებიც სამწყობრო სვლით უახლოვდებოდნენ ქ. შაბტუნს.³ მაგრამ უკვე გვიანდა იყო. იმ დროს, როდესაც რამსეს II თათბირობდა თავის დიდებულებთან⁴ და

1. *Хрестоматия по истории Древнего Мира - Древний Восток, под редакций В. В. Струве, М., 1950, стр. 98.*

2. გრ. გიორგაძე, *ეგვიპტელებისა და ხეთების პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან (კადეშის ბრძოლა), იხ. გორის დამოუკიდებელი პედაგოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებული, №1, გორი. 1995, გვ. 22.*

3. *Тематическая Хрестоматия по истории Древнего мира, ч. 1, Составитель Н. Н. Пикус, М., 1963, стр. 108.*

4. *Там же.*


ბრალს სდებდა მათ დაუდევრობასა და უნიათობაში, ქ. კადეშის სამხრეთით 2500 ეტლისაგან შემდგარი სამხედრო შენაერთი დაუყოვნებლივ გადავიდა მდ. ორონტზე და მოულოდნელად ფლანგიდან დაარტყა კადეშის მისადგომებთან მომდგარ ღვთაება რა-ს ლაშქარს.¹ როგორც ჩანს, რა-ს ლაშქარმა დანარჩენ შენაერთებთან შედარებით უფრო ადრე მიიღო ბრძანება და უმაღლე გამოემართა ფარაონის დასახმარებლად და სიფრთხილეს მოკლებული და ბრძოლისთვის სრულიად მოუმზადებელი, მტრის თავდასხმის ქვეშ აღმოჩნდა. პტახის ლაშქარი ამ დროს ყოვლისი რეზერვით მარშით მოიწევდა და იმყოფებოდა ქ. არონასთან, ერთი დღის სავალზე რას შენაერთისგან. სუტეხის ლაშქრის დროულ ჩამოსვლაზე იმედის დამყარება რეალობას მოკლებული იყო, იმდენად შორს იმყოფებოდა ის შაბტუნიდან.²

ეგვიპტელებისათვის ხეთების შეტევა სრულიად მოულოდნელი აღმოჩნდა, რა-ს შემადგენლობა მოიშალა, დეზორგანიზებული ლაშქრის ერთი ნაწილი მთლიანად განადგურდა, მეორე კი გაიქცა ჩრდილოეთისაკენ რამსეს II-ის ბანაკის მიმართულებით. უმაღლე გაგზავნეს მალე

მსრბოლელი, ფარაონისთვის მომხდარი სამხედრო კატასტროფის შესატყობინებლად. რამდენადაც წყაროებიდან ირკვევა, რამსესმა პირველად მაშინ შეიტყო საშინელი დამარცხების შესახებ, როცა იხილა პანიკით შეპყრობილი, მისკენ გამოქცეული ნარჩენები

1. Снегирёв И. Л. и Францов Ю. П., *Древний Египет*, Л., 1938, стр. 247.

2. *Тематическая Хрестоматия по истории Древнего Востока, под редакцией В. В. Струве и Д. Г. Редера*, М., 1963, стр. 121-122.



განადგურებული სამხედრო ნაწილისა. გამოქცეულთა შორის იყო მისი ორი ვაჟიშვილი, რომელნიც ელვის სისწრაფით გადაეკლნენ მოულოდნელობით გაოგნებული ბანაკის ბარიკადებს.¹

ბანაკში მყოფმა ამონის შენაერთმა ვერც კი მოასწრო ბრძოლისთვის მომზადება და მტრის ძალების შეჩერება. გამოქცეულ ეგვიპტელ მეომრებს დადევნებული ხეთების ეტლოსნები შეიჭრნენ მტრის ბანაკში. ხეთების ეტლოსნების შემოტევას მედგარი წინააღმდეგობა გაუწია რამსეს II-ის მძიმედ შეიარაღებულმა პირადმა გვარდიამ, რომელიც შედგებოდა ბრძოლებში გამოცდილი, სამხედრო საქმეში დახელოვნებული შარდანას დაქირავებული მეომრებისაგან. მათ ელვის სისწრაფით ჩამოაგდეს ეტლებიდან და გაანადგურეს მოწინააღმდეგის წინა რიგების მეომრები, რის შედეგად შეძლეს მათი შტურმის მოგერიება ან შესუსტება. მაგრამ მტრის პირველ შეტევას მეორე უფრო ძლიერი იერიში მოჰყვა. როგორც კი თავს დაესხნენ ეგვიპტელთა პოზიციებს, ხეთების ფლანგები ორი მიმართულებით გაიშალა და გარს შემოერთყა რამსესის ბანაკს. ამონის ლაშქრის უდიდესი ნაწილი, რომელსაც მტერი მოულოდნელად თავს წაადგა, უკუიქცა იმ დროს, როდესაც რა-ს შენაერთის გამოქცეული მებრძოლები გაოგნებულები დაჰქროდნენ ბანაკის მთელ ტერიტორიაზე. ამგვარად, ეგვიპტელები სრული განადგურების საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ.²

1. Брестед Дж., Тураев Б., *История Древнего Египта*, Минск, 2003, стр. 412.

2. Там же, стр. 412-413.

ახალგაზრდა ფარაონი, რომელსაც მოსაფიქრებლად დროც კი არ ჰქონდა, უყოყმანოდ მიიღებს მოწინააღმდეგის რკალის გარღვევის გადაწყვეტილებას. უმაღლესე შეახტება თავის საბრძოლო ეტლს და მარტოდმარტო, მის ხელთ შემორჩენილი პირადი გეარდის ძალებით მედგრად შეუტევს მომხდურთ, რომლებიც ღამობდნენ მის ბანაკში შეჭრას დასავლეთის მხრიდან. როგორც კადეშის ბრძოლის შესახებ „ლიტერატურული“ ანგარიშის ავტორი იტყობინება, ალყაში მოქცეულ რამსესს დახმარებისთვის ღვთება ამონისთვის მიუმართავს, რომელსაც მოუსმენია მისი ხმა და მის დასახმარებლად წამოსულა მოწოდებით: „წინ, წინ, რამსეს-მერი-ამონ!, მე შენთან ვარ, მე მამა ვარ შენი. ჩემი ხელი შენთანაა, მე უფრო დაგეხმარები, ვიდრე ასი ათასი ერთად შეკრებილი ადამიანი. მე გამარჯვების მეუფე ვარ, მომწონს რა მამაცობა!“ ამ კონტრშეტევის შედეგად მან შეძლო მცირეოდენი დროით მოწინააღმდეგის შეტევის შეყოვნება, შემდეგ კი ისარგებლა ამ ვითარებით, რომ გარკვეულ მანძილზე გაერღვია მტრის განლაგება თავისი ბანაკიდან დასავლეთის ან სამხრეთის მიმართულებით. რამსესი მოწინააღმდეგის დიდი ძალის დანახვისთანავე მიხვდა, რომ ამ მიმართულებით წინსვლა და მტრის განლაგების გადალახვა შეუძლებელი იქნებოდა. იძულებული შეიქმნა უკან მიბრუნებულიყო. გამობრუნებულმა, შეჭველია, შეამჩნია, რამდენად სუსტად გამოიყურებოდა ხეთების

1. გრ. გიორგაძე, ეგვიპტელებისა და ხეთების პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან (კადეშის ბრძოლა), იხ. გორის დამოუკიდებელი პედაგოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებული, №1, გორი. 1995, გვ. 23.

ეტლოსანთა აღმოსავლეთის ფრთა, მდინარის გასწვრივ. როგორც ჩანს, ხეტებმა ვერ მოასწრეს საბრძოლო ხაზის გამაგრება. რამსესმა თავგანწირული შემართებით მიიტანა იერიში მათზე. გაშმაგებული ეგვიპტელების მიერ მიყენებული დარტყმა იმდენად ძლიერი და სწრაფი გამოდგა, რომ ხეტების ამ ფლანგის ეტლოსნები მდინარეში იქნა გადაყრილი.

ხეტების მეფე მუვათალი, რომელიც რვაათასიანი ქვეითი ლაშქრით იდგა მდინარის მოპირდაპირე მხარეს, უშუალოდ იყო თვითმხილველი, თუ როგორ ჩაუყარეს წყალში მისი რამდენიმე სამხედრო მეთაური, პირადი მწერალი, მეექვსე, დაცვის უფროსი და ბოლოს მისი ღვიძლი ძმა. მდინარეში გადასროლილთა შორის იყო აგრეთვე ქ. ალექოს მეფე რომელიც მისმა მეომრებმა ძლივს მოასულიერეს.¹

რამსეს II გამუდმებული იერიშებით შეძლეს ამ ადგილას მოწინააღმდეგის საბრძოლო ხაზის მოშლას. ამ მცირეოდენი წარმატების შემდეგ ხეტების შეტევაც რამდენადმე შესუსტდა. ეს აიხსნებოდა შემდეგი გარემოებითაც: ხეტების ეტლოსნების ის ნაწილი, რომელთაც უნდა დაერთყათ ეგვიპტელებისათვის ზურგში, დასავლეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან, რამსეს II-ის საბედნიეროდ, შეესია მის მიერ მიტოვებულ ბანაკს. მათ დაივიწყეს ყოველგვარი სამხედრო დისციპლინა და ხელი მიჰყვეს ნადავლის დატაცებას. ამან, რასაკვირველია რამსესი გარდაუვალ დაღუპვას გადაარჩინა. ამავე დროს, მოულოდნელად, თავდამსხმელი ხეტების ზურგში გამოჩნდა ეგვიპტელთა


1. Брестед Дж., История Египта, с древнейших времен до перседского завоевания, т.2, М., 1915, стр. 112.

რაზმი, რომელიც მოადგა კადემს ზღვის მხრიდან, ალბათ რამსეს II-ის ძირითად ძალებთან შესაერთებლად.¹ ყოველ შემთხვევაში, ისინი არ ეკუთვნოდნენ არც ერთ მის შენაერთს. როგორც კი დაინახეს ახალი ძალები თავისი ჯარისა, ამონის სამხედრო ნაწილის გაფანტულმა მეომრებმა იწყეს უკან გამობრუნება. ამის შედეგად ეგვიპტელთა ძალები გარკვეულ წილად გაძლიერდა, ეს კი შესაძლებლობას აძლევდა მათ გაეძლიოთ ხეთების შეტევისათვის პტახის შენაერთის მოსვლამდე. ეგვიპტელების მედგარმა წინააღმდეგობამ აიძულა ხეთების მეფე ბრძოლაში შეეყვანა ახალი ძალები, რომელიც ათასი საბრძოლო ეტლისაგან შედგებოდა. ექვსჯერ ებგერა გაშმაგებული ფარაონი მოწინააღმდეგის მჭიდრო რიგებს. გაუგებარი მიზეზების გამო ხეთების მეფე მუვათალი არ აგზავნის მის წინააღმდეგ რეაათასიან ქვეითთა ლაშქარს, რომელიც კონცენტრირებული იყო მდინარის აღმოსავლეთ სანაპიროზე. რამდენადაც ცნობილია, ბრძოლაში მონაწილეობას მხოლოდ ეტლოსნები ღებულობდნენ.² მთელი სამი საათის განმავლობაში პირადი მამაცობისა და შემართების ფასად რამსეს II ახერხებდა თავისი მცირედი ძალების შემჭიდროებასა და საბრძოლო სულისკვეთების გაათქცევას. როგორც დევგმირი, მიმართავდა იგი თავის მეომრებს: „გამაგრდით! გაიმაგრეთ თქვენი გულები, ჩემო მეომრებო და ეტლოსნებო! ამონი, მფარველი ჩემი, ჩემთანაა“³. ბრძოლის

1. Брестед Дж., *История Египта, с древнейших времен до персидского завоевания*, т.2, М., 1915, стр. 113.

2. Там же.

3. *Хрестоматия по истории Древнего Востока, под редакций В. В. Струве, Д. Г. Редера*, М., 1963, стр. 123-124.



ღვთაება პტახის პოლკი
კალეშთან ბრძოლის დროს.

ქარცეცხლში მყოფი მერამდენედ გააყოლებდა იმედის თვალს სამხრეთისკენ, შაბტუნიდან მომავალი გზის მიმართულებით, საიდანაც მოისწრაფოდა პტახის შენაერთი. ბოლოს, დღის დასაჟალზე გამოჩნდება პტახის სამხედრო ნაწილის შტანდარტები, რამაც გაახალისა ფარაონის დაქანცული მზერა.¹ ეგვიპტელთა ორმხრივი დარტყმის ქვეშ მოქცეული ეტლოსნები, რომელთაც მნიშვნელოვანი დანაკლისი განიცადეს, ქლაქში იქნა შერეკილი, სადაც დაღამებისთანავე ჩაიკეტნენ.

აღსანიშნავია, რომ ბრძოლის ბოლო ეტაპზე რამსეს II-ის მიერ მოპოვებულმა წარმატებამ იხსნა მისი ჯარი სრული განადგურებისაგან, მაგრამ დანაკარგები იმდენად საგრძნობი აღმოჩნდა, რომ რამსესი იძულებული შეიქნა მუვათალის მიერ შემოთავაზებულ დაზავებაზე დათანხმებულიყო. ამის შემდეგ რამსეს II ეგვიპტეში ბრუნდება.

კადეშთან ბრძოლის დროს ორივე მხარემ უმძიმესი ზარალი განიცადა. დიდი იყო ხეტების დანაკარგი რამსეს II-ის ბანაკში დატრიალებული ხოცვა-ჟლეტის შედეგად, ასევე ქ. კადეშთან ეგვიპტელთა ჩრდილოეთით გარღვევისას მდინარის ნაპირისაკენ და პტახის შენაერთის მოსვლის დროს. უდაუოდ დიდი დანაკარგები ჰქონდა რამსეს II-საც, მაშინ, როდესაც ხეტების ეტლოსნები მოულოდნელად თავს დაესხნენ რა-ს შენაერთს.

კადეშის ბრძოლის სპეციფიკის უშუალო გაგებისათვის აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, ავხსნათ ხეტების რვაათასიანი ქვეითი ლაშქრის უცნაური მოქმედება, რომელიც მთელი დღე უმოქმედოდ იდგა მდ. ორონტის

1. Хрестоматия по истории Древнего Востока, под редакцией В. В. Струве, Д. Г. Редера, М., 1963, стр. 125. Christiane Desroches Noblecourt, Ramses II. Paris, 1996, p. 172-173.

მარჯვენა მხარეს და ამაოდ ელოდა მუკათალის ბრძანებას მაშინ, როცა მარცხენა სანაპიროზე მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლა, რამსეს II კი ამ დროს გმირულად იგერიებდა გარსშემორტყმული ხეთების ეტლოსნებს. ასეთი კაზუსი ომის წარმოების ყოველგვარ ლოგიკას სცილდება.

ეგვიპტოლოგთა შორის ამის შესახებ დღემდე არაა ერთიანი აზრი, ყველა მოსაზრება დაყვანილია ფაქტის უბრალო კონსტატაციამდე. მაგ.: ჯეიმს ბრესტედის გამონათქვამი ამის თაობაზე ჩვენთვის უკვე ცნობილია (იხ. წინამდებარე ნაშრომის 68-ე გვერდი). ანალოგიურად ახასიათებს კადეშის ბრძოლას ი. ვ. ვინოგრადოვი, აღნიშნავს რა მხოლოდ იმას, რომ ქვეითები მუკათალის რატომღაც ჯიუტად რეზერვში ჰყავდა.¹ საბჭოთა ისტორიკოსებიდან მხოლოდ ვ. ვ. სტრუვე შეეცადა აეხსნა ის მოტივები, რითაც ხელმძღვანელობდა ხეთების მეფე. სტრუვეს აზრით, მან ალბათ იმიტომ თქვა უარი ბრძოლაში ჩაება თავისი ძირითადი ქვეითი ძალები, რომ ბოლომდე არ ენდობოდა თავის ქვეითებს, რომლებიც დაპირისპირებული იყვნენ ეტლოსნებთან იმის გამო, რომ ისინი უმთავრესად წარჩინებულთა წრეს ეკუთვნოდნენ. მუკათალმა ვერ გაბედა მათი ბრძოლაში შეყვანა, და ამით ხელიდან გაუშვა გამარჯვება.²

შესაძლოა შემდეგიც: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რამსეს II-ის ძირითადმა სამხედრო ძალებმა (ამონისა და რა-ს შენაერთები) გადალახეს მდინარე ორონტი და გავიდნენ მის მარცხენა ნაპირზე ქ. შაბტუნის მიდამოებში.

1. Виноградов И. В., *Новое Царство в Египте, История Древнего мира, под редакций Дьяконова И. М., Ранняя Древность*, кн. 1, М., 1982, стрр. 255.

2. *Всемирная История*, т. 1, М., 1955, стр. 379.



სცენა კალეშის ბრძოლიდან (პაპირუსი).
რამსეს II საბრძოლო ეტლზე. მის ქვემოთ დამხობილი ხეივანი მხედართმთავრები,
ზემოთ კი გამოსასულია მათი სახელების და ტიტულების აღმნიშვნელი წარწერები.



ხეთების სამეფო



ეგვიპტის იმპერია რამსეს II-ის დროს

მაგრამ ეს ქალაქი მდებარეობდა ქ. კადეშიდან შორს სამხრეთით, 10,5 მილის დაშორებით, თითქმის ერთი დღის სავალზე. კადეშთან ახლოს კი, როგორც ეტყობა, ხელსაყრელი ადგილი ორონტზე გადასასვლელად ქვეითებისთვის არ იყო, რამაც ყოველგვარი შესაძლებლობა მოუსპო მუეათალის მანევრებისათვის. ამიტომაც, მან რამსესის წინააღმდეგ, რომელიც მდინარის მეორე ნაპირზე იმყოფებოდა, შეძლო მხოლოდ ეტლოსნების გადასროლა. ამდენად, ხეთების მეფის მუეათალის მიერ ბრწყინვალედ ჩაფიქრებულმა სამხედრო ოპერაციამ ვერ პოვა თავისი ლოგიკური დაგვირგეინება.

ბრძოლის კრიტიკულ მომენტში, როდესაც ეგვიპტელები ხეთების ეტლოსნების მიერ გარშემორტყმულნი, თავისი ფარაონის მეთაურობით თავგანწირვით ეკვეთნენ მტერს, რომ გაერღვიათ ალყა, რამსეს II, რასაკვირველია, იბრძოდა როგორც ნამდვილი გმირი. მოცემულ სიტუაციაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მისმა პირადმა მამაცობამ, გამბედაობამ და იმ შემთხვევითმა გარემოებამ, რომელმაც არ მისცა საშუალება ხეთების ქვეითებს გადასულიყვნენ მდინარეზე. შემდგომ, დამატებით ახალი ძალების დროულმა გამოცხადებამ გადაარჩინა რამსეს II გარდაუვალ დამარცხებას. აქედან გამომდინარე, ამ ბრძოლამ ვერ გამოავლინა გამარჯვებული და შენარჩუნებულ იქნა status quo: ხეთები ძველებურად ბატონობდნენ ჩრდილოეთ სირიაში, ხოლო ეგვიპტელები – სამხრეთ სირიაში, პალესტინასა და ფინიკიაში.¹

1. გრ. გიორგაძე, *ეგვიპტელებისა და ხეთების პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიიდან (კადეშის ბრძოლა)*, იხ. გორის დამოუკიდებელი პედაგოგიური ინსტიტუტის შრომათა კრებული, №1, გორი. თბ., 1995, გვ. 23.

კადეშის ბრძოლის შემდეგ რამსეს II თავგამოდებით იბრძოდა სირიის დაუფლებისათვის. მთელი თექვსმეტი წლის მანძილზე ეგვიპტის ფარაონის ჯარი რეგულარულად თავს ესხმოდა პალესტინას, ასევე მდ. იორდანის გაღმა ტერიტორიას, ფინიკიას, სირიას.

როგორც ამ პერიოდის ამსახველი წყაროები იტყობინებიან (დაფიქსირებულია რამესუმში, პილონის დასავლეთ მხარეს), რამსეს II-მ თავისი მმართველობის მე-8 წელს ილაშქრა პალესტინაში, ფინიკიაში, სირიაში. მან ალყა შემოარტყა და შტურმით აიღო ქ. დაფური ჩრდილოეთ სირიაში, ასევე მთელი რიგი ქალაქებისა ჩრდილოეთ პალესტინაში.¹

დაიბრუნა რა, ამგვარად, სამი წლის განმავლობაში პალესტინა, რამსეს II-ს ისევ მიეცა შესაძლებლობა დაეწყო თავისი პატივმოყვარული ამოცანის შესრულება აზიაში, იმ მიდამოებში, საიდანაც ეს დაიწყო ოთხი წლის წინათ. თუ როგორი ენერგიულობით ეწეოდა იგი სამხედრო კამპანიას, სრულიად დასტურდება მის მიერ მიღწეული წარმატებებით.

რამსეს II თავისი მეფობის მე-10 წელს ისევ შეიჭრა ფინიკიაში, რაზეც მიუთითებს მდ. ელ-ქელებთან მის მიერ დადგმული სამხრეთის სტელა. (მდ. ელ-ქელებთან არის კიდევ ჩრდილოეთის სტელა, ასევე დადგმული რამსეს II-ის მიერ, მაგრამ მისი ტექსტი მთლიანად დაზიანებულია).² ამავე დროს, მან ილაშქრა ჩრდილოეთ

1. Брестед Дж., История Египта, с древнейших времен до персидского завоевания, т.2, М., 1915, стр. 117.

2. Стучевский И. А., Рамсес II и Херихор, М., 1984, стр. 29.

სირიაში, რის შესახებ გვაუწყებენ კარნაკისა და ლუქსორის რელიეფები და სხვა ძეგლები. აქ მან იერიშით აიღო ქალაქი ტუნიპი.¹

როგორც ჩანს, რამსეს II სირიაში ყოფნის დროს, ან შესაძლებელია უფრო მოგვიანებით, პალესტინაში ადგილი ჰქონდა რაღაც არეულობებს. დაუთარილებელი სცენა კარნაკში ასახავს ქალაქ ასქალონის დამორჩილებას. რამსეს II ჯერ ალყას შემოარტყამს ქალაქს, შემდეგ კი შტურმით იღებს მას.²

მეფობის მე-18 წელს რამსეს II პალესტინაში იმყოფება, ბეით-შეანის მიდამოებში, რაზეც მოწმობს აქ აღმოჩენილი ბაზალტის ფილა, რომელიც ამჟამად ინახება ფილადელფიის უნივერსიტეტის მუზეუმში. მმართველობის მე-18-20 წლებში რამსესი დაკავებული იყო ეგვიპტის ბატონობის განმტკიცებით პალესტინაში. ამავე დროს მისი ჯარის ნაწილები შეაღწევნ მდ. იორდანის გაღმა ედომისა და მოავის ტერიტორიებზე.³ შემდგომ პერიოდში, მისი მეფობის 21-ე წელს, დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება ეგვიპტესა და ხეთებს შორის.

როგორც ვხედავთ, რამსეს II-ის სამხედრო ექსპედიციების შემადგენელ ნაწილს ედომის ტერიტორიის დაპყრობაც წარმოადგენდა, რაზეც გვაუწყებს ნილოსის აღმოსავლეთ დელტაში, დელ ერ-რათაბში დადგმული ფილა. „მოხდა დიდი ხოცვა-ჟლეტა შასუს ქვეყანაში, მან გაძარცვა მათი გორაკები...

1. Брестед Дж., Тураев Б., *История Древнего Египта*, Минск, 2003, стр. 716.

2. Брестед Дж., *История Египта, с древнейших времен до персидского завоевания*, т.2, М., 1915, стр. 117.

3. Стучевский И. А., *Рамсес II и Херихор*, М., 1984, стр. 29.

ხელახლა ააშენა ქალაქები, რომლებსაც შემდგომ მისი სახელი მიენიჭებათ“.¹ ერთ-ერთ ობელისკზე ტანისში რამსეს II-ის შესახებ ნათქვამია, რომ ის საშინელი, მძვინვარე ღომია. მან დაარბია შასუ-ს ქვეყანა, გააჩანაგა მთა სეირი თავისი სახელოვანი ხელით.² მომთაბარეთა – შასუს ქვეყანა აქ გაიგივებულია მთა სეირთან, რომელიც არის ედომში, და ამგვარად, რამსეს II-ის აქტიურობა ედომში, ისევე როგორც მოავაში, უჭკეულია.

შესაბამისად, ამ რეგიონში რამსეს II-ის სამხედრო ლაშქრობების შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, შეიძლება წარმოვიდგინოთ ეგვიპტის ჯარის მოძრაობის მთავარი მიმართულება. ჩრდილოეთის გზით პალესტინისა და მდ. იორდანის გავლით მოავაში, ხოლო შემდგომ კი სამხრეთის გზით უშუალოდ ედომში. დაწყებული რამსეს II-ის მეფობიდან ეგვიპტეს მჭიდრო კავშირი ჰქონდა მოავასთან და ედომთან.

პალესტინაში ისრაელთა შედწევის დროსთან დაკავშირებით, საინტერესოდ მიგვაჩნია იმ საკითხის გარკვევა, თუ როდის მოხდა რამსეს II-ის მოავაში და ედომში შეჭრა – ისრაელთა შემოსევამდე თუ მას შემდეგ, რადგან ცნობა ისრაელის შესახებ აუცილებლად უნდა ასახულიყო რამსეს II-ის წარწერებში. ამდენად, ყველაზე რეალურად მიგვაჩნია, რომ რამსეს II-ის ლაშქრობა მოავასა და ედომში მოხდა ამ რეგიონში ისრაელთა გამოჩენამდე და ადგილი ჰქონდა სადღაც ძვ.წ. XIII საუკუნის პირველ ნახევარში. თუ ისრაელთა გადაადგილება იორდანის

1. Стучевский И. А., Рамсес II и Херихор, М., 1984, стр. 31.

2. Там же.

გავლით პალესტინაში მოხდა ძვ.წ. XIII საუკუნის მეორე ნახევარში, მაშინ რამსეს II-ის ცნობა გამარჯვებების შესახებ მდ. იორდანის გაღმა ტერიტორიებზე დამატებით სასარგებლო ინფორმაციას შეგვძენს განსახილველი პერიოდის უკეთ გაგებისათვის.

რამსეს II-ის მეფობის დროს მთელი ნუბია, მეოთხე ჯორომამდე, სრულიად ეგვიპტის მორჩილებაში იმყოფებოდა. ეგვიპტის სახელმწიფო ადმინისტრაცია მთლიანად აკონტროლებდა ვითარებას ნუბიაში, საიდანაც ფარაონის ხაზინაში მოედინებოდა სხვადასხვა მატერიალური ფასეულობანი, უპირველეს ყოვლისა კი ოქრო. ნუბიას იმ დროს „ამონის ოქროს ქვეყანას უწოდებდნენ“.¹ უტყუარი ცნობები რამსეს II-ის სამხედრო ექსპედიციების შესახებ ნუბიაში არ არსებობს. ამიტომ ყოვლად შესაძლებელია, მსგავს ლაშქრობებს საერთოდ არც კი ჰქონდა ადგილი ამ მხარეში, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეგვიპტის პოზიციები ნუბიაში ძალზე მყარი იყო. ამ დროისათვის ანტიეგვიპტური გამოსვლები ძალიან იშვიათ ხასიათს ატარებდა. ამდენად, თითქმის ყველა მასალა რამსეს II-ის ნუბიაში სამხედრო აქტიურობის შესახებ ნაკლებად სარწმუნოა და როგორც ჩანს, იმეორებს ამ ქვეყნისადმი ტრადიციული ეგვიპტური დამოკიდებულების ჩვეულ მოტივებს.² როგორც წინა პერიოდში, ისე რამსეს II-ის მმართველობის დროს, ნუბიას განაგებდა ნუბიის ნაცვალი „კუშის უფლისწული“³ – (მეფის შვილი კუშისა), მისი ტერიტორიის სრულუფლებიანი

1. Белова Г. А., *Египтяне в Нубии*, М., 1988, стр. 72.

2. Там же.

3. Там же, стр. 3.

მბრძანებელი. ყველა პოლიტიკური და ეკონომიკური ხასიათის საკითხი, გარდა იმისა, რაც ეგვიპტის უმაღლესი სახელმწიფო ადმინისტრაციის პრეროგატივას წარმოადგენდა, წყდებოდა ადგილზე, ნუბიაში. ეგვიპტელი მოხელეები მხოლოდ აკონტროლებდნენ ადგილობრივი ადმინისტრაციის საქმიანობას. ამ დროისათვის გარკვეულ ცვლილებებს განიცდის ნუბიის ადმინისტრაციული უწყებები: ცენტრალიზებული იქნა საგანძურების, ბელლების მმართველობა, ცვლილებები ხდება მშენებლობისა და, როგორც ჩანს, სტრატეგიის დარგშიც, თანდათანობით ციხე-სიმაგრეები ადგილს უთმობენ გამაგრებულ ქალაქებს, ინტენსიურად ვითარდება ტაძრების მშენებლობა.

ამ დროს ეგვიპტელთა მიერ ასევე ხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენელთა, უპირველეს ყოვლისა, ტომთა ბელადებისა და მათთან დაკავშირებული ტომის წარჩინებულთა, ჩაბმა ეგვიპტის ადმინისტრაციულ აპარატში, არა მარტო ნუბიაში, არამედ ეგვიპტეშიც. მიუხედავად ამისა, ეგვიპტელების დასაყრდენს ნუბიაში მნიშვნელოვანწილად სამხედრო ძალა წარმოადგენს, რადგან ციხე-სიმაგრეში გამაგრებული ჯარი მუდმივად იქ იმყოფება.

ამგვარად, ეგვიპტელებს ნუბიაში მტკიცედ ჰქონდათ ფეხი მოკიდებული და ეს მხარე ფაქტიურად ეგვიპტის პროვინციას წარმოადგენდა.

რამსეს II-ისა და ხათუსილი III-ის საზავო ხელშეკრულება

მართალია, კადეშის ბრძოლამ ვერ გამოაწვლინა გამარჯვებული, მაგრამ მოამზადა ნიადაგი ეგვიპტელებისა და ხეთებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობის დასამყარებლად. ამ სამხედრო შეტაკების შემდგომ წლებში პოლიტიკური ურთიერთობანი ამ ორ ხალხს შორის აღარ იყო დაძაბული. ამაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა ხეთების მხარეს, რადგან რამსეს II-ის აზიაში ლაშქრობის მე-15 წლის მიწურულს, ხეთების იმპერიაში მიმდინარე შიდა პოლიტიკურმა მოვლენებმა ამ რეგიონში მისი სამხედრო კამპანიის მოულოდნელი და უეცარი შეწყვეტა გამოიწვია. მკვეთრად შეიცვალა ხეთებსა და ეგვიპტელებს შორის დამოკიდებულების სამხედრო-პოლიტიკური ვექტორი.

ამ დროისათვის ხეთების მეფე მუვათალი დაიღუპა ბრძოლაში, ან შესაძლებელია დაეცა მეტოქის მახვილით განგმირული. სამეფო ტახტზე ის შეცვალა მისმა ძმამ ხათუსილი III-მ. ხათუსილი III-ს ჩრდილოეთ სირიის დაუფლებისათვის რამსეს II-თან საშიში ომის გარეშეც საკმარისზე მეტი პრობლემები ჰქონდა თავისი ძალაუფლების შენარჩუნებასთან დაკავშირებით. ის იძულებული გახდა ეგვიპტესთან მიმართებაში სამხედრო-პოლიტიკური კონფროტაციიდან მშვიდობიან პოლიტიკაზე გადასულიყო. ეს პროცესი კიდევ უფრო დააჩქარა ასურელთა სახელმწიფოს გაძლიერებამ, რომელიც ახლო მომავალში აუცილებლად ხეთების სახელმწიფოს დაემუქრებოდა. ასეთ ვითარებაში

ხეთების მეფის - ხათუსილი III-ის საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზანს სწორედ ეგვიპტესთან ურთიერთობის მოგვარება წარმოადგენდა.

თავის მხრივ, რამსეს II დაინტერესებული გახლდათ ხეთებთან მშვიდობიანი დამოკიდებულების დამყარებაში, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, კადეშის ცნობილ ბრძოლაში მან გამარჯვებას ვერ მიაღწია. ბრძოლის მეორე დღეს მუეათალისთან მიღწეულმა შეთანხმებამ შესაძლებლობა მისცა მას ღირსეულად დაეხია უკან და მშვიდობიანად დაბრუნებულიყო თებეში. მართალია, კადეშის ბრძოლის შემდეგ მას ხელი არ აუღია ბრძოლაზე სირიის დაუფლებისათვის და 15 წლის მანძილზე მისი ჯარი რეგულარულად იჭრებოდა პალესტინაში, სირიაში, ფინიკიაში, მდ. იორდანის გაღმა ტერიტორიაზე, მაგრამ ამ ხანგრძლივი ომის შედეგად რამსეს II-მ მაინც ვერ მიაღწია სანუკვარ მიზანს, ხეთების საბოლოო დამარცხებას. ამან ორივე მხარე ურთიერთობის მშვიდობიანად დარეგულირების წინაშე დააყენა. რამსეს II-ის მეფობის 21-ე წელს (ძვ.წ. 1270 წ.) ამ ორი ქვეყნის მმართველთა შორის დაიდო საზავო ხელშეკრულება, რომლის ყველაზე უფრო სრული ტექსტი შემონახულია კარნაკში, ტაძრის დასავლეთი კედლის გარეთა მხარეზე, დიდ ჰიპოსტილურ და მეშვიდე პილონს შუა. ამ ტექსტის ფრაგმენტი კი მოთავსებულია რამესეუმში მეორე პილონის გარეთა მხარეს.¹ ორივე ტექსტი წარმოადგენს საზავო ხელშეკრულების ეგვიპტურ ენაზე იეროგლიფური

1. გრ. გიორგაძე, რამსეს II-ისა და ხათუსილი III-ის საზავო ხელშეკრულების აქადური ვარიანტი. იხ. ქართული ღიპლომატია, წელიწდეული, 3 რედ. როინ მეტრეველი, თბ., 1996, გვ. 16.

დამწერლობით შედგენილ ვარიანტს (აქადურ ენაზე შედგენილი ტექსტის ეგვიპტური თარგმანი), რომელიც ვერცხლის ფირფიტაზე ყოფილა ამოკვეთილი და ჩამოტანილი რამსეს II-ისათვის სპეციალური დიპლომატიური მისიის მიერ. ხეთების მეფისაგან რწმუნებით აღჭურვილი დელეგაცია, რამსეს II-ის ელჩისა და ხათუსილი III-ის ორი ელჩის შემადგენლობით, ჩადის ეგვიპტის დედაქალაქ პერ-რამსესში.¹

„ამ დღეს, როდესაც მისი უდიდებულესობა იმყოფებოდა ქალაქ პერ-რამსესში, რომ თავყვანი ეცა... თავისი დეთაება ამონ რა-სთვის... მოვიდნენ მეფის დესპანი და დესპანი ხეთების ქვეყნისა, რომ გადასცენ ვერცხლის ფირფიტა, გამოგზავნილი ხეთების ქვეყნის მეფის ხათუსილის მიერ, ფარაონს, ...რათა, გამოსთხოვოს მშვიდობა ზემო და ქვემო ეგვიპტის მბრძანებელს, რამსეს II-ს...“²

საზავო ხელშეკრულების ტექსტი დიდხანს მზადდებოდა. მის შემუშავებას წინ უძღოდა ხანგრძლივი მოლაპარაკებები დაინტერესებულ მხარეებს შორის. სამშვიდობო და მეგობრული შეთანხმების ინიციატივა ხეთების მეფისაგან მომდინარეობდა, ამიტომ თავდაპირველად ხელშეკრულების ტექსტი შეთანხმებულ იქნა რამსეს II-ის ელჩებთან ხეთების დედაქალაქ ხათუსაში. შემდეგ ის ჩაწერეს ვერცხლის ფირფიტაზე, აქადურ ენაზე და გაგზავნეს ეგვიპტეში, რამსეს II-ის რეზიდენციაში. დოკუმენტის უტყუარობის დამადასტურებელი

1. Тураев Б. А., *История древнего Востока*, т. 1, Л., 1935, стр. 306.

2. *Тематическая Хрестоматия по истории Древнего мира*, часть. 1, составитель Пикус Н. Н., М., 1963, стр. 110.

გახლდათ ფირფიტის წინა მხარეს ხეთების მეფის გამოსახულება ჭექა-ქუხილის ღმერთის, თეშუბის გვერდით, ხოლო მის უკანა მხარეს კი - დედოფლისა, მზის ქალღმერთ არინასთან ერთად.¹ ეგვიპტეში აქადური ტექსტის ორიგინალი თარგმნეს ეგვიპტურ ენაზე, და იგი რამსეს II-ის მიერ დამტკიცების შემდეგ ამოტვიფრულ იქნა იეროგლიფებში კარნაკსა და რამესეუმში. ამდენად, ეგვიპტელ მთარგმნელებს ხელშეკრულების ეგვიპტური ვარიანტისათვის საფუძვლად დადებული უნდა ჰქონდეთ აქადურად შედგენილი ის ლურსმული ტექსტი, რომელიც ხათესული III-მ გამოუგზავნა რამსეს II-ს.

ვერცხლის ფირფიტა ხელშეკრულების პირვანდელი აქადური ტექსტით გაიგზავნა შესანახად პერ-რამსესის რა-ს ტაძრის არქივში. ამავე დროს, რამსეს II-ის ბრძანებით რედაქტირებული ამ დოკუმენტის აქადური ვერსია ხელახლა ჩაწერეს ეგვიპტეში აქადურ ენაზე, ამოტვიფრეს ასევე ვერცხლის ფირფიტაზე და გაუგზავნეს ხათუსილი III-ს. ხეთების მეფემ კი თავის მხრიდან გასცა ბრძანება გადაეღოთ ასლი რამსეს II-ის მიერ გამოგზავნილი ვერცხლის ფირფიტის ტექსტიდან, ჩაეწერათ ის თიხის ფირფიტებზე და შემდეგ კი მოეთავსებინათ ისინი შესანახად თეშუბის ტაძრის არქივში. ამჟამად, მათგან რამდენიმე ცალი ინახება სანკტ-პეტერბურგში, ერმიტაჟში. სწორედ ეს ლურსმული დამწერლობით შესრულებული, აქადურ ენაზე შედგენილი ხელშეკრულების ტექსტი იპოვა გ. ვინკლერმა ხეთების დედაქალაქ ხათუსაში

1. История дипломатий, т. 1, под. редакций В. А. Зорина, М., 1959, стр. 14.

(თანამედროვე ბოლაზქოიში), სადაც აღმოჩნდა ასევე ხეტების მდიდარი ლურსმული არქივი.¹

არსებობს რამსეს II-ისა და ხათუსილი III-ის საზავო ხელშეკრულების ტექსტის რამდენიმე თარგმანი ინგლისურ, გერმანულ, რუსულ და სხვა ენაზე.² ქართული თარგმანი პირველად გამოქვეყნდა გრ. გიორგაძის მიერ 1996 წელს.³

ხელშეკრულება შედგებოდა სამი ნაწილისაგან: 1. შესავალი, 2. ხელშეკრულებითი მუხლების ტექსტი, 3. დასკვნა - ღმერთებისადმი მიმართვა მათი მოწმეებად მოხმობის მიზნით, აღებული ვალდებულების დაცვის ფიცი, ხელშეკრულების დამრღვევის წყევლა-კრულვა. ამ ორ ქვეყანას შორის მიღწეული შეთანხმების უმნიშვნელოვანეს პირობებს წარმოადგენს ურთიერთშეუვალობის უზრუნველყოფა, ერთმანეთისადმი

1. *Тыраев Б. А., История древнего Востока, т. 1, Л., 1935, стр. 306.*

2. *Brested J. H., Ancient records of Egypt. vol. III, Chicago, 1906, p. 367-391. Kitchen K. A., Ramesside Inscriptions, Historical and Biographical, vol. II, Ox. 1971, p. 225-232. Wilson J. A., Treaty Between the Hittites and Egypt. Princeton, 1955, p. 199-201. Roeder Y., Agypter und Hethiter in Der Alte Orient, Lpz, 1919, s. 113-141. Тыраев Б. А., История древнего Востока, т. 1, Л., 1935, стр. 306-307. Стучевский И. А., Рамсес II и Херихор, М., 1984, стр. 49-56. Хрестоматия по истории Древнего Востока, под редакцией В. В. Струве и Редера Д. Г., М., 1963, стр. 126-130. Хрестоматия по истории Древнего Мира, Древний Восток, под редакцией В. В. Струве, М., 1950, стр. 101-104. Тематическая Хрестоматия по истории Древнего мира, часть 1, составитель Пикус Н. Н., М., 1963, стр. 110-114.*

3. გრ. გიორგაძე, რამსეს II და ხათუსილი III-ის საზავო ხელშეკრულების აქადური ვარიანტი. იხ. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 3 რედ. როინ მეტრეველი, თბ., 1996, გვ. 16-24.

დახმარების აღმოჩენა მესამე მხარის თავდასხმისა და დაპყრობილი ხალხების აჯანყების შემთხვევაში, გაქცეულთა დაბრუნება. თვით ეს დიპლომატიური ღოკუმენტი თერამეტი პარაგრაფისაგან შედგებოდა. როგორც აღნიშნულია ვერცხლის ფირფიტის ოფიციალურ ნაწილში, ეს იყო „ხელშეკრულება მშვიდობისა და ძმობის შესახებ“, სადაც ქება-დიდებათაა მოხსენიებული ორივე ქვეყნის მმართველი, მათი დიდი წინაპრები. ორივე მხარის განცხადებით ესაა შესანიშნავი ხელშეკრულება მშვიდობისა და ძმობის სამარადისო დამკვიდრებაზე.

„ხელშეკრულება, რომელიც ამოკვეთეს ვერცხლის ფირფიტაზე ხეთების ქვეყნის დიდმა მეფემ ხათუსილმა, გმირმა, ძემ მურსილისა,¹ დიდი მეფისა, ხეთების ქვეყნისა გმირისა, შვილიშვილმა სუფილულიუმას² დიდი მეფისა ხეთების ქვეყნისა, გმირისა და რამსეს II დიდმა მეფემ ეგვიპტისა, გმირმა, ძემ სეტი I-ისა, ეგვიპტის დიდი მეფისა, გმირისა, შვილიშვილმა რამსეს I-სა, ეგვიპტის დიდი მეფისა, გმირისა, - შესანიშნავი ხელშეკრულება, მარადიული მშვიდობისა და ძმობისა“³

ასევე პრეამბულაში აღნიშნულია მანამდე ამ ორ ხალხს შორის არსებული ურთიერთობის, მისი როგორც მეგობრული, ისე მტრული დამოკიდებულების შესახებ. აქ საუბარია იმაზე, რომ უხსოვარი დროიდან

1. ხეთების მეფე მურსილ II.

2. ხეთების დიდი მეფე სუფილულიუმა I.

3. *Хрестоматия по истории Древнего Мира*, т. I, составитель Пикус Н. Н., М., 1963, стр. 111. გრ. გიორგაძე, რამსეს II და ხათუსილი III-ის საზავო ხელშეკრულების აქადური ვარიანტი. იხ. ქართული დიპლომატია, წელიწდეული 3, რედ. როინ მეტრეველი, თბ., 1996, გვ. 18.

ხეთები და ეგვიპტელები არ იყვნენ ერთმანეთის მტრები. მათ მეფეებს შორის ადრეც იღებოდა ხელშეკრულებები. ურთიერთობა გაფუჭდა მხოლოდ ხათუსილი III-ის ძმის მუვათალის მეფობის დროს, როცა მან დაიწყო ბრძოლა ეგვიპტის დიდი მეფის რამსეს II-ის წინააღმდეგ. ხოლო აწინდელი ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან დამყარდება საუკუნო მშვიდობა, მეგობრობა და ძმობა, უკეთესი ვიდრე იყო მანამდის. ისინი მიმართავენ ღმერთებს მოწოდებით იყვნენ მოწმედ და არ დაუშვან მტრობა ორ ხალხს შორის.

„ამიერიდან და მარადის, ეგვიპტის დიდი მბრძანებლის, ისევე როგორც ხეთების ქვეყნის დიდი მეფის ჩანაფიქრთა შესაბამისად, ამ ხელშეკრულების სამარადისო ძალით და წყალობით ღმერთი არ დაუშვებს მტრობას ჩვენს შორის.¹

„თუმცა, ხეთების ქვეყნის დიდი მეფის მუვათალის დროს, ჩემი ძმის, ის ებრძოდა ეგვიპტის დიდ მბრძანებელს [რამსეს II], მაგრამ, ამიერიდან, ამ დღიდან მოყოლებული, ხათუსილმა ხეთების ქვეყნის მეფემ, დადო ხელშეკრულება, რომელიც ადგენს იმას, რაც დაწესდა ღვთაებათა ნებით, როგორც ეგვიპტის, ისე ხეთების ქვეყნისთვის, რომ არ მოხდეს შუღლი ჩვენს შორის არაოდეს“...² „...დადო ხელშეკრულება დიდმა მეფემ ხათუსილმა, ხეთების ქვეყნის მეფემ, დიდ რამსეს II, ეგვიპტის ქვეყნის მბრძანებელთან,³...

1. *Хрестоматия по истории Древнего Мира, Древний Восток, под редакцией В. В. Струве, М., 1950, стр. 102.*

2. *Тематическая Хрестоматия по истории Древнего мира, часть 1 составитель Пикус Н. Н., М., 1963, стр. 111.*

3. *Там же.*

რომ ამიერიდან ნამდვილი მშვიდობა და ნამდვილი ძმობა იყოს ჩვენს შორის სამარადისოდ. იგი დაძმობილებულია ჩემთან და მე დაძმობილებული ვარ მასთან... ჩვენ ექმნით ჩვენს ძმობას და ჩვენ მშვიდობას, რომელიც უფრო უკეთესი იქნება, ვიდრე ძმობა და მშვიდობა ადრეულ ხანებში...”¹

ორივე ქვეყნის მმართველი ერთმანეთის წინაშე პირობას დებდა, რომ ამიერიდან მტრობა და შუღლი არ გათიშავდა ამ ორ ხალხს. მეფეთა შვილები ყოველთვის პატიისივცემით მოეკიდებოდნენ და დაიცავდნენ იმ კავშირს, რომელსაც საფუძველი მათ დაუდეს.

„...ხეთების ქვეყნის დიდი მეფე [ხათუსილი], ნამდვილ მშვიდობასა და ნამდვილ ძმობაში ვარ ეგვიპტის დიდ მბრძანებელთან [რამსეს II-სთან]. შვილები და შვილთაშვილები ხეთების ქვეყნის მეფისა, მშვიდობასა და ძმობაში იქნებიან, რამსეს II-ის, ეგვიპტის დიდი მბრძანებლის შვილებთან და შვილთაშვილებთან.² საუკუნოდ... ესენი ჩვენი ურთიერთობების შესაბამისად, ჩვენი ძმობისა და მშვიდობისაგან გამომდინარე, ეგვიპტის ქვეყნის, ისევე როგორც ხეთების ქვეყნის მსგავსად, იქნებიან მშვიდობასა და ძმობაში, როგორც ჩვენ ვართ სამარადისოდ“.³

1. გრ. გიორგაძე, რამსეს II-ისა და ხათუსილი III-ის საზავო ხელშეკრულების აქადური ვარიანტი. იხ. ქართული დიპლომატია, წელიწდეული 3, რედ. როინ მეტრეველი, თბ., 1996, გვ. 19.

2. Тематическая хрестоматия по истории Древнего Мира, ч. 1, составитель Пикус Н. Н., М., 1963, стр. 111-112.

3. გრ. გიორგაძე, რამსეს II-ისა და ხათუსილი III-ის საზავო ხელშეკრულების აქადური ვარიანტი. იხ. ქართული დიპლომატია, წელიწდეული 3, რედ. როინ მეტრეველი, თბ., 1996, გვ. 20.

ყველაფერი დაფუძნებული იყო იმ ცივილიზაციათა მთავარ ფასეულობებზე, რომელიც სრულიად უცნობია თანამედროვე პოლიტიკისათვის. – მოცემული სიტყვის პატივისცემაზე. მოვლენების შემდგომი მსვლელობა ნათლად გვაჩვენებს, რომ ხელშეკრულების პირობები მკაცრად სრულდებოდა.

ამ ხელშეკრულებით ეგვიპტესა და ხეთებს შორის სამხედრო კავშირიც გაფორმდა. ის ითვალისწინებდა თავდაუსხმელობასა და ურთიერთდახმარებას გარედან სამხედრო საფრთხისა და ქვეყნის შიგნით არეულობის, მღელვარების შემთხვევაში. როგორც ჩვენს მიერ ზემოთ ითქვა, აღნიშნულმა ფაქტორებმა მნიშვნელოვნად განაპირობეს ხეთებისა და ეგვიპტელების პოლიტიკური დაახლოება, რამაც თავისი ასახვა სრულად პოვა მათ მიერ დადებულ სამშვიდობო ხელშეკრულებაში. ამასთან დაკავშირებით გვინდა ხაზი გავუსვათ ერთ მეტად საინტერესო გარემოებას. ამ დროს რაიმე ნიშნები რეალური სამხედრო საფრთხისა, რომელიც ეგვიპტეს ემუქრებოდა გარედან, გარდა ხეთების მხრიდან საშიშროებისა, არ არსებობდა. არ არის იმის დამადასტურებელი ცნობები, რომ ეგვიპტის ქვეყნის შიგნით ადგილი ჰქონდა არეულობებს, რომელიც შეარყევდა რამსეს II-ის ტახტს.

ხეთების სახელმწიფოში კი ვითარება საპირისპირო გახლდათ, ხათუსილი III ქვეყანაში შექმნილი საჭირობოროტო, მწვავე პრობლემების სასწრაფოდ გადაჭრის აუცილებლობის წინაშე იდგა. სამეფოში გახშირდა შიდა არეულობები. ხელშეკრულების ეგვიპტურ ტექსტში აშკარადაა საუბარი შესაძლო შეთქმულების არსებობაზე, რომელიც მიმართულია

ხათუსილი III-ის ძალაუფლებისა და მისი ვაჟიშვილის წინააღმდეგ, რადგან ხათუსილი III-ს, რომელიც ქვეყნის სათავეში მოვიდა ძმისშვილის ურხი-თეშუფას გადაყენების შემდეგ, ძალიან აწუხებდა თავისი ძისათვის მემკვიდრეობით ტახტის მიღების გარანტირების აუცილებლობა. „ხათუსილის, ხათის¹ ქვეყნის მეფის ძემ უნდა მიიღოს მეფობა ხათის ქვეყნისა, ხათუსილის, მისი მამის მხრიდან ხათუსილის, ხათის ქვეყნის მეფის (ცხოვრების) მრავალი წლის შემდეგ. თუკი ხათის ქვეყნის დიდებულნი ცოდვას ჩაიდენენ მის (ხეთების უფლისწულის) წინააღმდეგ, მაშინ ეგვიპტის მეფემ, უნდა გაგზავნოს ქვეითი მეომრები და საბრძოლო ეტლები იმისათვის, რომ შური იძიონ მათზე (ხათის ქვეყნის)... და მას შემდეგ, რაც ისინი წესრიგს დაამყარებენ ხათის მეფის ქვეყანაში, ისინი დაბრუნდებიან ეგვიპტის ქვეყანაში“.²

სამხედრო თავდასხმის საფრთხე რომელიმე მესამე მხრიდან ემუქრებოდა, უპირველეს ყოვლისა, ხეთების სამეფოს. ამიტომ არც იყო გასაკვირი, რომ მოლაპარაკების ინიციატივა მათი მხრიდან მოდიოდა. ხეთების წინააღმდეგ აღმოსავლეთიდან მოიწევდნენ ასურელები. ასურელებმა დაიმორჩილეს და თავის სამფლობელოს შემოუერთეს მითანის ყოფილი სამეფო. ასურეთის სამეფო უშუალოდ გაუმეზობლდა ხეთების ქვეყანას. ამიერიდან, ნებისმიერ დროს მოსალოდნელი იყო ასურეთის ჯარის შეჭრა ჩრდილოეთ სირიაში. ამ

1. ხეთების...

1. გრ. გიორგაძე, რამსეს II-ისა და ხათუსილი III-ის საზავო ხელშეკრულების აქადური ვარიანტი. ქართული დიპლომატია, წელიწადეული 3, რედ. როინ მეტრეველი, თბ., 1996, გვ. 21.

ვითარებისათვის არ შეიძლებოდა ანგარიში არ გაეწია ხათუსილი III-ს. ასურეთის მეფემ ადად-ნერარი I მისწერა წერილი ხათუსილი III-ს, სადაც ის სთავაზობდა მას ხელშეკრულების დადებას მშვიდობასა და ძმობაზე, მაგრამ ხეთების მეფემ ასურელთა მეფის წინადადება უარყო და იმ დროს, როდესაც ასურეთის ჯარის ნაწილები მიუახლოვდნენ ქარქემიშის კედლებს, ხათუსილი III-მ საუკეთესოდ ჩათვალა რამსეს II-სთან, უდავოდ, „დიდ მეფესთან“, სამშვიდობო და სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება, რომელიც არაფრით არ ამცირებდა ხეთების სახელმწიფოს ხელისუფალის ღირსებას.

როგორც აღვნიშნეთ, საზავო ხელშეკრულების უმნიშვნელოვანეს პირობას თავდაუსხმელობა და ურთიერთდახმარება წარმოადგენდა. ტექსტში პირდაპირ მითითებულია, რომ „...დიდი მეფე, ეგვიპტის ქვეყნის მეფე, მომავალში არ დაარღვევს ხათის ქვეყნის საზღვრებს იმ მიზნით, რომ რაიმე წამოიღოს იქიდან, ხათუსილიც, დიდი მეფე, ხათის ქვეყნის მეფე, არ დაარღვევს ეგვიპტის ქვეყნის საზღვრებს მომავალში იმ მიზნით, რომ იქიდან რაიმე წამოიღოს...!'

...და თუკი რომელიმე მტერი გამოვა ხათის ქვეყნის წინააღმდეგ და ხათუსილი, დიდი მეფე, ხათის ქვეყნის მეფე, მე მომმართავს: „მოდი ჩემს დასახმარებლად მის (ე. ი. მტრის) წინააღმდეგ“, მაშინ, ... დიდი მეფე, ეგვიპტის ქვეყნის მეფე, ვალდებულია თავისი ქვეითი

1. გრ. გიორგაძე, რამსეს II-ისა და ხათუსილი III-ის საზავო ხელშეკრულების აქადური ვარიანტი. იხ. ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 3 რედ. როინ მეტრეველი, თბ., 1996, გვ. 20.

მეომრები და საბრძოლო ეტლები გაუგზავნოს, და მათ მტერი უნდა დაამარცხოვნ, მან [ე. ი. რამსესმა] ხათის ქვეყნისათვის შური უნდა იძიოს. ხოლო როდესაც ხათუსილი, დიდი მეფე, ხათის ქვეყნის მეფე, განურისხდება საკუთარ ქვეშევრდომებს და ისინი მის მიმართ შესცოდავენ, და შენ... დიდ მეფეს, ეგვიპტის ქვეყნის მეფეს, ამის შესახებ მისწერ, მაშინ [ის] ვალდებულია, თავისი ქვეითი მეომრები და საბრძოლო ეტლები გაუგზავნოს და მათ ყველანი [ე. ი. განდგომილი ქვეშევრდომები] უნდა დაამარცხოვნ, ვინც მათი წინააღმდეგია.

თუკი რომელიმე მტერი მოვა ეგვიპტის წინააღმდეგ, მაშინ,... ეგვიპტის მეფე, შენი ძმა, ასევე აცნობებს ხათუსილის, ხათის ქვეყნის მეფეს, თავის ძმას – „მოდი ჩემს დასახმარებლად მის წინააღმდეგ“ – მაშინ ხათუსილი, ხათის ქვეყნის მეფე ვალდებულია თავისი ქვეითი მეომრები და საბრძოლო ეტლები გამოაგზავნოს და მათ ჩემი მტერი უნდა გაანადგურონ, ხოლო როდესაც ეგვიპტის მეფე განურისხდება თავის ქვეშევრდომებს და ისინი მის წინააღმდეგ შესცოდავენ, ხოლო მე ხათუსილის, ხათის ქვეყნის მეფეს, ჩემს ძმას, ამის შესახებ ვაცნობებ, მაშინ ხათუსილი, ხათის ქვეყნის მეფე ვალდებულია თავისი ქვეითი მეომრები და საბრძოლო ეტლები გამოაგზავნოს და ყველანი გაანადგურონ, ვინც მათი წინააღმდეგია“¹

განსაკუთრებული მუხლით გათვალისწინებული იყო ორმხრივი ვალდებულება პოლიტიკური მოტივით

1. გრ. გიორგაძე, რამსეს II-ისა და ხათუსილი III-ის საზავო ხელშეკრულების აქადური ვარიანტი. ქართული დიპლომატია, წელიწადი, 3 რედ. როინ მეტრეველი, თბ., 1996, გვ. 20-21.

ქვეყნიდან გაქცეულ წარჩინებული თუ არაწარჩინებული წარმოშობის მოქალაქეთა დაბრუნების შესახებ.

„უკეთუ თავისუფალი კაცი გარბის ხათის ქვეყნიდან და ეს კაცი მივა, ... დიდ მეფესთან, ეგვიპტის ქვეყნის მეფესთან, იმისათვის, რომ მას ემსახუროს... დიდი მეფე ეგვიპტის ქვეყნისა ვაღდებულა დაიჭიროს და ხათის ქვეყნის მეფეს უკან დაუბრუნოს ისინი... უკეთუ თავისუფალი კაცი გარბის დიდი მეფისაგან, ეგვიპტის ქვეყნის მეფისაგან და ეს კაცი მივა ხათის ქვეყანაში, მაშინ ხათუსილიმ, დიდმა მეფემ, ხათის ქვეყნის მეფემ, იგი უნდა დაიჭიროს და უკან დააბრუნოს... დიდ მეფესთან, ეგვიპტის ქვეყნის მეფესთან, მის ძმასთან“.¹

ასევე ორივე მხარე იღებდა პასუხისმგებლობას, რომ არ მოპყრობოდნენ გაქცეულ მოქალაქეებს, როგორც დამნაშავეებს. გაქცეულებთან ერთად უვნებლად ბრუნდებოდა მთელი მათი ქონება და თანმხლები ადამიანები. „დაე, მათი დანაშაულთა, ცოდვებისათვის... მათ თვალები არ დათხარონ, დაე, მათ შური არ იძიონ მათ მეომრებზე... არც მათ ცოლებზე შეილებითურთ“.²

ბოლოს მოცემულია წყევლა-კრულვა მათ მიმართ, ვინც არ შეასრულებდა ხელშეკრულების პირობებს, ისევე როგორც იმათი დალოცვა, ვინც ერთგული იქნებოდა ხელშეკრულებისა. „...რაც შეეხება სიტყვებს, რომლებიც [აღბეჭდილია] ამ ვერცხლის ფირფიტაზე, ხეთების ქვეყნისთვის და ეგვიპტის ქვეყნისთვის, და

1. გრ. გიორგაძე, *რამსეს II-ისა და ხათუსილი III-ის საზავო ხელშეკრულების აქადური ვარიანტი*. იხ. *ქართული დიპლომატია, წელიწდეული*, 3 რედ. როინ მეტრეველი, თბ., 1996, გვ. 21-22.

2. იქვე, გვ. 22.

თუ ვინმე არ გაუფრთხილდება მათ - ათასი ღვთაება ქვეყნისა ხეთების, ასევე ათასი ღვთაება ქვეყნისა ეგვიპტის - გაანადგურებს მის სახლს, მის მიწას, მის მსახურებს.

...ვინც გაუფრთხილდება სიტყვებს, რომლებიც ამ ვერცხლის ფირფიტაზეა ამოკვეთილი... არ მოიმოქმედებენ წინააღმდეგ ამ სიტყვებისა, ათასი ღვთაება ქვეყნის ხეთების, ასევე ათასი ღვთაება ქვეყნისა ეგვიპტის უწილადებს მას კეთილდღეობას და სიცოცხლეს მის სახლთან, მის მიწასთან და მის მსახურებთან ერთად“.

ხელშეკრულებაში, როგორც ვნახეთ, არსად არაა ნახსენები საზღვარი ეგვიპტესა და ხეთების სამეფოს შორის, მაგრამ ყველა მონაცემებით დასტურდება, რომ რამსეს II-მ ვერ შეძლო ეგვიპტის სამფლობელოს გაფართოება აზიაში. სირიისა და ფინიკიის მნიშვნელოვანი ნაწილი, რასაკვირველია, დარჩა ხეთების ბატონობის ქვეშ. მხოლოდ სამხრეთი ფინიკია, სამხრეთი სირია და პალესტინა აღმოჩნდა ეგვიპტის გავლენის ქვეშ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შენარჩუნებული იქნა ტერიტორიული სტატუს ქვო.

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როცა რამსეს II ეწეოდა შეუპოვარ ბრძოლას ხეთების წინააღმდეგ, ასევე საზავო ხელშეკრულების დადების შემდეგაც, ის მიიღწევოდა დაემყარებინა მეგობრული ურთიერთობა ბაბილონთან, რასაკვირველია, ხეთების ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვრებთან ეგვიპტის პოზიციის განმტკიცების მიზნით, რაზეც მოწმობს

1. Хрестоматия по истории Древнего Мира, Древний Восток, под редакций В. В. Струве, М., 1950, стр. 104.

ხათუსილი III-ის წერილის შინაარსი, დაწერილი ბაბილონის მეფის ქადაშმან-ენ-ლილი II-ის მისამართით. მოცემულ წერილში საუბარია არა ეგვიპტის ხეთებთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ, არა წინასწარი მოლაპარაკების თაობაზე მათ შორის, რომელმაც შეამზადა ეს ხელშეკრულება, არამედ, რამსეს II-ის დიპლომატიურ აქტიურობაზე, რაც მიმართული იყო ეგვიპტის ბაბილონთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებისაკენ. როგორც ქადაშმან-ტურგუს მეფობის დროს, ისე მისი მემკვიდრის ქადაშმან-ენ-ლილი II-ის მმართველობის პერიოდში. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა რამსეს II ბაბილონთან ურთიერთობას და როგორ ისწრაფოდა ის ამ ურთიერთობის მოგვარება-მოწესრიგებისათვის.

...დიპლომატიური წერილებითა და საელჩოებით გაცულა გრძელდებოდა „შესანიშნავი ხელშეკრულების“ დადების შემდეგაც. ერთმანეთთან მიმოწერა კქონდათ არა მარტო ამ ქვეყნების მმართველებს, არამედ დედოფლებსაც. ეგვიპტის და ხეთების დედოფლები აღტაცებას ვერ უმაღლავდნენ ერთმანეთს „სანუკეარ მშვიდობასა და შესანიშნავ კმობასთან“ დაკავშირებით, რომელიც დამყარდა მათ ძლევამოსილ სახელმწიფოებს შორის.¹

ეგვიპტელებსა და ხეთებს შორის ურთიერთობის უკეთ განმტკიცების მიზნით, ხეთების მეფემ ხათუსილი III-მ შესთავაზა რამსეს II-ს მის ერთ-ერთ ქალიშვილზე დაქორწინება. ხეთებთან საზავო ხელშეკრულების

1. *История дипломатий, т. I, под редакций Зорина В. А., М., 1959, стр. 16.*

დადებიდან მეცამეტე წელს რამსეს II დაქორწინდა ხათუსილი III-ის უფროს ქალიშვილზე. ხეთების მეფე, რომელიც აცილებდა თავის ქალიშვილს დიდი ამალითა და მდიდარი საჩუქრებით, პირადად ჩამოვიდა ეგვიპტეში საქორწილო ზეიმზე მონაწილეობის მისაღებად. ეს იყო პირველი ისტორიულად დადასტურებული დიპლომატიური შეხვედრა ორი დიდი სახელმწიფოს მმართველისა.¹ რამსეს II-ის ხეთების მეფის ქალიშვილზე დაქორწინების დიდებული ამბავი ფართოდაა ცნობილი „საქორწინო ფირფიტის“ წყალობით, რომლის ეარიანტები გამოსახულია კარნაკში, ელფანტინაში, აბუ-სიმბელში და მრავალ სხვა ადგილას.²

ძველი მსოფლიოს ისტორიის, საერთაშორისო ურთიერთობათა და დიპლომატიის ისტორიის, საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლა-გარკვევისათვის, პოლიტიკური და სოციალური ისტორიის სხვადასხვა პრობლემის გაშუქებისათვის, აღნიშნული ხელშეკრულება ერთ-ერთი უძველესი წერილობითი წყაროა.

1. *История дипломатий, т. 1, под редакций Зорина В. А., М., 1959, стр. 16.*

2. *Кристиан Жак, Египет великих фараонов, М., 1992, стр. 236.*

ბიბლია და ისრაელთა ეგვიპტეში ყოფნისა და გამოსვლის საკითხი რამსეს II დროს

ბიბლიაში მოხსენებულია ქალაქი რამსესი იმ ორ ისტორიულ პერიოდთან მიმართებაში, რომელიც შეეხება ეგვიპტეში ისრაელის ტომთა დასახლების პერიოდს (იოსების დრო) და ისრაელის შთამომავალთა შევიწროების პერიოდს ფარაონთა ქვეყანაში (მოსეს დროს). ბიბლიაში ამის შესახებ ასეა ნათქვამი: „...და დაასახლა იოსებმა თავისი მამა და ძმები, და მისცა მათ სამფლობელო ეგვიპტის ქვეყანაში, ქვეყნის საუკეთესო ადგილას, რაემსესის ქვეყანაში, როგორც ბრძანა ფარაონმა“.¹ გადის დრო და დადგა ახალი მეფე ეგვიპტეზე, რომელიც არ იცნობდა იოსებს და უთხრა თავის ხალხს: “ისრაელის ძეთა ხალხი ჩვენზე მრავალრიცხოვანი და ძლიერია. მოდით, სიბრძნით მოვიქცეთ მის მიმართ, თორემ უფრო გამრავლდება და ოდესმე, თუ მოხდა ომი, შეუერთდება ჩვენს მტრებს და იომებს ჩვენს წინააღმდეგ და გავა ქვეყნიდან. და დაუდგინეს მას საქმის უფროსნი, რათა დაეჩაგრათ იგი მძიმე შრომით და მან (ისრაელის ხალხმა) ააშენა სამარაგო ქალაქები ფარაონისათვის ფითომი და რაემსესი”.²

შემდგომ საუბარია მეორე დაბადებაზე, ბავშვობასა და ყრმობაზე, მოცემულია ვრცელი აღწერა იმის შესახებ, თუ როგორ შეძლო მოსემ ფარაონისაგან თანხმობის მიღება ეგვიპტიდან ისრაელი ხალხის

1. ბიბლია ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, რედ. ზურაბ კიკნაძე, მალხაზ სონღულაშვილი, თბ., 2001, გვ. 49.

2. იქვე, გვ. 54.

გასვლის თაობაზე: „და აიყარნენ ისრაელის ძენი რაყმესესიდან სუქოთისაკენ, ექესასი ათასამდე ქვეითი მამაკაცი, გარდა ბავშვებისა“.¹

ქალაქი რაყმესესი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ პერ-რამსესი, ნილოსის დელტაში რამსეს II-ის მიერ დაარსებული ეგვიპტის ახალი დედაქალაქი. მაშასადამე, სწორედ ეს ფარაონი იგულისხმება ბიბლიის შესაბამის ჩანაწერში, როგორც ისრაელელების შემავიწროებელი.

იმ ადგილის სახელწოდება, სადაც დასახლდნენ ისრაელელები იოსების დროს, მოხსენიებული როგორც რაყმესის მიწა ბიბლიაში, როგორც ჩანს, მცდარია, რადგან ეს მოვლენა განეკუთვნება რამდენიმე საუკუნით უფრო ადრეულ პერიოდს, ვიდრე რამსეს II-ის ტახტზე ასვლის დროა. რამსეს II-მდე და პერ-რამსესის აშენებამდე შეუძლებელი იყო, რასაკვირველია, რაყმესესის მიწის არსებობა. ამ შემთხვევაში ბიბლიაში უფრო გვიანდელი სახელწოდება ტერიტორიისა, რომელიც მდებარეობდა პერ-რამსესის გვერდით (ან პერ-რამსესის მიმდებარე ტერიტორიისა) გადატანილია წარსულში. ბიბლიური ფარაონი – ისრაელების შემავიწროებელი, გაიგივებულია იმ მმართველთან, რომლის დროსაც აშენდა პერ-რამსესი, ე. ი. რამსეს II-თან. იმ ფარაონის შესახებ, რომელთანაც მოსეს ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ ისრაელელებმა დატოვეს ეგვიპტე, ბიბლია ასევე იძლევა საკმაოდ გარკვეულ მითითებას – ეს რამსეს II-ის ძე, მისი მემკვიდრე – მერნეპტახია რომლის თაობაზე ბიბლიაში

1. ბიბლია ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, რედ. ზურაბ კიკნაძე, მალხაზ სონდულაშვილი, თბ., 2001, გვ. 66.

ასე წერია: “გავიდა კარგა ხანი და მოკედა მეფე ეგვიპტისა, და კენესოდნენ ისრაელის შვილები მძიმე შრომისაგან და გოდებდნენ. და მისწვდა მათი ღაღადი ღმერთს”.¹

თუ ჩაეთვლით, რომ რამსეს II-ის დროს ისრაელელებს მძიმე სამუშაოები ჰქონდათ დაკისრებული, მაშინ სწორედ მისი გარდაცვალება იგულისხმებოდა ჩვენ მიერ მოყვანილ ამონარიდებში ბიბლიიდან. მაშასადამე, მოსეს მოღვაწეობას ადგილი ჰქონდა რამსეს II-ის მემკვიდრის – მერნეპტახის დროს. ამდენად, იმ ფარაონის ქვეშ, ვის დროსაც ისრაელელებმა დატოვეს ეგვიპტე, იგულისხმება მმართველი, ვინც მეფობდა რამსეს II-ის გარდაცვალების შემდეგ, ე. ი. მერნეპტახი.

ამგვარი დასკვნა შეიძლება მივიჩნიოთ მართებულად, თუ დავეყრდნობით მხოლოდ ბიბლიის ტექსტს. სხვათა შორის, ბიბლიის ამ მონაცემის ჭეშმარიტება ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბოლოს, 1896 წელს ნაპოვნი ე. წ. “ისრაელის სტელის” მონაცემების შედეგად. ეს სტელა აღმოჩენილი იქნა ფარაონ მერნეპტახის სულის მოსახსენიებელ ტაძარში. მისი ტექსტი გადათარგმნა და გამოაქვეყნა ე. შპიგელბერგმა.² აქ საუბარია მერნეპტახის მიერ მოპოვებულ გამარჯვებებზე ლიბიელებზე და „ზღვის ხალხებზე“ მისი მეფობის მე-5 წელს. ტექსტის ბოლოს ნათქვამია, რომ “ვერც ერთი ვერ სწევს თავის თავს”, „ცხრა დამორჩილებული ქვეყნის ხალხიდან”

1. ბიბლია - ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, რედ. ზურაბ კიკნაძე, მაღიხაზ სონღულაშვილი, თბ., 2001, გვ. 55.

2. Стучевский И. А., Рамсес II и Херуахор, М., 1984, стр. 109.

აოხრებულია ტექენუ (ტეხენუ), ხეთების ქვეყანა მოთვინიერებულია, გაძარცვულია ქანაანი მთელი სიბოროტითა და სისაძაგლით, მიტაცებულია აშქელონი. დაპყრობილია გეზერი, იენოამი მოსპობილია, ისრაელი დაცარიელებულია, არ არის ნიშან წყალი მისი, პალესტინა გაუბედურებულია. ყველა ქვეყანა დამორჩილებული, დათრგუნულია, ყველა ურჩი და მემამოხე ისჯება ფარაონ მერნეპტახის მიერ – ზემო და ქვემო ეგვიპტის მბრძანებლის ბაენრა მერიამუნის, რა-ს ძე, მერნეპტახ ჰეტეჰჰერმაატის მიერ.¹ „ისრაელის სტელამ“ ეს სახელწოდება იმიტომ მიიღო, რომ მასში მხოლოდ ერთხელ ეგვიპტურ ტექსტში გვხვდება ტერმინი “ისრაელი”, როგორც იმ ხალხის ეთნიკური სახელწოდება, რომელიც ცხოვრობდა პალესტინაში, მერნეპტახის მმართველობის მე-5 წელს.² ამასთანავე, თუ მხედველობაში მივიღებთ „ისრაელის სტელაზე“ აღნიშნულ დათარიღებას, შეუძლებელი იქნება ბიბლიაში მოხსენიებული ფარაონის გაიგივება მერნეპტახთან, რადგან ბიბლიაში ნათქვამია, რომ ისრაელთა ძენი პალესტინაში მოხედნენ ეგვიპტის დატოვებიდან რამდენიმე ათეული (40) წლის შემდეგ³ და ამდენად, ისინი ვერაფრით ვერ აღმოჩნდებოდნენ პალესტინაში, თუ ეს მმართველი იქნებოდა ის ფარაონი, რომელიც ბიბლიაშია მოხსენიებული. ის მკვლევარები, რომლებიც თავიდან ბოლომდე ენდობოდნენ ბიბლიის

1. Брестед Дж., Тураев Б., *История Древнего Египта*, Минск, 2003, стр. 448, 449, 450, 451.

2. Брестед Дж., Тураев Б., *История Древнего Египта*, Минск, 2003, стр. 447.

3. ბიბლია - ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, რედ. ზურაბ კიკნაძე, მალხაზ სონღულაშვილი, თბ., 2001, გვ. 217.

ყოველ სიტყვას, რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდნენ. „ისრაელის სტელის“ მიხედვით შეუძლებელი იყო მერნეპტახში გვეხილა ის ფარაონი, რომელზეც ბიბლია მიუთითებდა. არადა ბიბლიის მიხედვით სწორედ პერ-რამსესის ამშენებული ფარაონის მემკვიდრის მეფობის დროს (ე.ი.რამსეს II-ის მემკვიდრის) ისრაელელები გავიდნენ ეგვიპტიდან. ზოგიერთმა ავტორმა შექმნილი მდომარეობიდან გამომდინარე ვარაუდიც კი გამოთქვა, რომ ყველა ისრაელელი არ ყოფილა ეგვიპტეში. ისრაელელ ტომთა ნაწილი მუდმივად იმყოფებოდა პალესტინაში და სწორედ მის შესახებ გვამცნობს „ისრაელის სტელა“. ისტორიკოსების უმრავლესობამ, რომლებიც იკვლევდნენ ისრაელთა ეგვიპტეში ყოფნის პრობლემას, არამარტო უარყო ბიბლიის ფარაონის გაიგივება მერნეპტახთან, არამედ საერთოდ დაიწყეს ისრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის დროის უფრო შორეულ წარსულში გადაწევა, ან საერთოდ ისრაელთა ეგვიპტეში ყოფნის ფაქტის უარყოფა.¹

არსებობდა კიდევ ერთი გამოსავალი – ისრაელთა ეგვიპტეში ყოფნისა და იქიდან მათი გამოსვლის დრო მიეკუთვნებინათ უფრო გვიანდელი პერიოდისათვის, ვინემ რამსეს II-ისა და მერნეპტახის მმართველობის წლებია. XX საუკუნის დასაწყისში ამ გზას მიჰყვნენ ბ. დ. ერდმანსი და ვ. ვ. სტრუვე.² სწორედ ვ. ვ. სტრუვე ცდილობდა, დაესაბუთებინა, რომ ისრაელი ტომები მოვიდნენ ეგვიპტეში მერნეპტახის დროს და გავიდნენ ეგვიპტიდან რამსეს III-ის მეფობის ბოლოს. მისი აზრით,

1. Стучевский И. А., Рамсес II и Харишор, М., 1984, стр. 110.

2. Струве В. В., Израиль в Египте, М., 1920, стр. 32.

ბიბლიის ავტორებს რამსეს III აერიათ რამსეს II-ში, რის გამოც ეს უკანასკნელი ბიბლიაში იგულისხმება, როგორც პერ-რამსესის მშენებელი და ისრაელთა შემავიწროებელი ფარაონი. „ისრაელის სტელის“ შინაარსის ანალიზისას ვ. ვ. სტრუვე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოცემულ ტექსტში არაა საუბარი მერნეპტახის ლაშქრობაზე აზიაში. მისი აზრით, „ისრაელის სტელა“ გვაუწყებს ხეთების ქვეყნის, ფინიკიელების, სირიის, პალესტინის აოხრების შესახებ არა ეგვიპტელი ჯარების მიერ, არამედ “ზღვის ხალხების” შემოსევის შედეგად. მათი მხრიდან გამანადგურებელმა თავდასხმამ დააზარალა ისრაელიც. ამიტომ, ვ. ვ. სტრუვეს მტკიცებით ისრაელი ტომები ეგვიპტეში მოვიდნენ შიმშილობის მოსალოდნელი საფრთხის გამო, რომელიც მათ ემუქრებოდა მერნეპტახის კი არა, “ზღვის ხალხების” მიერ იმ დარბეულ მშობლიურ ადგილებში, სადაც ისინი იმყოფებოდნენ.¹ ვ. ვ. სტრუვეს მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია მის მიერ განხილული ტექსტისა, მეცნიერთა ერთი ნაწილის აზრით, არ წარმოადგენს ერთადერთ მისაღებ დებულებას და ამიტომ არ შეიძლება ამ ტექსტზე დაყრდნობით იმის მტკიცება, რომ ბიბლიური გადმოცემა ისრაელთა ეგვიპტეში ყოფნის შესახებ დოკუმენტალურად დასაბუთებული ფაქტი გახდა. ვ. ვ. სტრუვეს შეხედულებები ამ პრობლემასთან დაკავშირებით კრიტიკულად იქნა აღქმული ს. ი. ლურიეს და ა. ბ. რანოვიჩის მიერ.²

1. Струве В. В., *Израиль в Египте*, М., 1920, стр. 32-33.

2. Лурье С. Я., *Библейский рассказ о пребывании Евреев в Египте*, - Е.П.М., М., 1926, №40/42; стр. 81-129, Ранович А. Б., *очерк историй древнееврейской религий*, М., 1937, стр. 187-201.

ს. ი. ლურიე მიიწევდა, რომ ბიბლიური გადმოცემა ისრაელთა ტყვეობის შესახებ წარმოიშვა ეგვიპტეში VIII-VII ს.ს. ძვ. წ. ეგვიპტური დიასპორის ებრაელთა გარემოში, ეგვიპტეში აზიელ სემიტთა მრავალგზის შემოსვლის თაობაზე მოგონებათა დამუშავების საფუძველზე. მან განსაკუთრებით აღნიშნა ბიბლიურ მონათხრობებში მრავალი ეგვიპტური ლექსიკური, მითოლოგიური და ლიტერატურული ნასესხებები.¹

ისრაელ ტომთა ეგვიპტეში მოსვლის ბიბლიური ტრადიციის უძველესი სათავეები უნდა ვეძებოთ არა მერნეპტახის მეფობის პერიოდში, არამედ უფრო შორეულ ისტორიულ ხანაში, რის შესახებ ბიბლიაში არის საკმაოდ ზუსტი მტკიცებები. მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ბიბლიაში ვკითხულობთ: “ისრაელის ძეთა ეგვიპტეში ყოფნის ხანი ოთხასოცდაათი წელია. და იყო ოთხასოცდაათი წლის დასასრულს, სწორედ იმ დღეს გამოვიდა უფლის მთელი ლაშქარი ეგვიპტის ქვეყნიდან”.²

პერიოდი – ოთხასოცდაათი წელი, რომლითაც განისაზღვრება ისრაელთა ეგვიპტეში ყოფნის დრო, რასაკვირველია, გვაიძულებს გავიხსენოთ ღვთება სეტხის ოთხასწლიანი ეპოქის შესახებ, რომელიც აღინიშნებოდა ხორემხების დროს. სეტხის ხანა თავის დასაბამს იღებს ფარაონ ნეხსის მმართველობის დროიდან, რომელიც მეფობდა ავარისში ჰიქსოსების გაბატონებამდე. ხოლო მათი გაბატონების შემდეგ

1. Лурье С. Я., Библейский рассказ о пребывании Евреев в Египте, - Е.П.М., М., 1926, №40/42; стр. 81-129.

2. ბიბლია - ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, რედ. ზურაბ კიკნაძე, მაღახა სონღულაშვილი, თბ., 2001, გვ. 66.

მისმა მმართველებმა თავის ძალაუფლებას დაუმორჩილეს მთელი ეგვიპტე. ამგვარად, ბიბლიაში შემონახულია ტრადიცია ისრაელელების ჰიქსოსებთან გაიგივებისა. ეს გადაკვრა, თუმცა მცდარია, მაგრამ არ არის საფუძველს მოკლებული, რადგან ჰიქსოსების ხანაში ეგვიპტეში ცხოვრობდა ნამდვილად მნიშვნელოვანი რაოდენობა სემიტებისა. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ პტოლემეაიოს II ფილადელფოსის თანამედროვე ისტორიკოსმა მანეთონმა, რომელიც, როგორც ჩანს, კარგად იცნობდა ბიბლიურ გადმოცემას ისრაელელების ეგვიპტეში ყოფნის შესახებ, ისინი ჰიქსოსებთან გააიგივა და მოგვცა ბიბლიური თხრობის საკუთარი ინტერპრეტაცია,¹ რაც გადმოცემულია იოსებ ფლავიუსის ნაშრომში.²

იოსებ ფლავიუსს თავის ნაშრომში მოჰყავს ამონარიდი მანეთონის ნაშრომიდან. ის წერს: „იყო მეფე ჩვენი ტიმეოსი. მისი მეფობის დროს, უცნობია რატომ, ღმერთი განგვირისხდა და აღმოსავლეთის ქვეყნიბიდან მოულოდნელად ჩვენს ქვეყანას თავს დაესხა ხალხი ნაძრახი (უგვარო) წარმომავლობისა, მამაცობით აღსაესე და დაიპყრეს იგი ადვილად, უბრძოლველად და ძალდატანებით. მათ დაიმორჩილეს ყველა იქაური მთავარი, შემდეგ ულმობლად გადაწვეს ქალაქები და დაანგრიეს ტაძრები. მოსახლეობას გაუსწორდნენ სასტიკად, ერთნი დახოცეს, მეორენი ქალებთან და ბავშვებთან ერთად მონებად აქციეს. ყოველივე ამის შემდეგ მათ თავიანთი წრიდან აირჩიეს

1. Коростовцев М. А., *Писцы Древнего Египта*, М., 1962, стр. 132-133.

2. Флавий Иосиф, *О древности Иудейского Народа. Против Апиона*, СПб, 1898, стр. 17-21.

მეფე, რომლის სახელი იყო სალათასი. ამ უკანასკნელმა დააარსა თავისი რეზიდენცია მემფისში. დახარკა ზემო და ქვემო ეგვიპტე და განალაგა გარნიზონები ხელსაყრელ სტრატეგიულ პუნქტებზე. განსაკუთრებით გაამაგრა აღმოსავლეთი ოლქები, ასურელების მოსალოდნელი (ან შესაძლო) თავდასხმისაგან თავდაცვის მიზნით... შერჩეული იქნა ასევე სტრატეგიული მდებარეობის მქონე ქალაქი, რომელსაც ავარისი ეწოდებოდა. მან გაამაგრა ქალაქი მაღალი კედლის მქონე გალავნით და შიგ მოათავსა მრავალათასიანი გარნიზონი, რომელიც შესდგებოდა ორასორმოცი ათასი მძიმედ შეიარაღებული მეომრისაგან...

მთელი ეს ხალხი იწოდებოდა ჰიქსოსებად, რაც ნიშნავს „მეფე-მწყემსები“. რადგან „ჰიქ“ წმინდა ენაზე ნიშნავს „მეფეს“, ხოლო „სოს“ ხალხურ ენაზე „მწყემსს“ ანდა „მწყემსებს“. ამ ორი ნაწილისაგან წარმოიშვა სიტყვა „ჰიქსოსი“.¹ ვარაუდობენ ასევე, რომ ესენი იყვნენ არაბები... ზოგიერთი მეცნიერის, მაგალითად, ი. სტუჩევესკის აზრით, ამ სიტყვის ეტიმოლოგია მცდარია. სინამდვილეში, მისი თქმით, ტერმინი „ჰიუქსოს“, ანდა „ჰიქსოს“ გამომდინარეობს ეგვიპტური სიტყვათშეხამებიდან, რაც სიტყვასიტყვით აღნიშნავს „უცხო ქვეყანათა მმართველებს“.²

ამ მწყემსთა მეფეები და მათი მემკვიდრეები, ამბობს მანეთონი, მართავდნენ ეგვიპტეს ხუთას თერთმეტი წლის განმავლობაში. ხოლო ამის შემდეგ, მისივე

1. *Хрестоматия по истории Древнего Востока*, ч. 1, под редакций Коростовцева М. А и др., М., 1980, стр. 58.

2. *Стучевский И. А., Рамсес II и Херихор*, М., 1984, стр. 204.

თქმით, თებელი და ზემო ეგვიპტელი მეფეები აღსდგნენ მწყემსების წინააღმდეგ. იფეთქა ძლიერმა და ხანგრძლივმა ომმა მისფრაგმუფოსის (თოტმეს III) დროს. მწყემსები დამარცხებული და განდევნილი იქნენ, და ისინი ჩაიკეტნენ ერთ ადგილას... ამ ადგილის სახელწოდება იყო ავარისი. მაგრამ თუმმოსმა (თოტმეს IV), მისფრაგმუფოსის ძემ, რომელიც დაბანაკდა ქალაქის გალაუნის წინ ოთხასოთხმოცი ათასი მეომრით ალყა შემოარტყა მათ, რომ ძალით დაემორჩილებინა ისინი. მაგრამ ალყის წარმატებაში იმედდაკარგულმა, ხელშეკრულება დადო მათთან, რომლის საფუძველზე ისინი უნდა გასულიყვნენ ეგვიპტიდან. უსაფრთხოების სრული დაცვის პირობებში ყველას შეეძლო წასულიყო იმ მიმართულებით, რომელი მიმართულებითაც მათ სურდათ. ამდენად, თანახმად შეთანხმებისა, მათ მთელი თავიანთი ოჯახებითა და ქონებით დატოვეს ეგვიპტე. არანაკლებ ორასორმოციათასი ადამიანი გაემართა სირიის უდაბნოსაკენ... მათ ამჟამად წოდებულ იუდეაში ააშენეს ქალაქი, რომელშიც მოთავსდებოდა ამდენივე ათასი ადამიანი და უწოდეს მას იერუსალიმი.¹

ჩვენი აზრით, მანეთონის ვერსია გამომდინარეობს არა იმდენად ეგვიპტური ისტორიული ტრადიციის მონაცემებიდან, რამდენადაც ბიბლიური გადმოცემიდან, რომელსაც მანეთონი შეიძლებოდა გაცნობოდა ალექსანდრიაში. ბერძნულენოვანი ეგვიპტელი ისტორიკოსი ცდილობდა თავისი ხალხის წარსულში ეპოვა ბიბლიური ტრადიციის განმამტკიცებელი

1. Хрестоматия по истории Древнего Востока, часть 1, под редакций Коростовцева М. А и др., М., 1980, стр. 58-59.

მასალები. ამან კი თავის მხრივ ის მიიყვანა მცდარ დასკვნამდე, რაც გამოიხატა ებრაელების ჰიქსოსებთან და ეგვიპტელი ფარაონების, რომლებიც მათთან ბრძოლას აწარმოებდნენ – ახალი სამეფოს ხანის სახელგანთქმულ ფარაონებთან თოტმეს III-სა და თოტმეს IV-სთან გაიგივებაში. ამგვარი გაიგივება, რასაკვირველია, შორსაა ჭეშმარიტებისაგან. თუმცა არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ის სემიტური ტომები, რომლებიც ჰიქსოსებად იქნენ წოდებული, ეგვიპტიდან განდევნის შემდეგ შეერწყნენ პალესტინის ქანაანურ მოსახლეობას. ამიტომ არაა გამორიცხული, რომ მათი მოგონებები ნილოსის ველზე ყოფნის შესახებ რამდენიმე საუკუნის შემდეგ შეიძლებოდა საფუძვლად დაედებოდა ქანაანელებთან არეულ ისრაელთა თქმულებებს.

ბიბლიაში ისრაელთა გამოსვლა ეგვიპტიდან წარმოდგენილია გრანდიოზულ, დრამატიზმით სავსე მოვლენად. მაგრამ ამგვარი ასახვა, უეჭველია, გახლდათ ბიბლიის შემქმნელების მიერ მრავალი თქმულებების გვიანდელი ტენდენციური დამუშავების შედეგი – როგორც საკუთრივ ისრაელურისა (ებრაულის), ასევე იმ თქმულებების, რომელიც გააჩნდა პალესტინის უძველეს, ავტოქთონურ მოსახლეობას – ქანაანელებს. იოსების ეგვიპტეში მოღვაწეობის შესახებ ბიბლიური თხრობის ანალიზისას შეიძლება აღმოვაჩინოთ გარკვეული შესაბამისობა ბიბლიაში გადმოცემული ფაქტებისა იმასთან მიმართებაში, რაც ცნობილია ეგვიპტის სოციალური ორგანიზაციის შესახებ რამესიდების ეპოქაში. ამავე დროს, ბიბლიაში ასახული იოსების სამეურნეო საქმიანობაში იგრძნობა

ბიბლიის ავტორების მიერ ეგვიპტეში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების თავისებურების გაუგებრობა.

იოსების სამეურნეო და საკანონმდებლო ღონისძიება ბიბლიაში შემდეგნაირადაა აღწერილი: “და იყიდა იოსებმა ეგვიპტის მთელი მიწა ფარაონისათვის, რადგან გაყიდა ყველა ეგვიპტელმა თავისი საყანე, როცა იმძლავრა მათზე შიმშილმა და გახდა მიწა ფარაონისა. და მონებად აქცია მან ხალხი ეგვიპტის ერთი კიდიდან მეორე კიდემდე. მხოლოდ ქურუმთა მიწა არ უყიდა, რადგან დაწესებული იყო ქურუმთათვის ნაკვეთები ფარაონისაგან, და თავს ირჩენდნენ ისინი თავიანთი ნაკვეთებით, რომლებიც მათ მისცა ფარაონმა. ამიტომ არ გაყიდეს მათ თავიანთი მიწები. და უთხრა იოსებმა ხალხს: აჰა ნაყიდი მყავხართ თქვენ დღეს ფარაონისათვის თქვენს მიწებთან ერთად. აჰა აქ არის თესლი თქვენთვის და დათესეთ მიწა და მოსავლის აღებისას მიეცით მეხუთედი ფარაონს, ოთხი წილი კი თქვენი იქნება მინდვრის დასათესად და თქვენსავე გამოსაკვებად, და თქვენს სახლში მყოფთა და თქვენი ბავშვების გამოსაკვებად”... და დაადგინა იოსებმა კანონად ეგვიპტის მიწაზე დღემდე: მოსავლის მეხუთედი ფარაონს. მხოლოდ ქურუმთა მიწები არ იყო ფარაონისა”!

ბიბლიაში მითითებული მეხუთე ნაწილი მოსავლისა, როგორც ამოსადები გადასახადი მიწათმოქმედისაგან ფარაონის სასარგებლოდ, შესაძლებელია შეჯერებულია რამესიდების ეპოქის სამეურნეო

1. ბიბლია - ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, რედ. ზურაბ კიკნაძე, მალხაზ სონღულაშვილი, თბ., 2001, გვ. 50.

დოკუმენტების მონაცემებთან. რეალობას შეესაბამება
თმის მტკიცება, რომ „და გახდა ფარაონისა“,
რამდენადაც რამესიდების ეგვიპტეში სინამდვილეში
არსებობდა მიწის უზარმაზარი სახელმწიფო ფონდი,
რომლის განმკარგავი იყო ფარაონი¹. ბიბლიაში
აშკარად იყო მცდელობა, აეხსნათ ეგვიპტეში მიწის
სახელმწიფო საკუთრების წარმოშობა. მაგრამ ამ
მცდელობის ფაქტი გვიჩვენებს, რომ საადგილმამულო
ურთიერთობის თავისებურება ბიბლიის ამ
განყოფილების ავტორისათვის სრულიად უცნობია.
ძველ ეგვიპტეში ფარაონი არასდროს და არაეისგან
არ ყიდულობდა მიწას. ხოლო მითითება იმაზე, რომ
„იყიდა იოსებმა მთელი მიწა ფარაონისათვის“,
შეესაბამება იმ წარმოდგენებს, რომლებიც გახლდათ
ბუნებრივი იმ ადამიანებისთვის, ვისთვისაც ცნობილი
იყო სოციალურ-ეკონომიკური წყობა ისრაელისა და
იუდეას სამეფოებში, ასევე ბაბილონში, მაგრამ
მათთვის სრულიად გაუგებარია ის თავისებურებანი,
რომლებიც დამახასიეთებელი იყო ეგვიპტისათვის.
რამესიდების დროს ეგვიპტეში არ ხდებოდა
ქურუმებისათვის მიწის გამოყოფა, როგორც ფარაონის
არაკუთვნილი მიწისა. ასეთი გამოყოფა თუ იყო, მას
მხოლოდ გვიანდელ ხანაში, რამესიდების შემდგომი
ფარაონების მმართველობის დროს, რამდენიმე
საუკუნის შემდეგ ჰქონდა ადგილი. ყველაფერი ეს
მოწმობს ბიბლიაში მოხსენიებული ამ ტექსტის
გვიანდელი შეტანის შესახებ. ამასვე ადასტურებს

1. Стучевский И. А., *Земледельцы государственного хозяйства древнего египта эпохи Рамессидов*, М., 1982, стр. 4. 210, 247.

ფრაზაც „და დაადგინა იოსებმა კანონად ეგვიპტის მიწაზე დღემდე“. უეჭველია, რომ მან, ვინც ჩაწერა „დღემდე“, ეს ჩანაწერი გააკეთა საკმაოდ გვიანდელ პერიოდში, რომელსაც განეკუთვნება მთელი ჩვენს მიერ მოყვანილი ბიბლიის კარი.

ამგვარად, გამომდინარე ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებიდან, ეგვიპტეში ისრაელთა ყოფნისა და ამასთან დაკავშირებით რამსეს II-ის, როგორც ისრაელთა შემევიწროებელის ბიბლიაში მოხსენიების შესახებ, ვასკენით, რომ საკმაოდ გვიანდელ ხანაში (ძვ. წ. VIII-VII-VI) ბიბლიაში ჩაწერილ თხრობას ისრაელთა ძეთა ეგვიპტეში მოსვლისა და ეგვიპტიდან მათი გამოსვლის შესახებ, საფუძველად უდევს მრავალი თქმულება პალესტინის ქანაანელთა მოსახლეობისა, რომლებსაც არაერთგზის შეუღწევიათ ფარაონების ქვეყანაში. ამ თქმულებების უმრავლესობა, როგორც ჩანს, მოდის ძველი ეგვიპტის ისტორიის ჰიქსოსთა ხანაზე. ამიტომ მიგვაჩნია, რომ სწორედ ჰიქსოსთა ეგვიპტიდან განდევნის ისტორიულ ფაქტს ემყარება მნიშვნელოვანწილად ბიბლიური თხრობა ისრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის შესახებ.

ამავე დროს არ შეიძლება იმის უარყოფაც, რომ ყოველად შესაძლებელი იყო ადგილი ჰქონოდა ქანაანელთა და ისრაელთა თქმულებების ურთიერთშეთავსებას იმ პერიოდისათვის, როცა XIX დინასტიის პირველი ფარაონების მმართველობის დროს გარკვეული ჯგუფები ისრაელ ტომთა კავშირიდან ახერხებდნენ ნილოსის დელტაში შეღწევას; რომ ისინი შემდგომ დამკვიდრდნენ დელტის აღმოსავლეთ ნაწილში, სუქოთთან ახლოს, გოშენის

(გესენის) მიწაზე,¹ რამესიდების ფარაონების ახალი რეზიდენციის – ქალაქ პერ-რამსესის (ბიბლიური ქალაქის რაყმესესი) მეზობლად.

რამსეს II მეფობის დროს ისრაელ ტომთა ამ ჯგუფებს შეეძლოთ მშვიდობიანად დაეტოვებინათ ეგვიპტის ტერიტორიის ფარგლები და შეერთებოდნენ სინაის ჩრდილოეთით ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ისრაელთა ტომობრივი კავშირის ძირითად მასას, შემდგომში კი შეედწიათ პალესტინაში, სადაც მერნეპტახის მეფობის მე-5 წელს ისრაელთა ტომებმა დაიკავეს საკმაოდ თეალსაჩინო ადგილი. ამასთან დაკავშირებით ისინი მოხსენებული არიან უშუალოდ “ისრაელთა სტელაზე”.

1. ბიბლია - ძველი და ახალი აღთქმის წიგნები, რედ. ზურაბ კიკნაძე, მაღბაზ სონღულაშვილი, თბ, 2001, გვ 50.

ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფო მმართველობის გამტკიცებამ, ძლევამოსილი იმპერიის ხელახალმა აღდგენამ, ბუნებრივი რესურსებით მდიდარმა ვრცელმა სამფლობელოებმა (ნუბია, ლიბია, პალესტინა, სირია) უთვალავი სიმდიდრისა და მონათა მოზღვავენამ, ხელი შეუწყო საწარმოო ძალების სწრაფ განვითარებას, ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობასა და აყვავებას.

ტექნიკური პროგრესი შეიმჩნეოდა ეგვიპტის ეკონომიკის ყველა დარგში: სოფლის მეურნეობაში, ხელოსნობაში, სასაქონლო ფულადი ურთიერთობის განვითარებაში. ეკონომიკის ძირითადი დარგი საირიგაციო მიწათმოქმედება იყო, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. დიდი ყურადღება ექცეოდა შრომატევად საირიგაციო სამუშაოთა ორგანიზაციას. ფართო და ღრმა სარწყავი არხებით, ჯებირებითა და კაშხალებით დასერილი ნილოსის ველი შესანიშნავად ათვისებულ სამიწათმოქმედო ტერიტორიას წარმოადგენდა. განსაკუთრებული ყურადღების სფეროს წარმოადგენდა დელტის სამეურნეო ათვისება. მის აღმოსავლეთ ნაწილში ფართო მასშტაბის სამუშაოები იქნა წარმოებული, რის შედეგადაც ეს ადგილი აყვავებულ მხარედ გადაიქცა. შემდგომში რამსეს II-ის მიერ აქ გადმოტანილი იქნება ეგვიპტის დედაქალაქი, რომელმაც რამსესის ქვეყნის სახელწოდება მიიღო.

მიწათმოქმედებაში დიდი წარმატების მანქანებელი იყო მაღლობი ადგილების ათვისება, ე. ი. ნილოსის ხეობის იმ მიწებისა, სადაც ვერ აღწევდა წყალი ნილოსის ბუნებრივი ადიდების დროს. ახალი მოწყობილობების, ე. წ. შადუფების მეშვეობით, ეგვიპტელებმა შეძლეს მოერწყათ მრავალი ასეთი ზონის ადგილი და ამით გაეფართოებინათ ნაყოფიერი მიწების ტერიტორიები. გაუმჯობესდა სასოფლოსამეურნეო ტექნიკა, კერძოდ, წარმოების ძირითადი იარაღი – კავი და აკაზმულობა.

მნიშვნელოვან განვითარებას აღწევს ხელოსნური წარმოება. ბრინჯაოს შენადნობის დანერგვამ წარმოებაში გამოიწვია მეტალურგიისა და ლითონდამუშავების აღმავლობა. ეგვიპტელი ოსტატების მიერ ათვისებული იქნა რთული ტექნოლოგიური პროცესები. ტექნიკურ მიღწევებს ადგილი ჰქონდა ხელოსნური წარმოების სხვადასხვა დარგში – ხის დამამუშავებელ, შუშის წარმოების, ოქრომჭედლობის და სხვ.

ძირითად საწარმოო უჯრედს, როგორც სოფლის მეურნეობაში ისე ხელოსნობაში, წარმოადგენდა წვრილი წარმოება. ეგვიპტელი მიწათმოქმედი მუშაობდა ერთ მტკაველ მიწაზე და ოსტატი-ხელოსანი ინდივიდუალურ სახელოსნოში. სწორედ აქ აწარმოებდნენ სხვადასხვა სახის აუცილებელი პროდუქტის მნიშვნელოვან ნაწილს. მაგრამ წარმოების მასშტაბების გაფართოებამ, ტექნიკურმა პროგრესმა გამოიწვია მსხვილი მეურნეობების, ვრცელი ადგილმამულებისა და მსხვილი სახელოსნოების წარმოქმნა, რომლებშიც დასაქმებული იყო ათეულობით მონა და

სხვადასხვა პროფესიის არათავისუფალი მწარმოებელი (მუშები). ასეთი დიდი მეურნეობები, როგორც წესი, ეკუთვნოდა სამეფო ოჯახს, ტაძრებს, სახელმწიფოს უმაღლეს მოხელეებს. მაგრამ თანდათან ყალიბდება მსხვილი მეურნეობები, რომლებიც ეკუთვნოდა კერძო პირებს: დიდებულებს, მდიდარ მეთემეებს, რომელთაც არაერთარი კავშირი არ ჰქონდათ სამეფო და სატაძრო მეურნეობებთან.

ეგვიპტის ეკონომიკა ამ დროს მთლიანობაში ინარჩუნებდა ნატურალურ ხასიათს. მიუხედავად ამისა, ადგილი ჰქონდა სასაქონლო წარმოების მნიშვნელოვან განვითარებას. წარმოების განვითარება საჭიროებდა ნედლეულს, რომელიც არ იყო ეგვიპტეში (კალა, სპილენძი, ძვირფასი ქვები, ხე და სხვ.). ასეთი სახის ნედლეულის ძირითადი მასა შემოდიოდა არა საგარეო ვაჭრობის შედეგად, არამედ ხარკის სახით ანდა პირდაპირი სამხედრო ძარცვის შედეგად. სასაქონლო წარმოების გარკვეულ წარმატებულობაზე მეტყველებს ქვეყნის შიდა ვაჭრობის განვითარება, რომელიც ამ დროს ძალზედ შეიმჩნეოდა. ღირებულების საზომს წარმოადგენდა ვერცხლის ნაჭრები, რომელთაც სტანდარტული წონა გააჩნდათ (დებენი – დახ. 91 გრ.).¹ საკმაოდ მიღებული იყო სავაჭრო ანგარიშსწორება მარცვლეულით, წვრილფეხა თუ მსხვილფეხა საქონლითა და სხვადასხვა პროდუქტებით.

ეკონომიური განვითარების მაღალი დონე, რასაკვირველია, ვარაუდობს ეგვიპტის საზოგადოების რთულ სტრუქტურას. ამ დროისათვის ეგვიპტეში

1. *История Древнего Востока. под ред. Кузищина В. И., М., 1979, стр. 54.*

ჩამოყალიბებული იყო საზოგადოების ძირითადი კლასები: ძირითადი მწარმოებლები – მონები, არათავისუფალი (დამოკიდებული) მუშები, წერილი, თავისუფალი მწარმოებლები, სასოფლო თემის მაცხოვრებლები, ქალაქის ღარიბობა.

გაბატონებულ კლასს წარმოადგენდა მიწათმფლობელები, სახელმწიფო ბიუროკრატიის წარმომადგენლები, ქურუმობა, სამხედრო წარჩინებულები, სასოფლო თემის მდიდარი წევრები.

ძველი ეგვიპტის ეკონომიკაში დიდ როლს თამაშობდნენ წერილი, თავისუფალი მწარმოებლები: მიწათმოქმედები და ხელოსნები – ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასი ეგვიპტის საზოგადოებისა. მათი შრომით მუშავდებოდა სახნავ-სათესი მიწები, ითესებოდა ყანები, ირწყვებოდა და მუშავდებოდა ბაღები, იგებოდა ხიდები, გაჰყავდათ გზები, წესრიგში იმყოფებოდა საირიგაციო ნაგებობები. ისინი მუშაობდნენ სახელოსნოებში, აგებდნენ შესანიშნავ შენობებს, მათგან იესებოდა და შედგებოდა ეგვიპტის ჯარის ძირითადი კონტიგენტი. ისინი იყვნენ სახელმწიფო გადასახადის ძირითადი გადამხდელები.

გაბატონებული კლასი – მიწათმფლობელები, სასახლისა და ნომების წარჩინებულები, ქურუმობა, სამხედრო დიდებულები – ისინი ღებულობდნენ ყველაზე მეტ სარგებლობას წარმატებული სამხედრო ლაშქრობებიდან, განვითარებული სოფლის მეურნეობიდან, ხელოსნური წარმოებიდან. ამ დროს გაბატონებული კლასის განსაკუთრებულობას წარმოადგენს მისი მჭიდრო კავშირი სახელმწიფო ხელისუფლებასთან. მათი მდგომარეობა და

კეთილდღეობა დამოკიდებული იყო მთლიანად იმაზე, თუ რა ადგილი ეკავათ თანამდებობრივ იერარქიაში, რამდენად ახლოს იყვნენ ფარაონის კართან. ამ დროისათვის დამახასიათებელია ასევე გაბატონებული კლასის რიგების გაფართოება საშუალო ფენიდან გამოსულთა ხარჯზე, რაც გამოწვეული იყო ძლევამოსილი ეგვიპტის იმპერიის შექმნის შედეგად სახელმწიფო ხელისუფლების აპარატისა და ფუნქციის გაფართოების გამო.

ეგვიპტის სოციალურ-ეკონომიკური სისტემა რამსეს II-ის მმართველობის ხანაში ისეთივე დარჩა, როგორიც ის ჩამოყალიბდა დიდი ხნით ადრე მის გამეფებამდე და როგორიც შენარჩუნდა მთელი საუკუნეების მანძილზე მისი გარდაცვალების შემდეგაც. რამსეს II-ის მეფობის პერიოდისათვის დამახასიათებელია ქვეყანაში სახელმწიფო (სამეფო-სატაძრო) მეურნეობის შემდგომი განვითარება და სრული გაბატონება, იმ სახით, როგორი სახითაც ის არსებობდა რამესიდების წინა და შემდგომ ფარაონთა ეპოქაში. ეს იყო ხანა ეგვიპტის ეკონომიური აღმავლობისა. სახელმწიფო ბედლებში დიდი სასურსათო მარაგის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ხანგრძლივი სამხედრო ლაშქრობების მოწყობა აზიაში, მონუმენტური მშენებლობების გაჩაღება ნილოსის ველზე.

ამდენად, ეგვიპტის სოციალურ-ეკონომიური განვითარების მაღალი დონე რამსეს II-ის დროს მნიშვნელოვნად განაპირობებდა მის აქტიურ საგარეო პოლიტიკას, მაგრამ არ წარმოადგენდა მთავარ განმსაზღვრელს. გარკვეულ ზეგავლენას ავლენდა აზიაში ეგვიპტის ჰეგემონობის აღდგენის, ეგვიპტის

ძლევამოსილების, პრესტიჟის მოტივირებაც.

ძველ ეგვიპტეში, მისი ეკონომიკის თავისებურებიდან გამომდინარე, ძირითადი მწარმოებელი და ექსპლუატირებული კლასი, მთელი მისი ისტორიის მანძილზე, მათ შორის ახალი სამეფოს ხანაშიც, შედგებოდა არა მონებისაგან, არამედ ადგილობრივი მიწათმოქმედი მოსახლეობისაგან. ეს მდგომარეობა არ შეცვლილა XVIII დინასტიის დაპყრობითი ომების შემდეგაც, მიუხედავად ეგვიპტეში სამხედრო ტყვეების მასობრივი გარეკეის ხშირი შემთხვევებისა.¹

ამ სინამდვილის შეცვლა ვერც რამსეს II-ის ომების შედეგად მოხდა. ეგვიპტეში შემოყვანილი მონები სახელმწიფო მეურნეობის სისტემაში შეჰყავდათ. მათი განაწილება ხდებოდა ტაძრებსა და კერძო პირებს შორის, მათი შრომა გამოიყენებოდა სამშენებლო სამუშაოებზე, სახელოსნო წარმოებაში, მებაღეობასა და საოჯახო მეურნეობაში, მაგრამ მონები წარმოადგენდნენ მხოლოდ დამატებით სამუშაო ძალას. ხანდახან ტყვეებს ასახლებდნენ კომპაქტურად განსაკუთრებულ ადგილებზე, სადაც ისინი იურიდიულად მონების კატეგორიას განეკუთვნებოდნენ, ხოლო ეკონომიური მდგომარეობით უახლოვდებოდნენ ადგილობრივ დამოკიდებულ მოსახლეობას. ძველ ეგვიპტეში ყოველთვის იყო საკმარისად საკუთარი მობეგრე ექსპლუატირებული მოსახლეობა და ამიტომ მოთხოვნა დამატებით მუშა ხელზე არც თუ ისე დიდი გახლდათ. ეგვიპტეს, უპირველეს ყოვლისა, სჭირდებოდა ნედლეული (ხე, ლითონი, რქოსანი საქონელი) და რაღაც

1. Стучевский И. А., Колониальная политика Египта в эпоху XVIII династий, М., 1967, стр. 57.

წილად მონები.¹ ეგვიპტელებისათვის სასურველ ნადავლს ყოველთვის წარმოადგენდა ლამაზი ტყვე ქალები, ფუფუნების საგნები, ძვირფასი ლითონები, ოქრომჭედლობის ნაკეთობები, იარაღი, ე. ი. ყველაფერი ის, რაც აინტერესებდა ეგვიპტის საზოგადოების ზედაფენას და რომელსაც არ გააჩნდა მწარმოებლური გამოყენების დანიშნულება.

შუა და ახალი სამეფოს ხანის ლიტერატურული, საქმიანი თუ სამეურნეო ხასიათის ტექსტები, ნათლად მოწმობენ სახელმწიფოს მხრიდან იმ დიდ ძალისხმევაზე, რომ თავის კონტროლს დაუქვემდებაროს საზოგადოების სოციალური სტრუქტურა.

ჩვენამდე მოღწეულ ძვ. წ. XIII-XII საუკუნეების სიებში ხშირად მოხსენებულია საზოგადოებრივი სისტემის თვითრეგულირების შესახებ. ეგვიპტეში სახელმწიფო დონეზე მოქმედებდა შრომითი რესურსების აღრიცხვისა და დათვალიერების პრაქტიკა. ასეთი კონტროლის არსებობა, რომელიც წარმოადგენდა სოციალური სტრუქტურის რეგულირების აშკარა გამოვლინებას, არაერთხელ აღნიშნულა ძველი ეგვიპტის ისტორიისადმი მიძღვნილ შრომებში.²

ეგვიპტელი მოხელეები პერიოდულად აწყობდნენ სამეფო მეურნეობის მუშაკების, „თანამდებობის ხალხთა“ – ხელოსნების, მეომრების, ქურუმების დათვალიერებას. ამ დათვალიერებებს უწოდებდნენ

1. Стучевский И. А., *Колониальная политика Египта в эпоху XVIII династий*, М., 1967, стр. 57-58.

2. Перепелкин Ю. Я., *Египет Нового царства*, см. *Всемирная история*, т. 1, М., 1956, стр. 335. Берлев О. Д., *Общественные отношения в Египте эпохи среднего царства*, М., 1978, стр. 42, 69-72 и др.

– „დანაკლისის დადგენას“ – რასაკვირველია, მისი ახალი ძალებით შეესებინა მიზნით. ასეთ დათვალიერებებს ატარებდა სამეფო მეურნეობის მმართველი და მისი განცხადება დათვალიერებების შესახებ უშუალოდ უნდა დაეუკავშიროთ კიდევ ორ მნიშვნელოვან საკითხს: სამეფო სახლში „მყოფ მომუშავეებისა“ და ასევე წარჩინებულთათვის „შინა მსახურების“ გამოყოფას. სრულიად ნათელია, რომ სამეფო მეურნეობა და კერძო მეურნეობები ივსებოდა ამ დათვალიერებების შედეგად.¹

ახალი წერილობითი წყაროების შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა დათვალიერებების არსებობის არა მარტო უბრალო კონსტანტირება, არამედ სახელმწიფოს მიერ სოციალური სტრუქტურის დარეგულირების პროცესის გააზრება.

სოციალური სტრუქტურის რეგულირების პირობებში სულ უფრო ელინდება გადამწერის, მწერლის პროფესიის გადაჭარბებული ქება-დიდება და ამ პროფესიის უპირატესობის აღნიშვნა სხვა პროფესიებსა და სპეციალობებთან შედარებით. ეს დაფიქსირებულია სხვადასხვა ლიტერატურულ წყაროებში. მაგალითად, ერთ-ერთ ასეთ წყაროში ლაპარაკია უბრალო ეგვიპტელის ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ გზაზე: „როგორც კი ადამიანი გაჩნდა ამ ქვეყნად, ის იმთავითვე მორჩილი გახდა თავისი პატრონისა: ყრმა თან ახლავს მეომარს, ჭაბუკს გაამწესებენ ახალწვეულებში, ხანდაზმულს მუდმივად აგზავნიან მიწის მუშაკად, მომწიფებული მამაკაცი მეომარი

1. Берлев О. Д., *Общественные отношения в Египте эпохи среднего царства*, М., 1978, стр. 42.

ხდება”¹. სამუშაო ძალის გადანაწილების საყოველთაო სახელმწიფოებრივი ხასიათი (ეგვიპტის პირობებში, უპირველეს ყოვლისა – მამაკაცთა) აღწერილია კიდევ ერთ-ერთ ლიტერატურულ თხზულებაში ამავე თემაზე: “ყველაზე მეტად ყურადღება მიაქცეი წერის მანერას, ნუ ჩამოწევ შენი ხელის მტევანს, ნახე შენი მბრძანებლის საქმეები, განზრახვები მისი მტკიცება. აღრიცხავენ ყველა მამაკაცს – მათ შორის უკეთესები თან მიჰყავთ. მამაკაცს გაამწესებენ მეომრად. ჭაბუკს – ახალწვეულებში, ყრმას კი გამოგლეჯენ დედის ხელებს”².

ერთი მხრივ, ლიტერატურული ტექსტები თანამიმდევრულად და ნათლად ასახელებს ოთხ მთავარ ასაკობრივ კატეგორიას. მეორე მხრივ, გვიჩვენებს იმ ადამიანთა ძირითად დასაქმებას, რომლებიც განაწილდნენ თავიანთი ასაკის მიხედვით. თუმცა ცხადია ისიც, რომ ჩვენს წინაშეა არა მარტო უბრალო აღნიშვნა ეგვიპტელის ასაკისა, არამედ საზოგადოებრივი წესისა, რომელიც წარმოადგენს საფუძველს სამუშაო ძალის რეზერვის გადანაწილებისათვის სახელმწიფო დათვალიერების დროს. ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში ეგვიპტის სახელმწიფოს მასშტაბით მწარმოებელი მოსახლეობის პროფესიონალური ნაწილი შეადგენდა სამუშაო ძალის ძირითად რეზერვს.

სამუშაო ძალის ძირითადი რეზერვის პერიოდული აღრიცხვა და სამუშაოებზე განაწილება გახლდათ

1. Перепелкин Ю. Я., *Египет Нового царства, см. Всемирная история, т. 1, М., 1956, стр. 335.*

2. Берлев О. Д., *Трудовое население Египта в эпоху среднего Царства, М., 1979, стр. 97.*

ხელისუფლის – ფარაონის ძირითადი საქმე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფარაონის ხელისუფლების საშინაო პოლიტიკის მთავარ მიმართულებას წარმოადგენდა შრომითი რესურსების თანმიმდევრული რეგულირება, ხოლო ამ რეგულირების მეშვეობით – საზოგადოებრივი სისტემის ფორმირება მოცემული დროისათვის ოპტიმალურ ვარიანტში.

XIX დინასტიის ბოლოდროინდელი მმართველობის პერიოდიდან ჩვენამდე მოღწეულ წერილში გადმოცემულია ცნობა სეტი I სულის მოსახსენიებელი ტაძრის მეურნეობის მებაღე-მევენახეთა საშტატო დათვალიერების შესახებ, რომელიც იმყოფებოდა სამეფო ნეკროპოლის მუშაკთა დასახლების მახლობლად. კონტროლიორმა მეურნეობის მებაღეები დაყო ასაკობრივი ნიშნის მიხედვით: „მამაკაცები – 7. ჭაბუკები – 4. ხანდაზმულები – 4. ყრმები – 6. სულ – 21 სული.¹

განვიხილოთ ყველა “ასაკობრივი” კატეგორია დოვლათის შექმნაში მათი მონაწილეობისა და როლის შესაბამისად.

ყრმები. სიტყვა ყრმას ეგვიპტურად რამდენიმე მნიშვნელობა გააჩნდა. მათ შორის ფართოდ იხმარებოდა ყმაწვილი, ბიჭი, როგორც ეს აღნიშნულია ამონის მთავარი ქურუმის ბექენჰონსის ბიოგრაფიაში. ის ცხოვრობდა სეტი I და რამსეს II-ის დროს.²

სამეფო ნეკროპოლის მუშაკთა აღრიცხვის დროს რამსეს II-ის მმართველობის 29-ე წელს წყლის მზიდავთა

1. *Вестник Древней истории*, №1, М., 1981, стр. 20.

2. *Богословский Е. С., Государственное регулирование социальной структуры Древнего Египта. см. Вестник древней истории*, №1, М., 1981, стр. 20.

რიცხვში (წყლის მზიდავები ასევე განეკუთვნებოდნენ რიგით ხალხს) შეყვანილი იყო ორი ყრმა. ყრმები მუშაობდნენ მეთევზეებადაც. ასე მაგალითად, რამსეს II მეფობის დროინდელ აკლდამათა მოხატულობებზე, თევზის ჭერისა და დამუშავების სცენებში ასახულია, თუ როგორ ეხმარება ბიჭი მეთევზეს დაწნულ კალათაში გამოშიგნული თევზის ჩალაგებაში.¹

ეგვიპტეში მოსახლეობის საყოველთაო დათვალიერებების შედეგებიდან შეიმჩნევა, რომ ასაკობრივი დაყოფა ეხებოდა მშრომელთაგან – პროფესიის არ მქონე ნაწილს. მაგრამ საინტერესოა, ეხებოდა თუ არა (და თუ ეხებოდა – როგორ) პროფესიონალ ოსტატებს.

ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ სიაში, რომელიც წარმოადგენს ყრმათა ექვსი სახელის ნუსხას, ძნელია იმის მიხედვრა, თუ რისთვის იყო ეს სია შედგენილი. მაგრამ საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ სიაში ჩამოთვლილი ყველა ყრმა ცნობილია მრავალი სხვა ტექსტების მიხედვითაც იმ დროიდან, როცა ისინი უკვე მოზრდილები გახდნენ.

1. ხის მთავარი ოსტატი სამეფო ნეკროპოლის ოსტატთა ქვედანაყოფიდან, ჰოიე, ჰაია-ს ძე. თანამდებობა ეკავა უკვე სეტი I მმართველობის დროიდან მოყოლებული და იყო მამა ქვედანაყოფის უფროსის კაქასი.

2. ნეკროპოლის მეკუჭნავე ერეუ, ნეკროპოლის მეკუჭნავის მამა, ცნობილია სხვადასხვა წარწერებში

1. Богословский Е. С., Государственное регулирование социальной структуры Древнего Египта, см; Вестник древней истории №1, М., 1981, стр. 20.

XIX დინასტიის მმართველობის დასაწყისიდან.

3. სამეფო ნეკროპოლის მხატველი ჰაი, ამონის ტაძრის მომხატველის ვაჟი, წყაროებში ჩნდება რამსეს I და სეტი I დროიდან.

4. სამეფო ნეკროპოლში, ფარაონის ქვის მთელთა რაზმის უფროსი ჰაი, მოხსენებულია დერ-ელ-მედინაში. ქალღრმერთ ხატხორის ტაძარში ნაპოვნია წარწერებში (ტაძარი აშენებულია სეტი I მეფობის დროს).

5. სამეფო ნეკროპოლში ქვისმთელთა რაზმის უფროსი ამიკე, პირველადაა ნახსენები ამ თანამდებობაზე, წყაროში პირდაპირ დათარიღებულია სეტი I მმართველობის პერიოდით.

6. ხის მთავარი ოსტატი სამეფო ნეკროპოლში djdj ცნობილია წარწერებიდან XIX დინასტიის მმართველობის დასაბამიდან.¹

ამრიგად, მხოლოდ ერთი, ექვსი ყრმიდან, დარჩა რიგითი კაცის თანამდებობაზე (სამეფო ნეკროპოლის მეკუჭნავე ერეუ) ყველა დანარჩენი ყრმა გახდა ოსტატი.

სრულიად ნათელია, რომ სამეფო მეურნეობების მუშაკთათვის დაწესებული ასაკობრივი დაყოფა ვრცელდებოდა ოსტატებზეც, სანამ ისინი არ დაინიშნებოდნენ თანამდებობებზე.

ახალგაზრდები. ჭაბუკები. ამ კატეგორიის ქვეშ მოიაზრებოდა ახალგაზრდა კაცი, რომელიც თავისი ასაკით იმყოფებოდა ყრმობისა და მოწიფულობის ზღვარზე. სამეფო ნეკროპოლში დასაქმებულ პირთა ქვედანაყოფებში შედიოდნენ ახალგაზრდებიც, მაგრამ

1. Богословский Е. С., Государственное регулирование социальной структуры Древнего Египта. см. Вестник древней истории, №1, М., 1981, стр. 20-21.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ახალგაზრდა ირიცხებოდა ქვედანაყოფის შემადგენლობაში.

რამსეს II მეფობის შუახანებიდან ჩვენამდე მოაღწია ტექსტმა, რომელიც გვამცნობს ახალგაზრდა ოსტატების თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.

ნებისმიერ თანამდებობაზე დანიშვნას ახორციელებდა სახელმწიფოს უმაღლესი მოხელე, როგორც შემდგომში ვიხილავთ, იგივე თანამდებობის პირი შლიდა ოსტატებს ოსტატთა ქვედანაყოფიდან და გადაჰყავდა ისინი რიგით თანრიგოსანთა რიცხვში. ახალგაზრდების ერთი ნაწილი შეჰყავდათ ე. წ. „ახალთა“ ქვედანაყოფში. მეორე ნაწილი კი ინიშნებოდა მამების თანამდებობაზე (რასაკვირველია, თანამდებობის განთავისუფლების შემთხვევაში). ძნელი გასარკვევია ის, რას ნიშნავს „ახლების“ შეყვანა, გაწესება. არის ეს ქვედანაყოფის რიგებში ახალი ძალების ჩარიცხვა საერთოდ გარედან (ნეკროპოლის გარედან), თუ მათი დანიშვნა უბრალოდ არა მამების თანამდებობაზე. ყოველ შემთხვევაში, ცნობილია, რომ ზოგიერთი ოსტატი მრავალშვილიანი იყო. ყოველ მათგანს არ შეეძლო დაეკავებინა მამის ადგილი. ბევრი მათ შორის იწყებდა მუშაობას მამის სიცოცხლეში. ხშირად ისინი ეუფლებოდნენ ახალ პროფესიას. მამის თანამდებობა ავტომატურად არ გადაიცემოდა. უმაღლესი მოხელე ამ თანამდებობაზე ნიშნავდა ახალგაზრდებს იმ წესით, როგორც ინიშნებოდა ის ახალგაზრდები, რომელთა მამებს არ გააჩნდათ თანამდებობები ქვედანაყოფებში. ასეთი დანიშვნების გარეშე შეუძლებელი იყო რაიმე სახის თანამდებობის დაკავება.

ამგვარად, სამეფო ნეკროპოლის მუშაკები, ისევე როგორც ძველი ეგვიპტის მთელი მშრომელი მოსახლეობა (ქალების გარდა), იყოფოდა ოთხ ასაკობრივ კატეგორიად. ასაკობრივი კატეგორიები, რასაკვირველია, არ იყო დაწესებული მხოლოდ მამაკაცის ცხოვრების ფიზიკური სტადიის აღსანიშნავად. ისინი შემოღებული იყო, რასაკვირველია ფისკალური მიზნით – სახელმწიფოს სასარგებლოდ ანარიცხების შესაძლებელი გამომუშავებისა და ოდენობის აღრიცხვისათვის.

ძველ ეგვიპტური არქიტექტურის, სკულპტურის, ფერწერისა და სამხატვრო ხელოვნების მრავალრიცხოვანი ძეგლები, რომლებიც ჩვენს დრომდე შემოინახა, საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვიქმნის ძველი ეგვიპტის ხელოვნების შესახებ. სწორედ ძველ ეგვიპტეში, მსოფლიოში პირველად, შეიქმნა მონუმენტური ნაგებობანი ქვისაგან – პირამიდები და ტაძრები. სწორედ აქ, ყველაზე ადრე, ვიდრე სხვაგან, გაჩნდა კოლონადები და პორტიკები (კარიბჭეები), ქანდაკებები აკლდამებში და ტაძრებში, მრავალფეროვანი მოხატულობანი და რელიეფური გამოსახულებანი.

რამსეს II-ის მეფობის დროს ნილოსის ველზე აიგო მრავალი დიდი მასშტაბის ნაგებობა, რომელთა ანსამბლების უმრავლესობის ნანგრევები დღემდეა შემორჩენილი. საერთოდ, მშენებლობის დარგში, რამსეს II-მ დაჩრდილა თავისი წინამორბედები. მისი პოლიტიკა ამ სფეროში შემოიფარგლებოდა სამი ასპექტით: პირველი – ძველი ძეგლების მითვისება და მათ შემქმნელად საკუთარი თავის წარმოდგენა, მეორე – მშენებარე მონუმენტების დამთავრება, ბოლოს კი საკუთარი მშენებლობის დაწყება და განმაცვიფრებელი არქიტექტურული ანსამბლების აღმართვა. რასაკვირველია, აშკარაა, რომ ამ დროს ეგვიპტეს გააჩნდა მნიშვნელოვანი, როგორც ფიზიკური ისე მატერიალური რესურსები იმისათვის, რომ რამსეს II-ს განეხორციელებინა ასეთი ფართო მასშტაბის აღმშენებლობითი პროგრამა.

ეგვიპტის მესვეურობამ აზიის პოლიტიკურ საქმეებში საჭირო გახადა სამთაურობო ცენტრის გადატანა ნილოსზე, უფრო სწორედ – თებედან დელტაში. XIX დინასტიის აღზევების შემდეგ სეტი I-მა თავისი მეფობის გარკვეული პერიოდი ჩრდილოეთში, დელტაში გაატარა. რამსეს II, რომლის გეგმებში შედიოდა აზიის დაპყრობა, იძულებული გახდა საერთოდ დაეტოვებინა თებე, როგორც სამეფო რეზიდენცია. თებე დარჩება მხოლოდ სახელმწიფოს წმინდა დედაქალაქად – რელიგიურ ცენტრად. ფარაონი ხშირად ესწრებოდა მნიშვნელოვან რელიგიურ დღესასწაულებს თებეში. რამსეს II-მ დედაქალაქი გადაიტანა ჩრდილოეთში. ეს ქალაქი მიიღებს შემდეგ მის სახელს – პერ-რამსესს – „რამსესის სახლი“. დედაქალაქის მშენებლობას საძირკველი ჩაეყარა ჯერ კიდევ სეტი I-ის დროს, ჰიქსოსთა მმართველობის უბველესი რეზიდენციის – ავარისის ადგილას.¹

ავარისის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით დღემდე არსებობს სხვადასხვა აზრი, მაგრამ მკვლევართა უმრავლესობის დასკვნით, ძველი ავარისი, ჰიქსოსების დედაქალაქი, მდებარეობდა იქ, სადაც შემდგომში აშენდა პერ-რამსესი. ავარისისა და პერ-რამსესის იდენტურობის ძირითად დასაბუთებად მიჩნეულია თაყვანისცემა ღვთაება სეტხისადმი ავარისში და პერ-რამსესში, რის შესახებ მოწმობს თუნდაც რამსეს II-ის თანადროული, სეტხის 400 წლისთავისადმი მიძღვნილი სტელა. გარდა ამისა, არსებობს მსგავსება ორივე ქალაქის მიდამოების

1. *Культура Древнего Египта. ответств. ред. И. С. Кацнельсон, М., 1976, стр. 400.*

გეოგრაფიულ თავისებურებათა აღწერაში.

მოიპოვება აგრეთვე არქეოლოგიური მასალა, რომელიც ასაბუთებს ავარისისა და პერ-რამსესის ერთი და იგივე ადგილ-მდებარეობას.¹

რამსეს II-ის დედაქალაქს ეკავა დაახლოებით სამი კვადრატული კილომეტრის ტერიტორია. ის მდებარეობდა მნიშვნელოვან სტრატეგიულ ადგილას, რადგან იცავდა ნილოსის იმ ტოტს, რომელიც ხსნიდა გზას აზიის მიმართულებით. უფრო სწორად, ეგვიპტის ახალი დედაქალაქი მდებარეობდა ეგვიპტური და აზიური სამყაროების გზის შესაყარზე, რაც საშუალებას აძლევდა ფარაონს, კონტროლის ქვეშ ჰქონოდა საერთაშორისო ცხოვრების, პოლიტიკის მაჯისცემა. ქალაქში მუდმივად დაბანაკებული იყო რამდენიმე გარნიზონი. აქ იყო თავმოყრილი დიდი არსენალები. აქ გადიოდნენ სამხედრო სწავლებას ეტლოსნები, მშვილდოსნები, ქვეითები. ტარდებოდა სამხედრო წვრთნები, აღლუმები.²

პერ-რამსესი გახლდათ აგრეთვე სატაძრო ცენტრიც. ოთხი ტაძარი აღმართული იყო სამყაროს ოთხივე მხარის მიმართულებით: ამონის ტაძარი – დასავლეთით, სეტხის – სამხრეთით, უაჯეთის – ჩრდილოეთით, ასთართის – სირიული ღვთაების ტაძარი აღმოსავლეთით. აქ, ამ ოფიციალურ პანთეონში გამოხატულ იქნა გარკვეული პატივისცემა აზიის მიმართ.³ თებეში შეუძლებელი იყო ყველა იმ მონაცემების შეჯერება

1. Коростовцев М. А., *Писцы Древнего Египта*, М., 1962, стр. 51.

2. Кристиан Жак, *Египет Великих Фараонов*, М., 1992, стр. 240.

3. Кристиан Жак, *Египет великих Фараонов*, М., 1992, стр. 241.

და ქვეყნის მომავლისათვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ საკითხებზე სრული წარმოდგენის შექმნა იმასთან დაკავშირებით, თუ რა ხდებოდა სირიაში, პალესტინაში, მესოპოტამიაში. ახალ დედაქალაქში კი ყველა პირობა იყო იქ არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის მიღებისა და დამუშავებისათვის.

დელტის ცენტრში იქმნება ქვემო ეგვიპტის მე-17 ნომი. მასში შევიდა ტერიტორიები, რომლებიც ეელური მცენარეულობის გაკაფვისა და ჭაობების ამოშრობის შედეგად იქნა ათვისებული. თანდათანობით მიმდინარეობდა დელტის ცენტრის დასახლება. რამსეს II და მისი მემკვიდრეები ამ რეგიონის მკვიდრი იყვნენ და განსაკუთრებით ზრუნავდნენ მის განვითარებაზე.

მრავალი არქიტექტურული ობიექტი, რომელიც განეკუთვნება რამსეს II-ის დროს, აღმოჩენილია ნილოსის დელტაში, ტანისში: ესაა ფარაონის დიდებული კოლოსი, რომლის სიმაღლე 28 მეტრს აღწევს, ასევე ობელისკები, სტელები, ნაგებობები გრანიტისაგან და კვარციტისაგან, ტაძრების ნანგრევები.¹

მემფისში, რამსეს II-ის დროს, გადააკეთეს ღვთაება პტახის ტაძარი და დადგეს ფარაონის ორი უზარმაზარი ქანდაკება. მათგან ერთი თავის პირვანდელ ადგილასაა, ხოლო მეორე კი ამშვენებდა მთავარი სადგურის წინა მოედანს ქ. კაიროში, 2006 წლის აგვისტომდე, სანამ ის არ გადაიტანეს მეფეთა ხეობაში.

ჰერაკლეოპოლისში რამსეს II-ის მმართველობის

1. Матье М. Э., *Искусство древнего Египта*, Л., 1962, стр. 161.

პერიოდში გადააკეთეს ადგილობრივი ტაძარი. სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა ასევე ჰელიოპოლისში, ჰერმოპოლისში, კოპტოსში, ედფუში, აბიდოსში. რეკონსტრუირებული იქნა და დამთავრებული სეტი I-ის სულის მოსახსენიებელი ტაძარი, რომელშიც თაყვანს სცემდნენ ოსირისს, ისიდას, ხორს, პტახს, ამონს, და თვითონ სეტი I-ს.¹

ღვთაება ოსირისისადმი მიძღვნილი ტაძარი, რომელიც აშენდა აბიდოსში რამსეს II-ის დროს, წარმოადგენდა მონუმენტური მშენებლობის დიდებულ ძეგლს, თუმცა თავისი მასშტაბით უფრო ნაკლები იყო, ვიდრე სეტი I-ის ტაძარი.²

რამსეს II-ის აბიდოსის ტაძარში გამოსახულია მრავალი საომარი სცენა. აქაა მოთავსებული ეგრეთწოდებული „ლიტერატურული“ ანგარიში კადეშთან ბრძოლის შესახებ. ტაძრის შიგნით კედლებზე ამოკვეთილი იყო მსხვერპლად შესაწირავების სიები, წინამორბედი ფარაონების სია, ასტრონომიული და რელიგიური ტექსტები, მათ შორის პარაკლისი მზისადმი. დიდ ინტერესს იწვევს რამსეს II-ის წარწერა, რომელიც წარმოადგენს მის მიმართვას სეტი I-სადმი. იგი შეიცავს ფარაონის გადაჭარბებულ ქება-დიდებას, ცნობებს მამამისთან ერთად მისი თანამმართველობის შესახებ.³

შესანიშნავია კარნაკის, ლუქსორის, რამესეუმის, აბუ-სიმბელის გრანდიოზული სატაძრო ანსამბლები – რამსეს II-ის ხუროთმოძღვართა ქმნილებები. ძველი

1. Матые М. Э., *Искусство древнего Египта*, Л., 1962, стр. 163.

1. Там же, стр. 165.

2. Breasted J. H. *Ancient records of Egypt*, vol. III, Chicago, 1906, p. 251

ეგვიპტური არქიტექტურის ყველა ეს შედეგური უკვე არაერთხელ გამოკვლეულა და აღწერილა დაწვრილებით მეცნიერთა ერთობლივ თუ სპეციალურ შრომებში.

მთავარი ყურადღება ამ დროს ექცევა კარნაკის სატაძრო კომპლექსის გაფართოებას, ახალი არქიტექტურული ნაგებობების მშენებლობას. კარნაკი ყველაზე ცნობილი ტაძარია ახალი სამეფოს ხანაში. ესაა ამ ხანის ფარაონების საოცარი ქმნილება, მიძღვნილი მზის ღვთაება ამონ-რა-სადმი. მისი მშენებლობა დაიწყო ჯერ კიდევ შუა სამეფოს ხანაში, მაგრამ შემდეგ აქ აღიმართა ისეთი გრანდიოზული ნაგებობები, რომ შუა სამეფოს ხანის პატარა ტაძარი სამლოცველოს დაემსგავსა. ახალი სამეფოს ხანის, XVIII დინასტიის ფარაონთა შორის პირველთაგანი, რომელმაც განაგრძო კარნაკის ტაძრის მშენებლობა იყო თოტმეს I. სამუშაოები მიმდინარეობდა ნიჭიერი ხუროთმოძღვრის ინენის ხელმძღვანელობით. კარნაკის ტაძარი კიდევ უფრო გამდიდრდა ახალი ნაგებობებით ამენხოტეპ III-ის მმართველობის დროს,¹ ხოლო XIX დინასტიის პირველ სამ ფარაონთა შორის ხორემხებმა დაიწყო კარნაკში გიგანტური პიპოსტილის აგება.² რამსეს I-ის ხანმოკლე მმართველობის პერიოდში

1. *Культура Древнего Египта. ответств. ред. И. С. Кацнельсон, М., 1976, стр. 388.*

2. *პიპოსტილი - [ბერძ. hypostylos]. სვეტებზე (კოლონადაზე) დაყრდნობილი, ვრცელი დახურული შენობა (ნაგებობა) ტაძრის, ან სასახლის დარბაზი, რომლის ჭერი ეყრდნობოდა მრავალრიცხოვან სვეტებს. პიპოსტილი ან პიპოსტილური დარბაზები გავრცელებული იყო ძველი აღმოსავლეთის ხალხთა არქიტექტურაში [ეგვიპტე, ირანი], იხ. Большая Советская энциклопедия, М., 1976, т.6, стр. 544.*

მოასწრეს მხოლოდ ახალი პილონის შიგნითა მხარეს რელიეფთა ნაწილის ამოკვეთა. კოლონადების აგება (გარდა უკვე აღმართული ცენტრალურისა) და დარბაზის მოხატვა გრძელდებოდა სეტი I-ის მეფობის პერიოდში და დამთავრდა მხოლოდ რამსეს II-ის დროს. ახალი მინაშენი კარნაკის ტაძრისადმი გრანდიოზული იყო. არასდროს მანამდე არც ქანდაკებები, არც პილონები და კოლონადები არ იყვნენ ისეთი დიდი ზომის, როგორიც იყო რამსეს II-ის მიერ აგებულ შენობებში.¹

არქიტექტორმა მაიამ ააგო ყველაზე დიდი სვეტებიანი დარბაზი ძველ მსოფლიოში – 5000 კვადრატული მეტრის ფართობისა (103 მ. სიგანით და 52 მ. სიგრძით). დარბაზის 134 სვეტი განლაგებულია 16 რიგად. ყოველი მეოცე ცენტრალური სვეტის სიმაღლე 19,26 მ. აღწევდა, დიამეტრი – 3,4მ. რვა სვეტის კაპიტელი (სვეტის თავი) წარმოადგენდა პაპირუსის გაშლილ ყვავილებს. თითოეული ისეთი სიდიდისა იყო, რომ ყოველ მათგანზე ერთდროულად ასამდე კაცი მოთავსდებოდა.²

დარბაზის კედლებზე გამოსახული რელიეფების თემატიკა წარმოადგენდა ფარაონის სამხედრო გამარჯვებების ქება-დიდებას. მოხერხებულად განლაგებული ვეებერთელა კომპოზიციები განასახიერებდნენ ლაშქრობებს, ბრძოლებს, სამხედრო ბანაკებს, სხვადასხვანაირ მასობრივ სცენებს.³ აქ

1. *Культура Древнего Египта. ответств. ред. И. С. Кацнельсон, М., 1976, стр. 402.*

2. *Там же.*

3. *Матье М. Э., Искусство древнего Египта, Л., 1962, стр. 429.*



კარნაკის ტაძრის კოლონადები, XIX დინასტია.



რამსეს II-ის ქანდაკება კარნაკში ამონის ტაძრის წინ.

ამოკვეთილ იქნა ტექსტი “ლიტერატურული” ანგარიშისა კადეშთან ბრძოლის შესახებ (პენტაურას პოემა) და ხეთებთან საზავო ხელშეკრულების ტექსტი.

გრანდიოზული მშენებლობა იქნა წამოწყებული ლუქსორში. ფარაონ ამენხოტეპ II-ის დროინდელი ტაძრის პირდაპირ აღმართეს უზარმაზარი პილონები, რომელთა უკან განლაგებული იყო დიდი ეზო სვეტებით. პილონების წინ დაიდგა ორი ობელისკი და ექვსი რამსეს II-ის კოლოსი. ერთ-ერთი ობელისკი ამჟამად პარიზშია: 1831 წ. მუჰამედ ალიმმა იგი საფრანგეთს აჩუქა, ხოლო 1836 წლის 25 ოქტომბერს ეს ობელისკი დაიდგა თანხმობის მოედანზე.¹

რამსეს II-ის ბრძანებით დადგმული ექვსი კოლოსიდან ორი, რომელიც შავი გრანიტისაგან იყო გამოკვეთილი, გამოსახავდა ფარაონს დამჯდარს, ხოლო დანარჩენი ოთხი, წითელი გრანიტისაგან გაკეთებული – მდგომს. ამჟამად შემორჩა მხოლოდ ერთი და ისიც სავალალო მდგომარეობაში. შემორჩა ასევე ამ მონუმენტთან დაკავშირებული ქანდაკება, რომელიც გამოსახავს რამსეს II-ის ქალიშვილს – მერიტამენს. ხოლო მჯდომარე ფარაონის ქანდაკების გვერდით, რომლის სიმაღლე აღწევდა 15,6 მეტრს, ფარაონის ტახტთან, მოთავსებული იყო მცირე მოცულობის ფიგურები – მისი ერთ-ერთი მეუღლის, ცნობილი დედოფლის ნეფერტარისა.²

ლუქსორის ტაძრის უზარმაზარი პილონების კედლებზე ასახულია სცენები ხეთებთან წარმოებული

1. Кристиан Жак, *Египет великих Фараонов*, М., 1992, стр. 245.

2. Матье М. Э., *Искусство древнего Египта*, Л., 1962, стр. 431.

ბრძოლებიდან და ჩანაწერი „ლიტერატურული“ ანგარიშისა კადეშის ბრძოლის შესახებ. ტაძრის დასავლეთ კედელზე აღბეჭდილია საბრძოლო ბატალიების ეპიზოდები. რელიეფის ერთი ნაწილი ასახავს რამსეს II-ის ჯარების მიერ ქ. ტუნიპის აღებას, ხოლო მეორე ნაწილი კი – ქ. დაფურის დამორჩილებას. საოცარია სიმდიდრე და ბრწყინვალება ამ ევბერთელა კომპლექსისა, რომლის სიგრძე, რამსეს II-ის მიერ აგებული სატაძრო ეზოს ჩათვლით, 260 მეტრს აღწევდა.¹


მონუმენტურობით გამოირჩეოდა ყველაზე შესანიშნავი და ცნობილი ტაძარი რამესეუმში, რომელიც დამშვენებული იყო მრავალი სვეტითა და ქანდაკებით. რამესეუმში აშენებულ იქნა ნილოსის მარცხენა მხარეს, თებეს დასავლეთ ნაწილში. ნაგებობა ძლიერ დანგრეულია, მაგრამ მას მაინც ამჩნევია გრანდიოზულობის კვალი. რამესეუმის დაწერილებითი და სრული აღწერა მოგვცა მ. ე. მატიემ თავის ვრცელ ნაშრომში ძველი ეგვიპტის ხელოვნების შესახებ.²

„რამსეს II-ის ტაძარი, რომელიც შექმნილია ხუროთმოძღვარ პენრას მიერ და ცნობილია რამესეუმის სახელწოდებით... ბევრად სჯაბნიდა თავისი მასშტაბურობით და მონუმენტურობით სეტი I-ის ტაძრის გაფორმებას...“³ ტაძრის კედლები და სვეტები დაფარული იყო რელიეფებით, რომლებიც ეძღვნებოდა ღმერთების კულტებს და რამსეს II-ის ძლევამოსილი ომების ქება-დიდებას. თავისი მაშტაბით ეს გრანდიოზული რელიეფები უზარმაზარ შთაბეჭდილებას ახდენდნენ

1 *Матье М. Э., Искусство древнего Египта, Л., 1962, стр. 432.*

2. *Там же.*

3. *Там же, стр. 434.*



ლუქსორის ტაძარი. რამსეს II-ის ობელისკი და კოლოსები.

მნახველებზე, აქ აღბეჭდილია კადეშის ბრძოლა რამსეს II-ის უშუალო მონაწილეობით: ფარაონი, მქროლავი საბრძოლო ეტლზე, რომელიც ისვრის ისრებს მტრის საბრძოლო განლაგების შუაგულში. გამოსახულია გადათელილი და გაქცეული ხეთები – ბევრი მათგანი მიწაზეა დანარცხებული...¹

ქანდაკებებში, ისევე როგორც არქიტექტურაში, ძველი წესებისადმი შემობრუნება ახალ ხერხებთან შესამებასა და ჰარმონიაში ხდებოდა. განსაკუთრებით აშკარად ეს ჩანს რამსეს II-ის ქანდაკებაში. ფარაონი ზის ტახტზე ჩვეულებრივ საზეიმო ფორმაში. ერთი ხელი უდევს მუხლზე, მეორეთი უჭირავს კვერთხი – ფარაონის ხელისუფლების სიმბოლო. განსაკუთრებულია ტანსაცმელი: ფარაონი წარმოდგენილია სამეფო სამოსელში, თხელი ქსოვილის შიგნიდან გამოსჭვივის ძლიერი სხეული. ტანისამოსის რბილი ნაკეცები მას ტანადობას, მოხდენილებას მატებს. განსაკუთრებით კარგად გამოიყურება პირისახე. ყველა მისი ნაკეთი გულდასმითაა დამუშავებული. არწივისებური ცხვირი, დიდი თვალები სქელი წარბების ქვეშ, მტკიცე ნებისყოფის გამომხატველი პირი ფარაონის პორტრეტის რეალობის შეგრძნებას ქმნის. მხატვარმა ბრძანებლური და ენერგიული დამპყრობლის თვისებების გადმოცემაც კი შეძლო ამ მედიდურ სახეში.²

რამესეუმში წარმოდგენდა რამსეს II-ის სასახლესა და მისი სულის მოსახსენებელ ტაძარს. თებეს იმ

1. *Культура Древнего Египта. ответств. ред. И. С. Кацнельсон, М., 1976, стр. 402.*

2. *Там же.*

ნაწილში, სადაც ტაძარი მდებარეობდა, ნილოსის მარცხენა მხარეს, „მეფეთა ხეობაში“, კლდეში გამოკვეთილი იქნა რამსეს II-ის გრანდიოზული აკლდამა, რომლის სიგრძე 122 მეტრს აღწევდა და სადაც თავდაპირველად განისვენებდა რამსეს II-ის მუშია. რამსეს II-ის მუშია, ახალი სამეფოს ხანის სხვა ფარაონთა მუმიებთან ერთად 1881 წელს აღმოაჩინეს გ. მასპერომ და ე. ბრუგშმა,¹ დეირ-ელ-ბაჰრის მღვიმეში. გარდაცვალების შემდგომი „არსებობა“ რამსეს II-ისა არ ყოფილა უბრალო საქმე. თავდაპირველად მისი მუშია, მძარცველებისაგან დაცვის მიზნით, ხერიხორის მმართველობის დროს, გადაასვენეს სეტი I-ის აკლდამაში. მოგვიანებით ის ხელახლა შეახვიეს და მოათავსეს ახალ სარკოფაგში. მალე რამსეს II-ის მუშია გადაიტანეს ამენხოტეპ I-ის აკლდამაში, შემდგომ კი, ძველი წელთაღრიცხვით დაახლოებით 960 წელს ის გადამალულ იქნა დეირ-ელ-ბაჰრის მალულ საკრძალავში, დედოფალ ინჰაფის აკლდამაში.²

რამსეს II-ის მუშია ამჟამად მოთავსებულია კაიროს მუზეუმში, კარგადაა შენახული და მნახველებს შესაძლებლობა აქვთ იხილონ მაღალი, დიდებული ბერიკაცი, რომელსაც შეენიშნება ნიშნები მსგავსებისა იმ ნატიფად ლამაზ, მოხდენილ ჭაბუკთან, რომელიც გამოსახულია მშვენიერ ბაზალტის ქანდაკებაზე ტურიინის მუზეუმში.³ რამსეს II-ის პირველი, მთავარი

1. Масперо Г., *Древняя история. Египет, Ассирия, Санкт-Петербург, 1900, стр. 157-159.*

2. Бузескул В., *Открытие XIX и начала XX века в области истории древнего мира, ч. I, Санкт-Петербург, 1923, стр. 63.*

3. Матье М. Э., *Искусство древнего Египта, Л., 1962, стр. 451.*



რამსეს II-ის მუმიის ფრაგმენტი (ქაიროს მუზეუმი).

მეუღლის, დედოფალ ნეფერტარი - მერენმუტის აკლდამა იმყოფება ასევე თებეს დასავლეთ ნაწილში, „დედოფალთა ხეობაში“ და გამოირჩევა „შესანიშნავად შესრულებული მოხატულობებით“.¹

რამსეს II-ის დროს შექმნილ შესანიშნავ არქიტექტურულ ქმნილებათა რიცხვს განეკუთვნება აგრეთვე ორი მღვიმიანი ტაძარი აბუ-სიმბელეში, ჩრდილოეთ ნუბიაში. ერთ-ერთი მათგანის, დიდი ტაძრის, ფასადი მიმართულია ნილოსის მხარეს. ეს არის წინა კედელი უზარმაზარი პილონისა, რომლის გვერდით აღმართულია რამსეს II-ის ოთხი გიგანტური მჯდომარე ქანდაკება, რომელთა სიმაღლე 20 მეტრს აღწევს. ისინი განასახიერებენ მბრძანებლის ყოვლისშემძლეობას, მის განუსაზღვრელ ძალაუფლებას თავის ქვეშევრდომებსა და მის მიერ დაპყრობილ ხალხებზე ეგვიპტის ფარგლებს გარეთ. ფარაონის იერი, მისი სახე ყოველ ქანდაკებასა და რელიეფშია გამოსახული.²

აღმოსავლეთ კედელზე, შესასვლელიდან ორივე მხარეს, მოთავსებულია ტრადიციული გამოსახულებანი - რამსეს II კლავს ღმერთების წინაშე ტყვეთა ჯგუფებს - ლიბიელებს. მარჯვენა ჩრდილოეთი კედელი დაფარულია გრანდიოზული სკულპტურული სურათებით, რომლებიც მოგვითხრობენ რამსეს II-ის ხეტებათა ბრძოლის შესახებ. მათ შორის აქ ნაჩვენებია ცნობილი ბრძოლა კადეშთან. მარცხენა სამხრეთ კედელზე გადაშლილია ლიბიელებთან ომების ეპიზოდები. უკანა კედელთან ასევე დგას ოთხი

1. Матые М. Э., Искусство древнего Египта, Л., 1962, стр. 443.

2. Культура Древнего Египта. ответств. ред. И. С. Кацнельсон, М., 1976, стр. 405.

ქანდაკება მჯდომარე ღვთებებისა. ესენი არიან პტახი, ამონ-რა, გაღმერთებული რამსესი და რა ხორახტი”.¹

აბუ-სიმბელის მეორე, მცირე ტაძარი მდებარეობს დიდი ტაძრიდან ჩრდილოეთით, 135 მეტრის დაშორებით. ტაძრის წინ აღმართულია რამსეს II-ის ოთხი ქანდაკება და ორიც – დედოფალ ნეფერტარისა. აქვე შეიძლება ვიხილოთ მათი შვილებიც, რომელთა ქანდაკებები მეუღლეთა ფეხებთანაა განლაგებული. სამეფო ოჯახის პორტრეტი ღრმა რელიგიური აზრის შემცველია. წარწერა იუწყება, რომ რამსეს II-მ ბრძანა აეგოთ ტაძარი უფრო მშვენიერი, ჯერ არ ნახული. ეს მდიდრული საჩუქარი მან მიუძღვნა თავის დიდებულ მეუღლეს ნეფერტარის, რჩეულს, რჩეულთა შორის.² ისტორიული ხასიათის სცენები აქ არაა, მაგრამ ჰიპოსტილურ დარბაზში არის მრავალი რელიგიური ტექსტი, რომლებიც ღვთაებების – ხატხორის, სეტხის, ხორის, ანუკეტის, ამონის, პტახის, ხორშეპსესის, ხორახტისა და მუტისადმი თაყვანისცემას ეძღვნება.³

ასუანის კაშხლის აშენების დროს ეს გრანდიოზული ტაძრები, რომელთაც ჩაძირვა ემუქრებოდა, ამოწეულ იქნა წყალსაცავის დონიდან 60 მეტრის სიმაღლეზე და გადატანილი ახალ ადგილას – ზეგანზე, სადაც მათ დაუბრუნდა პირველსახე და ბრწყინვალება. ეს ტიტანური სამუშაო, რომელშიც მონაწილეობა მიიღო მრავალმა ქვეყანამ, ჩატარდა იუნესკოს ეგიდით. აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი ღვაწლი სსრ

1. Кристиан Жак, Египет Великих Фараонов, М., 1992, стр. 247.

2. Там же.

3. Культура Древнего Египта. ответств. ред. И. С. Кацнельсон, М., 1976, стр. 184.



დიდი ტაძარი კლდეში, აბუ-სიმბელეში.
ტაძრის წინა ხელის ფრაგმენტი.



მცირე ტაძარი კლდეში. აბუ-სიმბელში.

კავშირს მიუძღვის.¹

ნუბია მთელი არსებით იტაცებდა რამსეს II-ს. ფარაონმა ააგო ტაძრები ბეით-ელ-ვალში, ჰერუ-ჰუსეინში, ვადი ეს-სებუაში, დერრეში, ისინი აღმართულია ეგვიპტელი ღმერთებისა და რამსეს II-ის სადიდებლად.

ასეთია რამსეს II-ის მონუმენტური მშენებლობის ძირითადი ძეგლების არასრული სია.

1. Жур. "Курьер" Юнеско, 5 февраля, 1960 г. (специальный выпуск), ეძღვნება ძველი ეგვიპტის ძეგლების გადარჩენის პრობლემას.

რამსეს II-ის მმართველობის დროისათვის, ისევე როგორც ეგვიპტის ისტორიის სხვადასხვა ეპოქისათვის, დამახასიათებელია ფარაონისადმი ქურუმობის სრული დამორჩილება. ეს ბუნებრივი მოვლენა იყო, რადგან ძველი ეგვიპტის ქურუმები მხოლოდ განსაკუთრებული კატეგორიის სახელმწიფო მოხელეებს წარმოადგენდნენ, რომელთა წმიდათაწმიდა მოვალეობა საღვთო კულტების მსახურება გახლდათ. ამდენად ისინი, როგორც მოხელეები, აბსოლუტურად დამოკიდებული იყვნენ იმ სახელმწიფო-სახელისუფლებო სისტემაზე, რომელსაც სათავეში ფარაონი ედგა. საზოგადოებაში გაბატონებული იდეოლოგიიდან გამომდინარე, მხოლოდ ფარაონს – ეგვიპტის ღვთაებათა ძეს შეეძლო ყოფილიყო წარმომადგენელი თავისი ღვთაებრივი „მშობლებისა“ ამ ქვეყნად. ქურუმები ითვლებოდნენ მარტოოდენ ფარაონის თანაშემწეებად, რომლებიც ენაცვლებოდნენ თავის უმაღლეს ხელისუფალს ყოველდღიურ საქმიანობაში ამა თუ იმ ღვთაებათა საკულტო მომსახურებასთან დაკავშირებით.¹ ამიტომ გასაკვირი არაა თეორიული, ხანდახან კი პრაქტიკული შესაძლებლობა ფარაონების მიერ საერო და საღვთო თანამდებობათა შეთავსებისა. ყველაფერი, ჩვენს მიერ ზემოაღნიშნული, დამახასიათებელია რამსეს II-ის მეფობის დროისათვის, როდესაც ქება-დიდება, გაღმერთება ფარაონის ხელისუფლებისა და მისი

1. Стучевский И. А., Храмовая форма Царского хозяйства древнего Египта, М., 1962, стр. 50-51.

პიროვნებისა აღწევს უმაღლეს საფეხურს, ხოლო ყველა რელიგიური კულტის ქურუმობა, როგორც ძველი ეგვიპტის სახელმწიფოს იდეოლოგიური პოლიტიკის აპოლოგეტი, მიმდევარი და მქადაგებელი, აღმოჩნდა მთლიანად დამოკიდებული თავის პატრონზე – ქვეყნის ღვთაებრივ მმართველზე, მიწიერ ღმერთზე, არსებითად, ერთადერთ სრულუფლებიან ქურუმზე, ეგვიპტის ღვთაებათა ინტერესების კანონიერ გამომხატველზე – ფარაონზე.¹

რამსეს II-მ, თავისი მმართველობის პირველ წელს, თებეში, “ღვთაება ამონის” პირველ ქურუმად დანიშნა ნებუნენეფი. თეორიულად ის დაინიშნა ამონის ღვთაებრივი ორაკულის დახმარების შედეგად, ხოლო ფაქტიურად, რასაკვირველია, დაინიშნა რამსეს II-ის სურვილით, რომელიც შესაძლებლად თვლიდა ამ მაღალ საღვთო თანამდებობაზე ნებისმიერი მისი კარისკაცის წარდგენას. ეჭვს არ იწვევს ის, რომ ნებუნენეფი მთლიანად დამოკიდებული იყო რამსეს II-ის ნებასურვილზე. ამ შენთხევეაში ფარაონი ინარჩუნებდა სრულ კონტროლს როგორც თებეს, ასევე მემფისის ტაძრებზე. მემფისში მან მოგვიანებით მემფისის ღვთაების პტახის უმაღლეს ქურუმად დანიშნა თავისი ვაჟიშვილი ჰაემუასი, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ კი მეორე უფლისწული, მომავალი ფარაონი მერნეპტახი. სხვათა შორის თებეში, რამსეს II-ის მეფობის დროს, „პირველი ქურუმის” მოვალეობას ნებუნენეფის შემდეგ შემდეგი თანამიმდევრობით ასრულებდა ექვსი კაცი: უნენეფერი,

1. Стучевский И. А., Храмовая форма Царского хозяйства древнего Египта, М., 1962, стр. 51.

მინმესი, პასერი, ამენხოტეპი, ბაქენ-ხონსუ და რამარი.¹ ყველა ზემოთჩამოთვლილი დანიშნული იყო ფარაონის მიერ, და ისინი მათი მიწიერი მბრძანებლის თავდადებულ, ერთგულ მსახურებს წარმოადგენდნენ. ასეთივე დამოკიდებულებაში იყვნენ ფარაონის ხელისუფლებასთან სხვა ღვთაებათა კულტების ქურუმებიც, რომელთაც ერთპიროვნულად რამსეს II აკონტროლებდა.

რამსეს II-ის დროს განსაკუთრებით თაყვანს სცემდნენ ეგვიპტური ღვთაებების: სეტხის, პტახის, რა-ს, ამონის კულტებს. ისინი წარმოადგენდნენ სახელმწიფოს ძირითად რელიგიურ კულტებს, რომელთა განდიდება განპირობებული იყო სამეფო ხელისუფლების ძლიერი მხარდაჭერით.² ამიტომ შემთხვევითი არ გახლდათ, რომ რამსეს II-ის დროს ამ ღვთაებათა სახელებს ატარებდნენ ეგვიპტის ჯარის შენაერთები. ყველა ზემოთჩამოთვლილ ღვთაებებს რამსეს II თვლიდა თავის „მშობლებად“ და მფარველებად. ამიტომ ის ერთნაირი ქება-დიდებათ მოიხსენიებდა საკუთარ რელიგიურ ტექსტებში სეტხს, პტახს, რა-ს და ამონსაც. ყველა წარწერაზე (აბუსიმბელეში, კარნაკში, ამარეში, აქშეში...) სადაც შექმნილია რამსეს II-ის გმირული ქმედება კადეშთან ბრძოლის დროს, ფარაონის დამხმარედ და მშველელად აღიარებულია მისი ღვთაებრივი მამა ამონი.³

რამსეს II-ის რელიგიური მოღვაწეობისათვის

1. Стучевский И. А., *Храмовая форма Царского хозяйства древнего Египта*, М., 1962, стр. 51, 52, 53.

2. Коростовцев М. А., *Религия древнего Египта*, М., 1976, стр. 74.

3. Там же, стр. 76.

დამახასიათებელია არა რომელიმე რელიგიური კულტის წინ წამოწევა სხვა კულტების საზიანოდ, არამედ მათი ერთმანეთთან შეთავსების, შეხამების პოლიტიკა. ამ მხრივ საგულისხმოა თებეს ქურუმების მიერ შექმნილი ამონის ჰიმნი,¹ რომელიც მომდინარეობს ჯერ კიდევ XVIII დინასტიის ეპოქიდან.

ამ პერიოდში ეგვიპტურ რელიგიაში შეიმჩნევა აზიური ღვთაებების გავლენა, რაც გამოვლინდა პანთეონში უცხო ღვთაებათა ჩართვით. განსაკუთრებით აღსანიშნავია ბაალი, ასტარტა, რეშეფი, ქადეში. ისინი უმთავრესად ომის ღმერთებად ითვლებოდნენ. ბაალი გათანასწორებულია სეტხთან, ასტარტა მემფისის საღვთო კულტებში იქნა შეტანილი.² ჯეიმს ბრესტელის თქმით, სირიული ღვთაებები, შემოტანილი მრავალრიცხოვანი აზიელი მონების მიერ, დამკვიდრდა ეგვიპტეში იმათ შორის, ვინც თაყვანს სცემდა: ბაალს, ქადეშს, ასტარტას, რეშეფს, ანატს და სუტეხს.³ ეგვიპტის ზოგიერთი ძველისძველი საღვთო კულტი რამსეს II-ის დროს განიცდიდა აზიური ღვთაებების ძლიერ გავლენას, ერთობ შერწყმასაც კი მათთან. ეს პროცესი კარგად ჩანს სეტხის იკონოგრაფიაში, რომელიც გამოსახულია სეტხის 400-წლიანი ეპოქის აღმნიშვნელ სტელაზე, სადაც ის წარმოდგენილია ტიპიურ აზიურ სამოსელში. რამსეს II-ისა და ხათუსილი III-ის შორის დადებულ საზავო ხელშეკრულების

1. *Культура древнего Египта. ответств. ред. Кацнельсон И. С., М., 1976, стр. 197, 205.*

2. *Тураев Б. А., История древнего Востока, т. 1, Л., 1936, стр. 336.*

3. *Брестед Дж., История египта, с древнейших времен до персидского завоевания, М., 1915, стр. 142.*

ეგვიპტურ ტექსტში ღვთაება სეტხის (სეტეხის) სახელი ყველგან მოიხსენიება იმ ღვთაებათა შორის, რომლებიც იყვნენ გარანტები ამ ხელშეკრულებისა და ენაცვლება აქადურ იდუოგრამას, რომელიც აღნიშნავს ჭეჟა-ქუხილის ხეთო-ხურიტულ ღვთაებას. რაც შეეხება სეტხის კულტს, პერ-რამსესში, მიუხედავად მისი აზიური ჩაცმულობისა, მას თაყვანს სცემდნენ, როგორც ძველ ეგვიპტურ ღვთაებას, რომელმაც დროთა განმავლობაში შეიძინა ზოგიერთი აზიური ნიშნები. კოროსტოვცევი წერს: „სუტეხი (სეტხი) არ წარმოადგენს ეგვიპტურ პანთეონში „იმპორტირებულ“ უცხო ღვთაებას, ის ადრინდელი, ძველთაძველი ეგვიპტური ღვთაებაა, გამორჩეული ჰიქსოსების მიერ... ეს ღვთაება, ისევე როგორც სხვა ეგვიპტური ღვთაებები, მრავალფეროვანი, მრავალმხრივი იყო. მისი ძირითადი ასპექტი ჭეჟა-ქუხილის ღმერთისაა. სუტეხი თავისი წარმოშობით ეგვიპტური ღვთაება იყო, რომელმაც შეიძინა უცხოური კოლორიტი...¹ ჰიქსოსების განდევნის შემდეგ, ის აგრძელებდა თავის არსებობას. ის კვლავ განდიდების ობიექტად დარჩა პერ-რამსესში, რამსეს II-ის რეზიდენციაში... ეგვიპტელთა ცნობიერებაში სეტხი უდავოდ იყო ეგვიპტის დიდი ღვთაება. რამსეს II-ის დროს ტანისში მთავარი ღვთაებები იყვნენ: ამონი, რა, პტახი, სეტხი, თანაც ტექსტებში ისინი მოხსენებული არიან რამსეს II-ის ღმერთებად.²

სეტხის გარდა, აზიურ ღვთაებებთან გაიგივებული იყო ეგვიპტის სხვა ღვთაებებიც. ასე მაგალითად,

1. Коростовцев М. А., *Религия древнего Египта*, М., 1976, стр. 113.

2. Там же.

რამესიდების ხანაში ღვთაება რა ხანდახან გათანაბრებულია აზიურ ღმერთ სელემთან, ღვთაება ანატი იწოდებოდა რამსეს II-ის დედად. მისი ტაძარი მდებარეობდა პერ-რამსესში.¹

აზიური რელიგიური კულტების გავლენა მეტად ძლიერი იყო ახალი სამეფო ხანაში და განსაკუთრებით XIX-XX დინასტიის ფარაონების დროს. ცნობილია, რომ რამსეს II-ის ერთ-ერთი უფროსი ქალიშვილთაგანი ატარებდა სირიულ სახელს ბენტ-ანატ (ე. ი. ღვთაება ანატის ასული). რამსეს II-ისა და მისი მემკვიდრეების დროს ეგვიპტე სავსე იყო აზიიდან გადმოსახლებულებით. „ფინიკიელები, სირიელები, პალესტინელები სულ უფრო მკვიდრდებიან დიდი რაოდენობით ეგვიპტეში. რამსეს II-ის ერთერთი ძე დაქორწინებული იყო სირიელი შპიკერის ასულზე, რომელსაც ერქვა ბენტ-ანატი. ფარაონ მერნეპტახის (რამსეს II-ის ძე) ერთერთი დაახლოებული პირი გახლდათ სემიტი ბენ-ოცენი...“²

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აშკარად ჩანს, რომ აზიელი სემიტების მდგომარეობა ეგვიპტეში ზოგჯერ ერთობ პრივილეგირებულიც კი იყო. ბევრი აზიიდან გადმოსახლებული, რამსეს I-ისა და მისი მემკვიდრეების დროს, მაღალ მდგომარეობას, თანამდებობას აღწევდა სამეფო კარზე. უფრო მეტიც, სამეფო დინასტიასთან დანათესავებასაც კი ახერხებდა.

1. Коростовцев М. А., *Религия древнего Египта*, М., 1976, стр. 113.

2. Там же, стр. 270.

რამსეს II-ის სიცოცხლის ბოლო წლებში ეგვიპტე ისევ ძლევამოსილ სახელმწიფოდ დარჩა. ეგვიპტეში დაისადგურა მშვიდობამ. ხეთებთან დადებული საზავო ხელშეკრულება ძველ ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური წონასწორობის ქვაკუთხედად დარჩა. დიდი ფარაონი რამსეს II მშვიდობიან ცხოვრებას და აღმშენებლობით საქმიანობას ეწეოდა, მაგრამ ამ დროისთვის ვითარება იმდროინდელ მსოფლიოში ძირეულად შეიცვალა. ხეთების იმპერია შეარყია შინაგანმა კრიზისმა. ასურელები ძალას იკრებენ და მეტოქეობას უწევენ ხეთებს, დესტაბილიზაციის საშიშროება საერთაშორისო არენაზე რეალური გახდა. წარმოიქმნა კიდევ ერთი საფრთხე: ბალკანეთისა და შავი ზღვის რეგიონებში იწყება ხალხთა დიდი მოძრაობა, რომელიც ცნობილია, როგორც ინდოევროპული მიგრაცია. ის დაემუქრება მთელ რიგ ქვეყნებს. მართლაცდა, დამპყრობელთა ურდოები თავს დაატყდებიან შუა აზიას, ეგეოსის ზღვის კუნძულებს, საბერძნეთს, ლიბიას. შემოსევა დაიწყო ხმელეთიდან, ზღვიდან, საფრთხე მიუახლოვდა ხეთებსაც.

უკვე ასაკოვანი რამსეს II თითქოსდა არც კი ხედავდა მოსალოდნელ საშიშროებას. ალბათ იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ საფრთხე ჯერ კიდევ შორს იყო ეგვიპტიდან. მიუხედავად ამისა, ყოველად მართებული იქნებოდა მისი მხრიდან გარკვეული პრევენციული ზომების მიღება. შესაძლებელია, ეგვიპტის ჩარევას საშუალება მიეცა ხეთებისა და ბაბილონელებისათვის შეუპოვარი

წინააღმდეგობა გაეწიათ დამპყრობთათვის. სამწუხაროდ, ფარაონს უკვე სიბერე შეეპარა. ის უწინდელივით არ იყო მტკიცე და შეუდრეკელი. რამსეს II 88 წლის ასაკში გარდაიცვალა. ეს იყო მისი მეფობის 67-ე წელი.

